დანართი №5

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა
სსიპ - ქალაქ თბილისის N192 საჯარო სკოლა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები
თავმჯდომარე: ლელა ბუბაშვილი
წევრები:
თათული მგელაძე - ზოგადი განათლების ხარისხის ექსპერტი;
ქეთევან სადრაძე - საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი
თეონა მაცაბერიძე - საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი
თინათინ ბეგიაშვილი - უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი
ეთერი ივანელაშვილი - ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი
მეგი კაპანაძე - ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი
თეონა შერაზადიშვილი - სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი
ლალი აბულაძე - მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი
ნინო ჯოჯიშვილი - სპორტის საგნობრივი ექსპერტი
დომინიკა აბაშიძე - ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	**სსიპ - ქალაქ თბილისის N192 საჯარო სკოლა**
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	**საჯარო სამართლის იურიდიული პირი**
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	**211351838**

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	**ქალაქი თბილისი**
ფაქტობრივი მისამართი	**ქ. თბილისი, დიდი დიღომი, მე-3 მიკრო რაიონი/ დიდი დიღომი, მე-4 მიკრო რაიონი- არჩილ მეფის N27**
საფოსტო ინდექსი	**0159**
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	**https://shr.ge/m26UQ6**
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	**Tbilisi192@mes.gov.ge**
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	**577388098**

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	24/02/2026 MES 1 26 0000210168
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	2026 წლის 30 და 31 მარტი

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	სასწავლო მიზნებისთვის გამოსაყენებელი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი საფეხური	ქართული	1. ქ. თბილისი, დიდი დიღომი, მე-3 მიკრო რაიონი – ერთი შენობა 2. ქ. თბილისი, დიდი დიღომი, მე-4 მიკრო რაიონი (არჩილ მეფის ქ. N27) – ერთი შენობა
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო საფეხური	ქართული	1. ქ. თბილისი, დიდი დიღომი, მე-3 მიკრო რაიონი – ერთი შენობა 2. ქ. თბილისი, დიდი დიღომი, მე-4 მიკრო რაიონი (არჩილ მეფის ქ. N27) – ერთი შენობა
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო საფეხური	ქართული	1. ქ. თბილისი, დიდი დიღომი, მე-3 მიკრო რაიონი – ერთი შენობა 2. ქ. თბილისი, დიდი დიღომი, მე-4 მიკრო რაიონი (არჩილ მეფის ქ. N27) – ერთი შენობა

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.

სსიპ - ქალაქ თბილისის N192 *საჯარო სკოლაში საავტორიზაციო ვიზიტი განხორციელდა წარმატებით. ექსპერტებმა განიხილეს სკოლის მიერ მოწოდებული დოკუმენტაცია, შედგა ინტერვიუირების პროცესი სკოლის ადმინისტრაციასთან და პედაგოგებთან. ექსპერტებმა ადგილზე შეისწავლეს სკოლის მატერიალური რესურსი, თანამშრომელთა პირადი საქმეები და წარმოდგენილი დოკუმენტაცია.*

საგნობრივი ექსპერტები ონლაინ რეჟიმში გაესაუბრნენ მასწავლებლებს და მოიპოვეს ინფორმაცია მეორე სტანდარტთან დაკავშირებით. საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტმა ვიზიტის პერიოდში განიხილა კურიკულუმები, დაათვალიერა სასწავლო გარემო და გაესაუბრა საგნობრივი კათედრის წარმომადგენლებს.
სკოლის ადმინისტრაციასთან კომუნიკაცია წარიმართა ნაყოფიერად. ვიზიტის ბოლოს ექსპერტებმა მიაწოდეს ინფორმაცია სკოლის წარმომადგენლებს იმ მიგნებების შესახებ, რომელიც ვიზიტის დროს გამოიკვეთა.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტორიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება

	☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 **მოსწავლეთა მხარდაჭერა**	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.1	☒ შეესაბამება

მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

მოსწავლეთა რაოდენობა: 3000	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒	აღწერა *(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)*
	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*ხარვეზი*
ინდიკატორი N		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*ხარვეზი*
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*ხარვეზი*

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი *საგაზო და საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*ხარვეზი*
ინდიკატორი N....		

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა.)[1]

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N....		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N3.5.1.4	სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს	სკოლას მიეცა რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმაში მითითებულ ვადაში დაამონტაჟოს შიდა პანდუსები და ადაპტირებული სველი წერტილები. **11.05.2026 წ. – 11.05.2028 წ.**
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N....		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი *(ასახეთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დასახელება)*	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
2.2.2.3.	კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით	სკოლას მიეცა რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმაში მითითებულ ვადაში უზრუნველყოს საბუნებისმეტყველო ლაბორატორიების (ორივე კორპუსი) აღჭურვა შესაბამისი რესურსითა და ინვენტარით. კერძოდ, ტუტე-მჟავა და თერმო მდგრადი ზედაპირით დაფარული სადემონსტრაციო მაგიდებითა და გამწოვი კარადით. **01.05.2026 წ. – 01.05.2027 წ.**

1 გარდა მეორე სტანდარტის ნაწილობრივი შესაბამისობისა.

V. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*რჩევა*
ინდიკატორი N....		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*რჩევა*
ინდიკატორი N3.4.1.1	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა	სკოლას მიეცა რჩევა, იზრუნოს შესაბამისი კვალიფიკაციის კადრის დასაქმებაზე, შრომის უსაფრთოების სერტიფიცირებულ სპეციალისტთან დაკავშირებით;
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*რჩევა*
ინდიკატორი N....		

სტანდარტი N2	*სასკოლო კურიკულუმი*	*რჩევა*

	დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	
ინდიკატორი N....		
2.1.2.1.	*შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას*	*ესთეტიკური აღზრდა: დაწყებითი საფეხურის V-VI კლასის სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების კურიკულუმებში, თემები ჩაშენებულია თემატურ ბლოკებთან კავშირში, მაგრამ აკლია მესამე სავალდებულო თემატური ბლოკის დასახელებები. სასურველია ჩასწორდეს და ორივე კლასში დაემატოს თემატური ბლოკები საგნის სტანდარტთან შესაბამისობაში.* *ტექნოლოგიები: სასურველია, დაწყებით საფეხურზე, დიფერენცირებული სწავლების სტრატეგიების უფრო აქტიური ინტეგრაცია, ასევე ისეთი აქტივობების გაძლიერება, რომლებიც ხელს შეუწყობს ალგორითმული აზროვნებისა და პრობლემის გადაჭრის უნარების განვითარებას. დამატებით, სასურველია ტექნოლოგიური რესურსების უფრო მიზანმიმართული და სისტემური გამოყენება სასწავლო მიზნებთან შესაბამისობაში.* *(იხ. ინდიკატორი)*
2.1.2.2.	*კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს*	*საბუნებისმეტყველო მეცნიერებები: სამივე საფეხურზე, გაიზარდოს სასწავლო წლის განმავლობაში შესასრულებელი შემოქმედებითი დავალებების რაოდენობა და ეს აისახოს კურიკულუმის დოკუმენტაციაში.* *საზოგადოებრივი მეცნიერებები: სასურველია, გაუმჯობესდეს კონტექსტ-მაგალითები: დაწყებითი საფეხური - მე და საზოგადოება, III-IV კლ; საბაზო საფეხური - ისტორია, VII კლ.* *ტექნოლოგიები: მიზანშეწონილია, დაწყებით საფეხურზე, კომპიუტერული ტექნოლოგიების საგნის კურიკულუმში უფრო მკაფიოდ და სისტემურად გაძლიერდეს კავშირი სასწავლო მიზნებსა და აქტივობებს შორის. ასევე საჭიროა ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული შედეგების უფრო თანმიმდევრული ასახვა ყველა თემასა და კლასში, რათა შემცირდეს ფორმალური შესაბამისობის რისკი. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს სწავლა-სწავლების პროცესის უფრო მიზანმიმართულ დაგეგმვას და გაზრდის მისი განხორციელების ეფექტიანობას.*

		ესთეტიკური აღზრდა: სასურველია, სწავლების სამივე საფეხურზე, ყველა კლასის კურიკულუმს ჰქონდეს მითითებული აკადემიური სასწავლო წელი, რომლის ფარგლებშიც უნდა განხორციელდეს აღნიშნული სასწავლო გეგმა. - თემის ფარგლებში საკითხები გაიწეროს დეტალურად და მოხდეს დაკონკრეტება, რაც გულისხმობს იმ შესასწავლი საკითხების დეტალიზებას, რომელიც არჩეული თემის ფარგლებში უნდა შეასწავლოს მასწავლებელმა მოსწავლეებს. საკითხები შესაძლებელია გაიწეროს ძირითადი სახელმძღვანელოს მიხედვით. მათემატიკა: სასურველია, რომ მათემატიკის კათედრამ, როგორც დაწყებით და საბაზო, ასევე საშუალო საფეხურზე, მომავალი სასწავლო წლის კურიკულუმის შემუშავებისას, შუალედური მიზნების დაგეგმვისას, შემოქმედებითი დავალებების შერჩევისას უფრო მეტად გამოკვეთონ რა პროდუქტს ქმნიან მოსწავლეები. (იხ. ინდიკატორი)
2.1.2.3.	*კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას*	*საბუნებისმეტყველო მეცნიერებები: ლაბორატორიის არასრულყოფილების გამო, მეტად ჩართონ პრაქტიკაში ხელმისაწვდომი რესურსების გამოყენებით ცდებისა და ექსპერიმენტების ჩატარება, ასეთი აქტივობების აღწერილობა მრავლადაა გრიფირებულ სახელმძღვანელოებში. ასევე გამრავალფეროვნდეს ელექტრონული რესურსების ჩამონათვალიც. ტექნოლოგიები: მიზანშეწონილია, დაწყებით საფეხურზე, კომპიუტერული ტექნოლოგიების საგანში რესურსების შერჩევა და გამოყენება გახდეს უფრო მიზნობრივი და შედეგებზე ორიენტირებული. მნიშვნელოვანია მათი უკეთ დაკავშირება კონკრეტულ სასწავლო შედეგებთან და დიფერენცირება მოსწავლეთა სხვადასხვა საჭიროებების მიხედვით, რათა უზრუნველყოფილ იქნას სწავლების ინდივიდუალიზაცია. აღნიშნული გააძლიერებს რესურსების გამოყენების თანმიმდევრულობას და გაზრდის სასწავლო პროცესის ეფექტიანობას. (იხ. ინდიკატორი)*
2.1.2.4.	*სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს*	*საბუნებისმეტყველო მეცნიერებები: კათედრამ სამივე საფეხურზე მეტად იმუშაოს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებზე, წარმოდგენილ ნიმუშებზე დაყრდნობით. მოახდინოს კომპლექსური ტიპის დავალებების ადაპტირება სსსმ მოსწავლისთვის და შექმნას შესაბამისი შეფასების რუბრიკები.*

		ესთეტიკური აღზრდა: სასურველი, საწყებითი და საბაზო საფეხურების კურიკულუმით გათვალისწინებული შემოქმედებითი დავალების პირობა ჩამოყალიბდეს მოსწავლისთვის კიდევ უფრო გასაგები ენით, დაკონკრეტდეს, მოსწავლეთა შესაძლებლობებს მოერგოს და გათვალისწინებული იქნას დიფერენცირებული სწავლების მიდგომები. *მათემატიკა: სასურველია, სწავლების სამივე საფეხურის კურიკულუმებში გაწერილი შემოქმედებითი დავალებების იდეა ჩამოყალიბდეს ისე, რომ გამოკვეთილი იყოს შემოქმედებითი პროდუქტი და მოსწავლეს ჰქონდეს არჩევანი თავისი ინტერესებისა და შესაძლებლობების მიხედვით წარმოადგინოს მოსამზადებელი დავალება.* *ტექნოლოგიები: მიზანშეწონილია, დაწყებით საფეხურზე, კომპიუტერული ტექნოლოგიების საგნის კურიკულუმში უფრო მკაფიოდ და სისტემურად აისახოს დიფერენცირებული და ინკლუზიური მიდგომები, რათა უზრუნველყოფილ იქნას მათი თანმიმდევრული გამოყენება ყოველდღიურ სასწავლო პროცესში. ასევე სასურველია კურიკულუმსა და პრაქტიკას შორის არსებული სხვაობის შემცირება, განსაკუთრებით იმ ნაწილში, სადაც მასწავლებლები აქტიურად იყენებენ ინდივიდუალური მხარდაჭერისა და დიფერენცირებული დავალებების ელემენტებს. აღნიშნული გააძლიერებს პროცესის სტრუქტურირებულობას და გაზრდის ინკლუზიური განათლების ეფექტიანობას.* *(იხ. ინდიკატორი)*
2.1.2.5.	*მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს*	*მათემატიკა, რჩევა: სასურველია, სამივე საფეხურზე მათემატიკის კათედრაზე შეფასების რუბრიკები გადამუშავდეს, რათა შემოქმედებით დავალებებზე მეტად იყოს მორგებული, მიემართებოდეს სამიზნე ცნებებს (მათემატიკური მოდელირება, კანონზომიერება, ლოგიკა) და დამყარებული იყოს მოსწავლის მიერ სამიზნე ცნებების გააზრებაზე.* *ასევე, მიზანშეწონილია ყველა შემოქმედებითი ტიპის დავალებას და თემის შემაჯამებელი წერის დავალებას ახლდეს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რაც უზრუნველყოფს შეფასების სისტემატურობასა და თანმიმდევრულობას.*

		უცხოური ენები: კურიკულუმებში წარმოდგენილი ყველა შემოქმედებითი დავალებისთვის შემუშავდეს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. რომლებშიც იქნება უცხოური ენების სტანდარტის მიხედვით გაწერილი მიზნები ცნებებთან მიმართებით და თითოეული კრიტერიუმისათვის გაიწეროს ინდიკატორი/დეტალური აღწერა დაბალი, საშუალო და მაღალი შეფასებებისთვის გამჭვირვალობის, სანდოობის, სამართლიანობის და მოსწავლის განვითარების უზრუნველსაყოფად. სკოლის მიერ რუბრუკები წარმოდგენილია მხოლოდ თითო დავალებისთვის. ზოგიერთი მათგანი ძალიან ზოგადია და ბუნდოვანი. ზოგიერთი დავალებისთვის წარმოდგენილია განმსაზღვრელი რუბრიკები ქულობრივი შეფასებით-0,1,2, რომელიც არ იძლევა დეტალურ აღწერას თუ როგორ იმსახურებს მოსწავლე ამა თუ იმ ქულას - ხვედრით წილს მაქსიმალური 10 ქულიდან და შესაბამისად ვერ უზრუნველყოფს მოსწავლის განვითარებას. *(იხ. ინდიკატორი)*
2.2.2.1.	*კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში*	*ესთეტიკური აღზრდა: სასურველია, ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსების ველი იყოს სრულყოფილად შევსებული, ძირითადი სასწავლო რესურსების ჩამონათვალი იყოს დეტალური(სახელმძღვანელოს დასახელება, კლასი, ავტორი/ავტორები, გამომცემლობა).* *(იხ. ინდიკატორი)*
2.2.1.3.	*შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი*	*საბუნებისმეტყველო მეცნიერებები: ცალკეულ შემთხვევებში შეფასების რუბრიკები უფრო ზოგადი ხასიათისაა, სასურველია შეფასების რუბრიკები მეტად დაკონკრეტდეს კონკრეტული დავალების შესაბამისად.* *მათემატიკა: სასურველია, კათედრამ გაითვალისწინოს, რომ შეფასების რუბრიკები მომავალში უფრო მეტად იყოს ორიენტირებული გრძელვადიან მიზნებზე და მომავალში ყველა თემის შემაჯამებელ ან შემოქმედებით დავალების რუბრიკებში ყველა სამიზნე ცნების აღქმა-გააზრება შეფასდეს მოცემული საკითხის კონტექსტში.* *(იხ. ინდიკატორი)*
2.3.1.1.	*მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით*	*რჩევა: მიზანშეწონილია, რომ კურიკულუმის დოკუმენტში უფრო მკაფიოდ განისაზღვროს მონიტორინგისა და შეფასების კონკრეტული*

	განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად	*ინსტრუმენტები, პერიოდულობა და პასუხისმგებელი პირების როლები. ასევე სასურველია პროცესის შედეგების დოკუმენტირების ერთიანი ფორმატის შემუშავება, რაც გაზრდის გამჭვირვალობას, გააძლიერებს სისტემურ მიდგომას და გაუმჯობესებს კურიკულუმის განვითარების მტკიცებულებებზე დაფუძნებულ პრაქტიკას.* *(იხ. ინდიკატორი)*
2.3.2.4.	*შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით*	*რჩევა: მიზანშეწონილია, რომ შეფასების პროცესში გათვალისწინებული დამატებითი ფაქტორები (როგორიცაა რესურსებზე ხელმისაწვდომობა, საკლასო გარემო, ჯგუფურ და პროექტულ აქტივობებში ჩართულობა და თანამშრომლობითი უნარები) უფრო სისტემურად ინტეგრირდეს შეფასების ინსტრუმენტებში. ასევე სასურველია, აღნიშნული საკითხების განხილვა არ შემოიფარგლოს მხოლოდ კათედრების შეხვედრებით და გადაიქცეს სტრუქტურირებულ, მონაცემებზე დაფუძნებულ კვლევით პროცესად, რაც უზრუნველყოფს უფრო ობიექტური და პრაქტიკული მიგნებების ჩამოყალიბებას, რაც მნიშვნელოვნად დაეხმარება სასწავლო პროცესის გაუმჯობესებას.* *(იხ. ინდიკატორი)*

VI. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტით გამოიკვეთა სამი ხარვეზი:

- სკოლას ხელშეკრულებები ჰქონდა გაფორმებული მხოლოდ I-V კლასის მოსწავლეების მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან;
- სკოლას არ ჰქონდა შიდა პანდუსები;
- სკოლას ქიმიის ლაბორატორიებში (ორივე კორპუსი) არ ჰქონდა ტუტე-მჟავა და თერმომდგრადი ზედაპირიანი მაგიდა და გამწოვი კარადა.

სკოლამ სრულად გაიზიარა ექსპერტების დასკვნის პროექტში ასახული ფაქტობრივი გარემოებები. დაწესებულებამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა დოკუმენტაცია, რომელიც ადასტურებს, რომ ყველა მოსწავლის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან უკვე გაფორმებულია ხელშეკრულებები. სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც ინდიკატორების მიხედვით გაწერილია შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები, განხორციელების რეალისტური ვადები, საჭირო რესურსები, კერძოდ: შიდა პანდუსებისა და ადაპტირებული სველი წერტილების დამონტაჟება და საბუნებისმეტყველო ლაბორატორიების აღჭურვა ტუტე-მჟავა და თერმომდგრადი ზედაპირიანი მაგიდითა და გამწოვი კარადით.

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს**

სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს. სსიპ - ქალაქ თბილისის N192 საჯარო სკოლის მისია დეკლარირებულია სკოლის შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმაში.

სკოლის მისიაა მოსწავლეთა საუკეთესო ინტერესების ხელშესაწყობად უსაფრთხო, ფიზიკური და ინკლუზიური გარემოს შექმნა; სწავლა-სწავლების ინოვაციური, თანამედროვე მეთოდების დანერგვა; ეროვნულ ღირებულებებზე დაფუძნებული დემოკრატიული განათლების უზრუნველყოფა.

სკოლის ხედვაა გახდეს სანდო საგანმანათლებლო დაწესებულება; თანამედროვე, ინოვაციური მიდგომებით აღზარდოს ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მქონე პასუხისმგებლიანი, წარმატებული თაობა.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს

სკოლა თავისი არსით ძირითადად აცნობიერებს და განსაზღვრავს თავის როლს შექმნას სასკოლო საზოგადოებისათვის უსაფრთხო და სოციალურ-კულტურული საგანმანათლებლო სივრცე. სკოლა ყოველდღიურად ზრუნავს შექმნას ისეთი სოციო-კულტურული სივრცე, სადაც ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შესაძლებლობა აქვს უსაფრთხო, ღია და ხელმისაწვდომ გარემოში მონაწილეობა მიიღოს სასკოლო ცხოვრებაში. აღნიშნული ხორციელდება სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის მუდმივი კომუნიკაციის პირობებში. როგორც სოციოკულტურულ სივრცეს სკოლას შემუშავებული აქვს მარეგულირებელი ნორმები, სკოლის შინაგანაწესის სახით, სადაც გათვალისწინებულია როგორც პასუხისმგებლობის ზომები, ისე წახალისების მექანიზმები. სასკოლო საზოგადოებისათვის შექმნილია უსაფრთხო გარემო. მოსწავლეებისათვის, საკუთარი თავის წარმოჩენისა და რეალიზაციის უზრუნველსაყოფად, მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა სკოლაში არაფორმალურ განათლებას. მიმდინარე სასწავლო წელს მრავალი ღონისძიების, ექსკურსიის, შემეცნებითი აქტივობების ჩატარება ცხადყოფს, რომ ამგვარმა აქტივობებმა დიდ წილად ხელი შეუწყო დასახული მიზნებისა და ხედვის განხორციელებას.

სკოლის სტრუქტურა, სტრუქტურული ერთეულების ფუნქცია-მოვალეობები იმგვარადაა განსაზღვრული, რომ სრულადაა გათვალისწინებული ანგარიშვალდებულების სისტემა. ურთიერთანამშრომლობა და კომუნიკაცია ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების წევრებს დაგეგმონ და შემდგომში განახორციელონ სხვადასხვა აქტივობები, შეაფასონ გაწეული საქმიანობა და დასახონ სამომავლო მიზნები. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით

სკოლის ფილოსოფიისა (მისია, ხედვა და ღირებულებები), სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შემუშავებისთვის საჭირო ღონისძიებების განსახორციელებლად, შეიქმნა სამუშაო ჯგუფი ასევე დამტკიცდა სკოლის მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია, ჯგუფის პირველ სხდომაზე შემუშავდა სკოლის ფილოსოფიისა (მისიის, ხედვისა და ღირებულებების) და შვიდწლიანი განვითარების სტრატეგიული გეგმის პროექტები. სამუშაო ჯგუფში გაერთიანებული იყვნენ, როგორც სკოლის პერსონალი, ისე მოსწავლეები და მშობლები. სოციალური ქსელების ჩატებში მოხდა პროექტების განხილვა. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ

სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის შესაბამისად, გამჭვირვალობის პრინციპის გათვალისწინებით, სკოლის ფილოსოფიის განმსაზღვრელი დოკუმენტების, (მისია, ხევდა და ღირებულებები) სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების გაზიარებისათვის გამოიყენება შემდეგი საშუალებები: სკოლის ვებგვერდი, ელექტრონული ფოსტა, სოციალური

ქსელი, მშობელთა და მოსწავლეთა კრებები. უკუკავშირების შესაბამისად სკოლამ შეიტანა ცვლილებები დოკუმენტთა პროექტებში. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი

სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი. აიტვირთა სკოლის ვებგვერდზე, გამოიკრა საინფორმაციო დაფაზე. სასწავლო წლის დასაწყისში მშობელთა კრებებზე დამრიგებლებმა მშობლებს გააცნეს, როგორც სასკოლო - სასწავლო გეგმა, ასევე შინაგანაწესი. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს

საქართველო განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის N448 ბრძანებით „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ“ ბრძანებით სკოლის სახელწოდებად განსაზღვრულია: სსიპ - ქალაქ თბილისის N192 საჯარო სკოლა. შესაბამისად, სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის დირექტორის ბრძანება სკოლის ფილოსოფიისა (მისია, ხედვა და ღირებულებები) და სტრატეგიული/სამოქმედო გეგმის შემუშავებისთვის საჭირო ღონისძიებების განხორციელების მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ;
- ფილოსოფიის და სტრატეგიული დაგეგმვის კითხვარი;
- ვებ გვერდი;
- სკოლის მისიის, ხედვის, ღირებულებებისა და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია“
- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება
1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს**

სკოლის სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმის შემუშავებისთვის საჭირო ღონისძიებების განსახორციელებლად შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომელიც დამტკიცებულია ბრძანებით. ჯგუფის შემადგენლობაში არიან დირექციის წარმომადგენლები, პედაგოგები, მშობლები, მოსწავლეები. სამუშაო ჯგუფის მიერ შემუშავდა სკოლის სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმის მეთოდოლოგია, რომელშიც ძირითადად არის გაწერილი სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების მექანიზმი და რომელიც დამტკიცებულია ბრძანებით. მეთოდოლოგიით განისაზღვრა შესაბამისი დოკუმენტების განხილვის, დამტკიცების, მათში ცვლილებების შეტანისა და გაზიარების მექანიზმები, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის მონიტორინგის, შეფასებისა და სამოქმედო გეგმის წლიური ანგარიშის მომზადებასთან დაკავშირებული საკითხები, პრინციპები, მეთოდები და პროცედურები, რომლებზე დაყრდნობითაც ხდება სკოლისათვის გრძელვადიანი - სტრატეგიული განვითარებისა და მოკლევადიანი - ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შემუშავება. იმისათვის, რომ მეთოდოლოგიის შემუშავებისას მაქსიმალურად ყოფილიყო გათვალისწინებული სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტები და ინტერესები, აღნიშნული სამუშაო ჯგუფის შემადგენლობაში არიან დირექციის წარმომადგენლები, პედაგოგები, მშობლები, მოსწავლეები. სტრატეგიული დაგეგმვის პირველი ეტაპზე სკოლის პერსონალის, მშობლების, მოსწავლეებისა და სხვა დაინტერესებული პირების გამოკითხვით შეგროვდა ინფორმაცია,

რომელიც ეხება სკოლის შიდა პროცესებსა და დამოკიდებულებებს. სიტუაციის ანალიზისათვის გამოყენებულია SWOT ანალიზი. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

.

2. **სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს**

   სკოლის სტრატეგიული გეგმა არის შვიდ წლიანი და ყოველ შვიდ წელიწადში ერთხელ მოხდება ახალი სტრატეგიულ ი გეგმა, რაც მის ციკლურობაზე მიუთითებს. სტრატეგიული გეგმის მიზნები ხედვასთანაა თანხვედრაში და შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებსა და მიზნების შესაბამის ამოცანებს. სამუშაო ჯგუფმა თავდაპირველად შეიმუშავა განვითარების სტრატეგიული მიზნების სამუშაო ვერსია, გააცნო სასკოლო საზოგადოებას, განხილვის შემდეგ მიღებული უკუკავშირების საფუძველზეც შემუშავდა სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების საბოლოო რედაქცია, რომელიც სასწავლო წლის დაწყებამდე წარედგინა სამეურვეო საბჭოს. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. **სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას**

   სკოლის სამოქმედო გეგმა ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმასა და ყოველწლიურ თვითშეფასებას. მის შემუშავებაში აქტიურად არის ჩართული სამუშაო ჯგუფი. წინა წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმის მონიტორინგის შედეგების გაანალიზების შემდეგ გამოკვეთილი საჭიროებები, ძლიერი და სუსტი მხარეები, გათვალისწინებულია მიმდინარე წლის ერთწლიან სამოქმედო გეგმაში. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

.

4. **სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია**

   სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია;
- სკოლის შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა;
- სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმის ანალიზი- მონიტორინგის შედეგი;
- პედსაბჭოს ოქმი;
- სამეურვეო საბჭოს ოქმი.

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს**
   სკოლის სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიაში დაწვრილებით აღწერილია მონიტორინგის მექანიზმები, კერძოდ სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას ყოველი სასწავლო წლის ბოლოს განახორციელებს ამ მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფი. სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის მონიტორინგისა და სამუშაო ჯგუფის ორგანიზებით იმართება გაერთიანებული შეხვედრა, რომელსაც დაესწრებიან სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები. სხდომის თავმჯდომარე დეტალურად განიხილავს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმებსა და შესაბამისი პირების ჩართულობით განხორციელებულ თითოეულ აქტივობას ანიჭებს სტატუსს: „შესრულდა“, „ნაწილობრივ შესრულდა“, „არ შესრულდა“; ამასთან, ის უზრუნველყოფს წერილობითი ანგარიშებისა და მტკიცებულებების შეგროვებას. ამავე სხდომაზე გაანალიზდება შეუსრულებელი ან ნაწილობრივ შესრულებული აქტივობები მომდევნო წლის სამოქმედო გეგმის შემუშავების მიზნით. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
2. **მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით**
   სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგი უზრუნველყოფს სანდო და სასარგებლო ინფორმაციის მოპოვებას სკოლის საქმიანობის შესახებ. მონიტორინგი ხორციელდება დაკვირვებითა და შეფასებით,

რამდენად არის მიღწეული დაგეგმილი მიზნები და რამდენად ეფექტური იყო სკოლის სტრატეგია. მონიტორინგისთვის სკოლა იყენებს ანგარიშების წარმოდგენის მეთოდს. მონიტორინგის პროცესს წარმართავს სტრატეგიული განვითარების გეგმის შეფასებისა და მონიტორინგის ჯგუფი და სკოლის დირექცია, რომლებიც უზრუნველყოფენ კომუნიკაციას სტრუქტურულ ერთეულებთან და დაინტერესებულ მხარეებთან. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა**
   სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის ანგარიშები, საჯაროობის უზრუნველყოფის მიზნით, წარედგინება სასკოლო საზოგადოებას და განთავსდება სკოლის საინფორმაციო დაფაზე, განიხილება მშობლებთან შეხვედრებზე, სამეურვეო საბჭოსა და პედაგოგიური საბჭოს სხდომებზე. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
4. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის**
   სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შეფასების შედეგებიდან გამომდინარე, შესაძლოა, განხორციელდეს სტრატეგიული მიზნების გადახედვა და სამოქმედო გეგმის ცვლილება. გეგმის ანალიზის საფუძველზე განისაზღვრება სკოლის როგორც ძლიერი და სუსტი მხარეები, ისე საფრთხეები და შესაძლებლობები. სისუსტეების იდენტიფიცირებისა და ჩატარებული სამუშაოების შემდგომ, საჭიროების შემთხვევაში შედის ცვლილებები სტრატეგიულ დაგეგმარებაში და მიღებული გამოცდილებას გაითვალისწინებენ მომავალი სამოქმედო გეგმის შემუშავების დროს. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სტრატეგიული განვითარების მეთოდოლოგია.
- შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა;
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმის ანალიზი- მონიტორინგის შედ;
- ფილოსოფიის და სტრატეგიული დაგეგმვის კითხვარი.

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული**
   სკოლაში, როგორც სტრუქტურული ერთეულების, ისე დასაქმებული პირების ფუნქციები განსაზღვრულია სხვადასხვა დოკუმენტებში. დასაქმებულ პირებთან გაფორმებულ შრომით ხელშეკრულებებში მკაფიოდაა განსაზღვრული მათი ვალდებულებები. ასევე დეტალურადაა გაწერილი დასაქმებულთა ფუნქციები სკოლის დირექტორის მიერ დამტკიცებულ თანამდებობრივ ინსტრუქციებში. სკოლას დამტკიცებული აქვს „თანამდებობრივი ინსტრუქციები“, სადაც დეტალურადაა გაწერილი სკოლის სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები. დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია სკოლის სტრუქტურა. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
2. **სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას**
   სკოლაში დასაქმებულ პირებს შორის, აგრეთვე სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციების გადანაწილება, ურთიერთანამშრომლობითა და დაკისრებული მოვალეობის ჯეროვანი შესრულებით, დადებითად აისახება საგანმანათლებლო პროცესის ხარისხზე. თითოეული დასაქმებულის ძალისხმევითა და ურთიერთთანამშრომლობით სკოლაში არაერთი წარმატებული პროექტი ხორციელდება. სკოლის სტრუქტურის თითოეულმა წევრმა იცის საკუთარი მოვალეობები და როლი სასკოლო საზოგადოებაში. სკოლაში არსებული კოლეგიალური სტრუქტურული ერთეულები

და დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული კომისიები და ჯგუფები მუშაობენ კოლეგიურობის პრინციპით. სკოლის პედაგოგიურ და სამეურვეო საბჭოებს, მრჩეველთა საბჭოს და საგნობრივ კათედრებს სასწავლო წლის დასაწყისში განსაზღვრული აქვთ სამუშაო გეგმები, რომლის შესაბამისადაც იკრიბებიან და განიხილავენ საკითხებს. მჭიდროდ თანამშრომლობენ ერთმანეთთან სკოლის მანდატურები და მრჩეველთა საბჭო. ისინი უზრუნველყოფენ სკოლაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას და რეკომენდაციებს წარადგენენ მრჩეველთა საბჭოს სხდომებზე. სკოლის მიერ შემუშავებული თანამდებობრივი ინსტრუქციით გაწერილია ანგარიშვალდებულების სისტემა, თუ ვის ექვემდებარებიან და ვის წინაშე არიან უშუალოდ ანგარიშვალდებულები საქმიანობის განხორციელებისას. სკოლის სტრუქტურული ერთეულები და თანამშრომლები ჩართულები არიან სასკოლო ცხოვრებაში, ისინი სხდომებზე წარადგენენ რეკომენდაციებს, იღებენ გადაწყვეტილებებს უფლებამოსილების ფარგლებში, განიხილავენ და აჯამებენ მიმდინარე პროცესებს. აგრეთვე, სემესტრის ბოლოს წარადგენენ ანგარიშებს წლის განმავლობაში გაწეული მუშაობის შესახებ. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- შრომითი ხელშეკრულებები;
- თანამდებობრივი ინსტრუქციები;
- მრჩეველთა საბჭოს შექმნის ბრძანება.
- მრჩეველთა საბჭოს შექმნის ბრძანება და ოქმი;
- სკოლის შინაგანაწესი;
- სკოლის სტრუქტურა.

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად**

   სკოლას პერსონალის მართვის პროცედურები განსაზღვრული აქვს პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტში, შინაგანაწესში. სტრუქტურული ერთეულებისა და პირების ფუნქციები ერთობლიობაში მოიცავს ყველა იმ სფეროსა და არეალს, რომლებიც სკოლის ძირითად საქმიანობის შესრულებასა და მიზნებს უკავშირდება. შემუშავებულია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები, სადაც მკაფიოდ არის გამოკვეთილი, რომ დაწესებულების ძირითადი საქმიანობის განხორციელება ხელშეწყობილია ფუნქციებისა და პასუხისმგებლობის მიზნობრივად და ეფექტურად გადანაწილებით. სკოლაში დამტკიცებულია დოკუმენტი ,,პერსონალის მართვის პოლიტიკა'', რომლის მიზანია თანამშრომელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობა, სკოლის მაღალკვალიფიციური კადრებით უზრუნველყოფა და არსებული კადრების პროფესიული დონის ამაღლება. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა**

   სკოლაში დიდი ყურადღება ეთმობა ადამიანური რესურსების მოთხოვნისა და საჭიროების პროგნოზირებას. ამ მიმართულებით განსაკუთრებით აქტიურად არიან ჩართულები კათედრის წარმომადგენლები. დიდი მნიშვნელობა ენიჭება პროფესიონალური კადრების მოზიდვასა და მათ ადაპტაციას სასწავლო გარემოში. დირექციასა და მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ ტარდება სხვადასხვა აქტივობები (ურთიერთდასწრება, კათედრის შეხვედრებზე პრობლემატური საკითხების განხილვა და სხვა), რომლებიც ხელს უწყობს საჭიროებების გამოვლენასა და შესაბამისი პროფესიული განვითარების გეგმის შემუშავებას. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. **პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით**

   სკოლაში ვაკანტურ თანამდებობებზე კონკურსის ჩატარებისა და კანდიდატის შერჩევის მიზნით, სათანადო კვალიფიკაციის მქონე პირის გამოსავლენად სკოლა ხელმძღვანელობს მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის შესაბამისად შიდა და ღია კონკურსის საფუძველზე. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტში აღწერილია პოზიციის/თანამდებობის შესაბამისი ფუნქციები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები. სკოლას შემუშავებული აქვს კონკურსის გამოცხადების წესი და პროცედურების დოკუმენტი. კონკურსი ცხადდება საჯარო სკოლის სივრცეში და ასევე, განთავსდება ელექტრონულ პლატფორმაზე https://teacherjobs.ge/. კონკურსის სამართლიანად, ობიექტურად, მოუკერძოებლად და გამჭვირვალედ ჩატარების უზრუნველყოფის მიზნით

განისაზღვრება საკონკურსო კომისია, რომლის შემადგენლობაშიც ასევე გათვალისწინებულია გარედან მოწვეული პირები: განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს დარგობრივი დეპარტამენტის, საგანმანათლებლო რესურსცენტრის, სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრისა და მასწავლებელთა პროფესიული კავშირის წარმომადგენლები. საკონკურსო კომისია უზრუნველყოფს კონკურსის ეტაპების ჩატარებასა და კონკურსანტების შერჩევის პროცესს. შერჩევის პროცესის დასრულების შემდეგ, სამართლებრივი აქტით განსაზღვრული ვადის დაცვით იღებს გადაწყვეტილებას საკალიფიკაციო მოთხოვნების შესაბამისი კანდიდატის შერჩევის თაობაზე. ინკლუზიური განათლებაში ჩართული სპეციალისტების შერჩევა ასევე ხდება კონკურსის წესით, ინკლუზიური განათლების დანერგვის, განვითარებისა და მონიტორინგის წესების, ასევე სსსმ მოსწავლეთა იდენტიფიკაციის მექანიზაციების შესაბამისად. თანამშრომელთა პირად საქმეებში არის კანონმდებლობით გათვალისწინებული ცნობები. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

4. **პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს**

სკოლის პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ ნორმებსა და სკოლის მიერ კონკრეტული პოზიციის დასაკავებლად დამატებით გაწერილ პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. სკოლის ყველა თანამშრომელს აქვს პირადი საქმე, სადაც თავმოყრილია საკვალიფიკაციო მოთხოვნებში ასახული მტკიცებულებები. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

5. **პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს**

სკოლის სტრუქტურული ერთეულები: მოსწავლეთა თვითმმართველობა, სამეურვეო საბჭო, პედაგოგიური საბჭო, მრჩეველთა საბჭო, ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, დისციპლინური კომიტეტი და მრჩეველთა საბჭო ეფუძნება თანამშრომლობით პრინციპს. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

6. **სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი**

სკოლის შინაგანაწესით გათვალისწინებულია დასაქმებულის წახალისების სახეები. შინაგანაწესის თანახმად პროფესიულ საქმიანობაში მოპოვებული წარმატებისათვის ან/და შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების მაღალი პროფესიონალიზმით შესრულებისათვის ან/და დიდი მოცულობის, განსაკუთრებული სირთულის ან/და მნიშვნელობის სამუშაოს შესრულებისათვის, ხანგრძლივი და კეთილსინდისიერი სამსახურისთვის ან/და საგანმანათლებლო პროცესში განსაკუთრებულად თავის გამოჩენისათვის, სკოლა დასაქმებულის მიმართ იყენებს

წახალისების სხვადასხვა ფორმას. გარდა ამისა, სკოლა რეგულარულად აქვეყნებს ინფორმაციას სკოლის თანამშრომლეთა მიღწევების და განხორციელებული აქტივობების შესახებ სკოლის სოციალური ქსელის საშუალებით. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის სტრუქტურა;
- პერსონალის მართვის პოლიტიკა;
- საშტატო განრიგი;
- თანამშრომელთა პირადი საქმეები;
- შრომითი ხელშეკრულებები;
- eSchool ბაზის მონაცემები;
- თანამდებობრივი ინსტრუქციები;
- კონკურსის გამოცხადების წესი და პროცედურების დოკუმენტი;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები**

   სკოლას შემუშავებული აქვს პერსონალის მართვის პოლიტიკა, რომელიც ითვალისწინებს პროფესიული განვითარების მექანიზმებს. სკოლაში შეიქმნა პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში ჩართულ მასწავლებელთა ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, რომლის მთავარი მიზანია მასწავლებლების პროფესიული საჭიროების განსაზღვრა, მათ საქმიანობაზე დაკვირვება, შეფასება და განმავითარებელი უკუკავშირის მიცემა. აღნიშნულ დოკუმენტში გაწერილია ხარისხის ჯგუფის საქმიანობის, გაკვეთილზე დაკვირვება/შეფასების, მასწავლებლის საქმიანობის შეფასებისა და მათი განვითარების მიზნით სხვადასხვა აქტივობების დაგეგმვის მექანიზმები. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. **პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად**

   სკოლის მასწავლებელთა ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდამჭერი ჯგუფი აფასებს შესრულებული სამუშაოს, გამოკვეთს ძლიერ და გასაუმჯობესებელ მიმართულებებს, შემდეგ კი შედეგების ანალიზის საფუძველზე წლის ბოლოს გეგმავენ მიზნობრივი განვითარების პროცესს. დაგეგმვა-განხორციელებისას სკოლა თანამშრომლებს სთავაზობს პროფესიული განვითარების მრავალფეროვან აქტივობებს, როგორც სკოლის ბაზაზე, ასევე გარედან შემოთავაზებულ სერვისებს. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. **სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას**

   მასწავლებლებისათვის კარიერულ წინსვლას არეგულირებს "მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემა", რომლის უმთავრესი მოთხოვნა, რომ თითოეულმა სკოლამ შექმნას საკუთარი ხარისხი უზრუნველყოფის მექანიზმი. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტით, სკოლის დირექტორი უზრუნველყოფს პერსონალის ჩართულობას პროფესიული განვითარების აქტივობებში. იღებს მონაწილეთა უკუკავშირს აღნიშნული ღონისძიებების შესახებ და აფასებს აქტივობის ეფექტიანობას. დოკუმენტის თანახმად, პერსონალის პროფესიული განვითარების შესახებ ინფორმაციას დირექტორი იყენებს პერსონალის კარიერული წინსვლის გეგმის შემუშავებისთვის. ეტაპობრივად ხორციელდება მასწავლებელთა თვითშეფასების/შეფასების განხილვა. სკოლას შემუშავებული აქვს გაკვეთილის შეფასების რუბრიკა, რომლის საფუძველზეც ვლინდება პროფესიული საჭიროებების განსაზღვრა და იგეგმება პერსონალის განვითარების აქტივობები. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

4. **სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან**

   ახალი თანამშრომლის ადაპტაციის მექანიზმები გაწერილია ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკაში, სკოლის სასწავლო გეგმასა და ადაპტაციის წესში, რომელშიც აღწერილია ახალი თანამშრომლის კოლექტივთან ადაპტაციის პროცედურები. ადაპტაციის პროცესს სკოლა იწყებს სამუშაოს დაწყებამდე და დოკუმენტში ასევე აღწერილია

თითოეული აქტივობა, პასუხისმგებელი პირი და აქტივობის განხორციელების პერიოდი. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

5. **წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები**
   სკოლას შემუშავებული აქვს სკოლის შინაგანაწესი, რომლის თანახმად განსაზღვრულია პერსონალის წახალისების სახეები და გამოყენების წესი. შეფასების შედეგების შესაბამისად განსაზღვრულია თანამშრომლის წახალისების ფორმები: მადლობის გამოცხადება, სიგელით დაჯილდოება, ერთჯერადი (ფულადი) პრემიის გაცემა, ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება და სხვა. გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ მასწავლებელთა საჭიროებების დადგენის მიზნით კათედრებზე ხშირად ტარდება სხვადასხვა აქტივობები, რის შემდეგ ხდება პროფესიული განვითარების გეგმის შემუშავება. გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ საჭიროებებიდან გამომდინარე, სკოლა ხელს უწყობს პერსონალის პროფესიულ განვითარებას, მაგალითად, ბუღალტერმა გასულ წელს გაიარა პროფესიული ტრენინგი. სკოლის დირექცია, კათედრების მიმართვის საფუძველზე, უზრუნველყოფს ამ გეგმის შესაბამისი ინიციატივების განხორციელებას: ტრენინგები, ვებინარები და სხვა. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- გაკვეთილის შეფასების რუბრიკა;
- სკოლის შინაგანაწესი;
- ადაპტაციის წესი;
- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა.

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესების მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს**
   სკოლაში საგანმანათლებო საქმიანობის მართვის უზრუნველსაყოფად სკოლამ დაამტკიცა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი, რომელიც მიმართულია ერთი მხრივ სასწავლო პროცესის დაგეგმვისაკენ და მეორე მხრივ ხელს უწყობს ამ პროცესის განხორციელებასა და მის შეფასებასთან დაკავშირებული აქტივობების გაუმჯობესებისაკენ მიმართული ღონისძიებების განსაზღვრას. სასწავლო პროცესის ხარისხის მართვისა და მხარდამჭერი სისტემა გამართულია და მხრდამჭერი ჯგუფი საკუთარ საქმიანობას სისტემატურად განიხილავს სხდომებზე და გეგმავს სამომავლო ქმედებებს. სკოლაში ხარისხის მართვა ეფუძნება დაგეგმე-განახორციელე-შეაფასე-განავითარე პრინციპს. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
2. **იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები**
   სკოლის ადმინისტრაცია ახორციელებს სწავლა-სწავლების ხარისხის შეფასებასა და მონიტორინგს. ასევე მნიშვნელოვან რგოლს წარმოადგენს საგნობრივი კათედრები, მოსწავლეთა თვითმმართველობა, სამეურვეო საბჭო, პედაგოგიური საბჭო. საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები იდენტიფიცირებული და აღწერილია სკოლის შინაგანაწესში და ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტში. ძირითადი პროცესი - საგანმანთლებლო პროცესი - აღწერილია სსგ-ში. მაგალითად, დისციპლინური წარმოება ჩანს - შინაგანაწესში, პროცესები (საკადრო პოლიტიკა, საქმისწარმოების პროცესები და სხვა) აღწერილია სხვადასხვა დოკუმენტებში, როგორიცაა ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი. ხელშეკრულებები

და შინაგანაწესი აწესრიგებს შრომითი ურთიერთობის წარმოშობას და შრომითი ურთიერთობის პირობებს (სამსახურში გამოუცხადებლობის შეტყობინების წესს, ანაზღაურებადი და ანაზღაურების გარეშე შვებულების ხანგრძლივობას და მიცემის წესს, შვებულებას ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო და სხვა). საქმისწარმოების პროცესები ეფუძნება საქმისწარმოების წესს. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. **სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა**
   სკოლას შემუშავებული აქვს თანამშრომლების, მოსწავლეების /მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების საჩივრების განხილვის წესი. სკოლაში შემოსულ განცხადებაზე/საჩივარზე ადმინისტრაცია რეაგირებას ახდენს საქართველოს კანონმდებლობის და სკოლის განცხადებისა და საჩივრის წესის შესაბამისად. საჩივრის განხილვის ეფექტურობისთვის მოქმედებს სამეურვეო საბჭო, დისციპლინური კომიტეტი დისციპლინური გადაცდომების განსახილველად. დისციპლინურ კომიტეტში თანაბარი რაოდენობით არიან წარმოდგენილი მოსწავლეები (მოსწავლეთა თვითმმართველობის წარდგენით), მშობლები (სამეურვეო საბჭოს წარდგენით), მასწავლებლები (პედსაბჭოს წარდგენით); სკოლის შინაგანაწესში მკაფიოდ არის გაწერილი დისციპლინური სახდელები და დარღვევათა ტიპები. სკოლა საჭიროების შემთხვევაში ქმნის სააპელაციო კომისიას. ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულია სემესტრული გამოცდის დანიშვნის წესი. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
4. **სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები**
   სკოლის ყველა პერსონალის/მშობლის კანონიერი უფლებების დაცვის მიზნით შემუშავებულია სკოლის შინაგანაწესი, მოქმედებს დისციპლინური კომიტეტი; სკოლის თანამშრომლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები, სადაც გაწერილია მათი უფლებები და მოვალეობები. ასევე ისინი ეცნობიან სკოლის შინაგანაწესს, „გასაჩივრების დეტალურ პროცედურებს“, სადაც ასახულია გასაჩივრების წესი და მათი უფლებების დაცვის მექანიზმები. პერსონალის კანონიერი უფლებების დაცვისათვის სკოლას შემუშავებული აქვს შინაგანაწესი, რომელშიც ამომწურავადაა გაწერილი დისციპლინური გადაცდომების ნუსხა და პასუხისმგებლობის სახეები. იმ შემთხვევაში, თუ საგანმანათლებლო მიზნებიდან გამომდინარე იზღუდება სასკოლო საზოგადოების რომელიმე წევრის უფლება, სკოლა მას განუმარტავს უფლების შეზღუდვის საფუძველს და აუცილებლობას. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის შინაგანაწესი;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა;
- საჩივრებისა და განცხადების განხილვის წესი;
- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
- სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია;
- სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები;
- კანონიერი უფლებების დაცვის დოკუმენტი;
- პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი;
- ხელშეკრულებები;
- ხარისხის ჯგუფის შექმნის ბრძანება;
- ხარისხის მართვის მენეჯერის ხელშეკრულება;
- ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა;
- გასაჩივრების წესი .

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები**

   მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები ციკლური პროცესია. სასკოლო კურიკულუმი და მისი მხარდამჭერი მასალები ხელმისაწვდომია და საჯაროა სასკოლო საზოგადოების ყველა დაინტერესებული მხარისთვის. მაგ. საგნობრივი პროგრამები, სადამრიგებლო საათის პროგრამა, სასკოლო სასწავლო გეგმის აკადემიური კალენდარი, არაფორმალური სწავლის სხვადასხვა საშუალებები და ა.შ. სკოლას შემუშავებული აქვს მშობლებთან ურთიერთობის დებულება, რომლის თანახმად განსაზღვრულია მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან ურთიერთობის ფორმა და პრინციპები. მშობელთან კომუნიკაცია და მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ ინფორმაციის მიწოდება ხდება მშობელთა კრებებზე კანონმდებლობით დადგენილი კონფედენციალურობის დაცვით, ელექტრონული პლატფორმის გამოყენებით,

(ელექტრონული ჟურნალი შეფასება, კომენტარი) მშობელთა ინდივიდუალური შეხვედრებით, ელექტრონული ფოსტის, ტელეფონის, სოციალური ქსელის მეშვეობით. სკოლას შემუშავებული აქვს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები, რითაც დადგენილია უკუკავშირის მიღებისა და მასზე რეაგირების პროცედურები. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. **უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა**

   სკოლისათვის მნიშვნელოვანია რომ სასკოლო საზოგადოების ყველა დაინტერესებულ მხარეს ჰქონდეს მონაწილეობის, საკუთარი აზრის გამოთქმისა და პოზიციის დაფიქსირების შესაძლებლობა. სკოლაში კანონმდებლობითაა განსაზღვრული კოლეგიალური ორგანოების: სამეურვეო საბჭოს, დისციპლინური კომიტეტის, მოსწავლეთა თვითმმართველობის, მრჩეველთა საბჭოს არსებობა, რომელიც დაკომპლექტებულია მასწავლებლების, მოსწავლეების, მშობლების წარმომადგენლებით. ისინი აქტიურად მონაწილეობენ სტრატეგიული მიზნების მისაღწევად შექმნილი სამოქმედო გეგმის შესრულების პროცესში. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის სოციალური გვერდი;
- დამრიგებლის პორტფოლიო;
- მშობლებთან ურთიერთობის დებულება

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა**

   სკოლის ინფრასტრუქტურა, ადამიანური რესურსი ემსახურება მოსწავლეთა ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას. სასკოლო საზოგადოების წევრების ფიზიკური უსაფრთხოები დასაცავად, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შემუშავებული აქვს შინაგანაწესი, უსაფრთხოების პოლიტიკა, სამედიცინო დახმარების აღმოჩენის წესი და საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების გეგმა. გაფორმებულია ხელშეკრულება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების დარაჯის პოზიციაზე. სკოლას ჰყავს მანდატურები, ექიმები. შემუშავებულია კლასის მასწავლებელთა მორიგეობის განრიგი, სკოლის ორივე შენობაში ყველა სართულზე განთავსებულია ცეცხლმაქრები, საევაკუაციო გეგმა. სკოლაში მანდატურის სამსახურის მხრიდან უზრუნველყოფილია უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში შიდა და გარე პერიმეტრზე განთავსებულია ვიდეო კამერები.

   ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შენობის დაცვაზე პასუხისმგებელია სკოლის დარაჯი. სკოლას აქვს ჟურნალი, სადაც აღირიცხება სკოლაში შემსვლელ-გამსვლელი პირები. სასწავლო პროცესის დროს უცხო პირების გადაადგილება დაუშვებელია, გარდა განსაკუთრებული შემთხვევებისა. სკოლიდან მოსწავლის გასვლა სასწავლო პროცესის დროს დაუშვებელია საშვის გარეშე, რომელიც თანხმდება მშობელთან, დამრიგებელის რეკომენდაციისა და დირექტორის ნებართვით.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას აქვს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალ სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან შეთანხმებული და სკოლის დირექტორის მიერ დამტკიცებული საგანგებო მართვის გეგმა. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ყველა სართულზე, კედელზე განთავსებულია საევაკუაციო გეგმა, რომელიც შეესაბამება შენობის აზომვით ნახაზს და მასზე მითითებულია საევაკუაციო გასასვლელი.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში ფუნქციონირებს კანონმდებლობის დაცვით შექმნილი უსაფრთხოების მრჩეველთა საბჭო. სკოლა უზრუნველყოფს პირველადი დახმარების აღმოჩენას. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას ჰყავს კვალიფიკაციის შესაბამისი 2 ექიმი.

სკოლას აქვს სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს მიერ გაცემული შენობა-ნაგებობების ექსპლუატაციის მდგრადობის დასკვნა - ორივე შენობასთან მიმართებით, სადაც აღნიშნულია, რომ შენობების ექსპლუატაცია შესაძლებებია, მაგრამ მათი შემდგომი ხანგრძლივი უსაფრთხო ექსპლუატაციისათვის საჭიროა გაძლიერებითი და სარეაბილიტაციო სამუშაობების ჩატარება. დასკვნაში მითითებულია, რომ შენობების დაზიანებების ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი იყო სარდაფის ნაწილში წყლის არსებობა და ტექნიკური მოუვლელობა. სკოლამ უზრუნველყო სარდაფებისა და სკოლის ტერიტორიაზე არსებული საკანალიზაციო ჭების ამოსუფთავება, სარდაფებიდან წყლის ამოტუმბვა და ტექნიკური დასუფთავება.

შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების ტექნიკურ რეგლამენტთან და სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, გაგზავნილია კორსპონდენცია შესაბამის უწყებასთან, კერძოდ, შსს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან.

სკოლას არ ჰყავს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი. შრომის უსაფრთხოების სერტიფიცირებულ სპეციალისტთან მიმართებით სკოლას მიეცა რჩევა, იზრუნოს შესაბამისი კვალიფიკაციის კადრის დასაქმებაზე.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

2. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას**

სკოლა უზრუნველყოფს პირველადი დახმარების აღმოჩენას. კერძოდ, სკოლას ჰყავს კვალიფიკაციის შესაბამისი 2 ექიმი პედიატრი, შენობაში განთავსებულია სათანადო ინვენტარითა და მედიკამენტებით აღჭურვილი 2 სამედიცინო კაბინეტი (ერთი პირველ და ერთი - მეორე კორპუსში). სამედიცინო კაბინეტში არსებული მედიკამენტები ინახება დაცულ კარადაში შესაბამის პირობებში და მასთან წვდომა აქვს მხოლოდ ექიმებს. ექიმები აწარმოებენ სამედიცინო კაბინეტში არსებული მედიკამენტების ჟურნალს. სკოლის დირექტორის მიერ დამტკიცებულია სამედიცინო დახმარების აღმოჩენის

წესი, სადაც გათვალისწინებულია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტერიტორიაზე პირველადი დახმარების პროტოკოლი. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. **სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას**

სკოლაში დაცულია საზოგადოებრივი წესრიგი და სკოლის პერსონალი ხელმძღვანელობს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის N06/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესითა და პირობებით.'' საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით სკოლის ტერიტორიაზე კონტროლდება გარეშე პირების გადაადგილება. სკოლის ტერიტორიაზე შემომსვლელს აკონტროლებს უფლებამოსილი პირი. დირექტორის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტით განსაზღვრულია პირად გასინჯვაზე უფლებამოსილი პირი. საკლასო ოთახებში და დერეფანში წესრიგის დაცვაზე პასუხისმგებელია მორიგე მასწავლებელი და კლასის დამრიგებელი. დისციპლინურ გადაცდომებზე სკოლა რეაგირებას ახდენს შინაგანაწესით დადგენილი ნორმებისა და პროცედურების გათვალისწინებით, დისციპლინური წარმოების ფარგლებში ახორციელებს შესაბამის ღონისძიებებს. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

.

4. **სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს**

სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს და სისტემატურად ზრუნავს მოსწავლეთა ფსიქოლოგიური კეთილდღეობის დაცვაზე. აღნიშნული მიმართულება წარმოადგენს სკოლის ერთ-ერთ პრიორიტეტს და ინტეგრირებულია როგორც სასწავლო, ისე აღზრდით პროცესში. ამ მიზნით სკოლაში მოქმედებს ბავშვთა მიმართ განხორციელებული ძალადობის შემთხვევებზე რეაგირების შიდა ინსტრუქცია, რომელიც შემუშავებულია საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების შესაბამისად. ინსტრუქცია განსაზღვრავს მოსწავლის მიმართ ფიზიკური, ფსიქოლოგიური, ემოციური, ეკონომიკური და სხვა ფორმის ძალადობის ნიშნების იდენტიფიცირების, რეაგირებისა და შესაბამის უწყებებთან თანამშრომლობის მექანიზმებს. ძალადობის ნიშნებზე ეჭვის გაჩენის შემთხვევაში, სკოლის მიერ უზრუნველყოფილია მოსწავლესთან ინდივიდუალური გასაუბრება, დაცული კომუნიკაციისა და კონფიდენციალურობის პრინციპების გათვალისწინებით. შემდგომ ეტაპზე, სკოლის მიერ განსაზღვრული რეფერირებაზე პასუხისმგებელი პირი ახდენს მოსწავლის შესაბამის სერვისებზე რეფერირებას, რის საფუძველზეც ფსიქოლოგიური სამსახური უკავშირდება მოსწავლეს და ატარებს საჭირო მხარდამჭერ და პრევენციულ ღონისძიებებს. ამასთანავე, სკოლაში ინკლუზიური განათლების ფარგლებში დასაქმებული არიან სპეციალური მასწავლებლები და პირადი ასისტენტები, რომლებიც

უზრუნველყოფენ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთა (სსსმ) ემოციურ, ფსიქოლოგიურ სტაბილურობასა და უსაფრთხოებას, ხელს უწყობენ მათ სრულფასოვან ჩართულობას სასკოლო ცხოვრებაში. სკოლის დამრიგებლები სადამრიგებლო საათის ფარგლებში სისტემატურად აწვდიან მოსწავლეებს ინფორმაციას ურთიერთპატივისცემის, უსაფრთხო ქცევის, ბულინგისა და ძალადობის პრევენციის საკითხებზე და ზრუნავენ თანასწორი, მხარდამჭერი გარემოს ჩამოყალიბებაზე. სკოლაში დაგეგმილი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო აქტივობები მიზანმიმართულად არის ორიენტირებული მოსწავლეთა ფსიქოლოგიური უსაფრთხოების, ემოციური კეთილდღეობისა და პოზიტიური სასკოლო კლიმატის უზრუნველყოფაზე. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

5. **სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას**

სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას; სკოლა მოწესრიგებულია, სისუფთავის დაცვაზე პასუხისმგებელია შრომითი ხელშკრულებით დასაქმებული 12 დამლაგებელი. სკოლის დამლაგებლები იცავენ ყოველდღიურად სისუფთავეს სკოლის მთელ ტერიტორიაზე. დამლაგებლები უზრუნველყოფენ სკოლის ეზოს სისუფთავეს, არსებობს გამიჯნული სანიტარული კვანძები, ცალკე გოგონებისა და ცალკე ვაჟებისთვის. პედაგოგებისთვის და სხვა პერსონალისთვის არსებობს სანიტარული კვანძი დამოუკიდებელი შესასვლელით. სველი სანიტარული კვანძები უზრუნველყოფილია წყლისა და განათების უწყვეტი მიწოდებით, სათანადოდ აღჭურვილი, მოხერხებული, პრივატული, დაცული, სუფთა, საზოგადოების კულტურული და სოციალური განვითარების დონისათვის შესაფერისი, ხელმისაწვდომი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მოსწავლეებისა და პერსონალისათვის. ყველა სველი წერტილი უზრუნველყოფილია პირადი ჰიგიენის დაცვის საშუალებებით. კონკრეტულად: ქაღალდი, საპონი, ხელსახოცი, ნარჩენების კალათი დახურული თავით. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

6. **სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას**

სკოლას დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული აქვს პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმები. დოკუმენტის მიზანია განსაზღვროს შეგროვებული პერსონალური მონაცემების დაცვის, დამუშავების წესები და პროცედურები. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების პეროსონალსა და მოსწავლეების მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებით განსაზღვრულია პერსონალური ინფორმაციის გაცემის პირობები. სკოლა აქტიურად თანამშრომლობს რესურსცენტრთან არსებული პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერთან. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

7. **სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები**

სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დოკუმენტის გაცნობას სკოლაში დასაქმებული პირების, მოსწავლეებისა და მათი მშობლების/კანონიერი წარმომადგენლებისათვის, ხოლო საჭიროების შემთხვევაში, ყველა დაინტერესებულ პირს განუმარტავს პერსონალური მონაცემების დამუშავების პრინციპებს. ბრძანებით დამტკიცებულია პერსონალურ მონაცემთა დაცვის მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირი - პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი - რესურსცენტრის თანამშრომელი. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სოციალურ გვერდზე ხშირად იდება მოსწავლეების ფოტოები, თუმცა ამის შესახებ მშობლებისგან სკოლას თანხმობა მიღებული აქვს. ნებისმიერი სახის პერსონალური ინფორმაციის გაცემა, იქნება ეს მატერიალური თუ ელექტრონული სახით, ხდება მხოლოდ თანამშრომელთან, მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან შეთანხმებით. ასევე ხდება მონაცემების დაცვა მოსწავლეთა და თანამშრომელთა პირადი საქმის წარმოებისას. ზოგადსაგანმანათლებლო პროცესის ეფექტიანი მართვის მიზნით, სკოლა ახორციელებს მოსწავლეთა და თანამშრომელთა პირადი საქმეების წარმოებას. პირადი საქმე ინახება დაცულ ადგილას. პირადი საქმის შენახვასა და დაცვაზე პასუხისმგებელი პირი ბრძანებით დამტკიცებულია საქმისმწარმოებელი. მოსწავლეთა და თანამშრომელთა პირად საქმეებზე წვდომის უფლებამოსილება აქვთ მხოლოდ უფლებამოსილ პირებს: სკოლის დირექტორს, საქმისმწარმოებელს, დირექტორის მოადგილეებს და შესაბამისი კლასის დამრიგებელს (მხოლოდ მისი სადამრიგებლო კლასის მოსწავლეთა პირად საქმეებზე). **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

8. **სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის**

სკოლის შიდა სამართლებრივი აქტებით განისაზღვრება ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმები. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება პერიოდულად აფასებს უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად დანერგილი მექანიზმების ფუნქციონირებას. მაგალითად, დარაჯების მუშაობა (დაკვირვების რეჟიმში), მათი დახმარება, მორიგეობა სართულებზე, დერეფნებში და ა.შ. მრჩეველთა საბჭოს სხდომებზე განიხილება უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ საკითხები, რომელიც იღებს შესაბამის რეკომენდაციებს და ისმენს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების დირექტორის ანგარიშს რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობასთან დაკავშირებით. მრჩეველთა საბჭოს სხდომებს სკოლა იყენებს იმ ღონისძიებათა (მათ შორის პრევენციული) დასაგეგმად, რომელიც მიზანშეწონილია ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების გაუმჯობესებისთვის. საქმეებზე). **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- დასკვნა სკოლის შენობის მდგრადობის შესახებ;
- შენობის სახანძრო უსაფრთხოების შესახებ დოკუმენტაცია;
- „პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესისა და მონიტორინგის მექანიზმები“;
- სკოლის დირექტორის ბრძანება სკოლაში საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ;
- სკოლის შინაგანაწესი;
- საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა;
- სკოლის უსაფრთხოების პოლიტიკა;
- სკოლის სამედიცინო დახმარების აღმოჩენის წესის დამტკიცების შესახებ ბრძანება;

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**
   სკოლის პირველი ძირითადი ადმინისტრაციული შენობა, რომლის მისამართია დიდი დიღომი, მე-3 მიკრო რაიონი და მეორე კორპუსი, რომლის მისამართია დიდი დიღომი, მე-4 მიკრო რაიონი, არჩილს მეფის # 27. სკოლის ორივე შენობა სარეაბილიტაციოა, თუმცა სკოლას აქვს მდგრადობის დასკვნა, რაც ადასტურებს, რომ სკოლა ექსპლუატაციისთვის ვარგისია. სკოლაში განთავსებულია სულ 50 საკლასო ოთახი (37 ძირითად და 13 მეორე კორპუსში), რესურსოთახები (სულ 3), საბუნებისმეტყველო ლაბორატორია - 1, საბუნებისმეტყველო კაბინეტი, კომპიუტერული ლაბორატორია - 2, ბიბლიოთეკა, სამკითხველო, ექიმის ოთახი - 2, სამასწავლებლო - 2, სააქტო დარბაზები, სპორტული დარბაზები, ღია სპორტული მოედანი, დირექტორის კაბინეტი, კანცელარია. საკლასო ოთახები აღჭურვილია მოსწავლეთა რაოდენობის შესაბამისი მერხებით, სკამებით, მასწავლებლის მაგიდით, სკამით, კარადებითა და დაფებით. სკოლას აქვს 15 სველი წერტილი; სველი წერტილ არის საბუნებისმეტყველო ლაბორატორიაშიც. სკოლა უზრუნველყოფილია მუდმივი წყლით და წყლის რეზერვუარით. შენობებში დამონტაჟებულია ცენტრალური გათბობის სისტემა; სკოლის ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს დადგენილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
2. **დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის**
   სკოლის ინფრასტრუქტურა, სხვადასხვა სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის, ამის შესაძლებლობას მათ აძლევს სკოლის შინაგანაწესი, სასკოლო სასწავლო გეგმა, მატერიალური რესურსით სარგებლობის წესი, (მოიცავს ლაბორატორიების, სპორტული ინფრასტრუქტურის, რესურს ოთახის გამოყენების წესებს), ბიბლიოთეკის სარგებლობის წესი, პერსონალსა და მოსწვალეების მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები. სკოლის პერსონალი გადანაწილებულია სხვადასხვა სამუშაო სივრცეში და იყენებენ სკოლის ინტერნეტსა და სკოლის ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს. რესურსოთახები მოწესრიგებულია, აღჭურვილია შესაბამისი ტექნიკური საშუალებებითა და რესურსებით. მოსწავლეებისთვის სკოლაში არსებობს რეკრეაციული სივრცეები (ფოიე, დერეფანი, ეზო) სხვა მოსწავლეებთან ან მასწავლებლებთან კომუნიკაციისთვის. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
3. **სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით**

სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას დადგენილი წესის მიხედვით; სკოლას შემუშავებული აქვს ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი. სკოლაში მოქმედებს ბიბლიოთეკის დებულება. დაწესებულებაში დასაქმებულია ბიბლიოთეკარი, სკოლაში დაცულია საბიბლიოთეკო წესით რეგისტრირებული სახელმძღვანელოები, მხატვრული და პროფესიული ლიტერატურა. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

4. **სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს**

სკოლის ინფრასტრუქტურა არ არის სრულად ადაპტირებული შშმ პირებისთვის. სკოლას (ორივე შენობა) არ აქვს ლიფტი, ან რაიმე მექანიზმი იმისათვის, რომ საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი, რომელიც განთავსებულია სართულებზე (გარდა პირველი სართულისა) ხელმისაწვდომი იყოს შშმ პირთათვის. **სკოლამ, არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად, წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა 3.5.1.4 ინდიკატორის მიმართ, სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადად მითითებულია 11.05.2026 წ. – 11.05.2028 წ. აქედან გამომდინარე, ინდიკატორი შეფასდა როგორც „ნაწილობრივ შეესაბამება“.**

5. **სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას**

სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას. სკოლის ინფრასტრუქტურა იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ იგი ჩამოყალიბდეს კიდევ უფრო უკეთეს სოციო-კულტურულ სივრცედ. სკოლას აქვს სააქტო დარბაზი, რომელშიც ტარდება სხვადასხვა სასკოლო ღონისძიებები. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მატერიალური რესურსების ფლობის დოკუმენტაცია;
- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;
- პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის წესი;
- ინვენტარიზაციის შედეგები;
- ბიბლიოთეკის დებულება.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☒ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას**
   ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას; სკოლას აქვს სასკოლო-სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისთვის აუცილებელი საინფორმაციო საკომუნიკაციო ტექნოლოგები. სკოლაში ხელმისაწვდომია პერსონალური კომპიუტერები და ლეპტოებპი; კომპიუტერული ლაბორატორია აღჭურვილია პერსონალური კომპიუტერითა და ლეპტოპით; სკოლის დირექცია და ადმინისტრაცია უზრუნველყოფილია საჭირო კომპიუტერული ტექნიკით. სკოლას აქვს პროექტორი, კომბინირებული პრინტერის აპარატი, სკოლის მთელი ტერიტორია დაფარულია ინტერნეტით, აღნიშნულის გათვალისწინებით სკოლაში არსებული ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას. სკოლის ბიბლიოთეკა აღჭურვილია პერსონალური კომპიუტერითა და პრინტერით. რესურსოთახებშიც არის კომპიუტერები და პრინტერი, კომპიუტერულ ლაბორატორიაში, სამასწავლებლოში და თითოეულ კათედრის ფარგლებში პედაგოგებს აქვთ შესაძლებლობა მოიძიონ მათთვის საჭირო ელექტრონული რესურსები და მრავალფეროვანი საგანმანათლებლო მასალები. გარდა ამისა სკოლა სარგებლობს ელექტრონული ხელმოწერით (ტოკენის) საშუალებით. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად**
   ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად. სკოლას შემუშავებული აქვს კომპიუტერული ლაბორატორიით სარგებლობის წესი, მასწავლებლების სარგებლობაშია ასევე ლეპტოპები, პროექტორი და სხვა ტექნიკა საგნობრივი პროგრამების მიზნების მიღწევს ხელშეწყობისათვის. სკოლას შემუშავებული აქვს ციფრული განვითარების გეგმა. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სტრატეგიული განვითარების გეგმა;
- საინფორმაციო ტექნოლოგიების ფლობის დოკუმენტაცია;
- ლაბორატორიებით სარგებლობის წესი;

3.6.2. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი**
   სსიპ ქალაქ თბილისის №192 საჯარო სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისად სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული საქმისწარმოების წესი, რომელიც განსაზღვრავს სკოლაში საქმისწარმოების ორგანიზების სისტემასა და ადგენს დოკუმენტებზე, მოქალაქეთა განცხადებებზე და წერილებზე მუშაობის წესს, რომელიც ხორციელდება eFlow, eSchool ელექტრონული სისტემების საშუალებით. საქმისმწარმოებელი eFlow-ს სისტემაში არეგისტრირებს შემოსულ და გასულ წერილებს, აქვე ხდება ბრძანებების, წერილების, მოხსენებითი ბარათების და სხვა აღრიცხვა. საქმისწარმოებაში ჩართულია სკოლის დირექტორიც. მოცემული სისტემა გამოიყენება მასწავლებლებთან, რესურსცენტრთან, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან, სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებთან კომუნიკაციის საშუალებადაც. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა**
   სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა; სკოლა იყენებს საქმისწარმოების თანამედროვე ტექნოლოგიებს. eFlow-ს სისტემაში ტარდება ყველა დოკუმენტი. სკოლას აქვს eSchool-ის ერთიანი ბაზის სისტემა, რომლის მხარდაჭერას უზრუნველყოფს სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა. სისტემაში შეყვანილია სკოლის ძირითადი ინფორმაცია, სკოლის პერსონალის მონაცემები, მოსწავლეებისა და მათი მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მონაცემები, საკონტაქტო ინფორმაციები. აღნიშნულ ბაზაში მუშაობს საინფორმაციო მენეჯერი. მოსწავლეთა მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და ჩარიცხვა-ამორიცხვის პროცესი წარიმართება eSchool-ის სისტემის მეშვეობით. სკოლას აქვს ელექტრონული ფოსტა, ვებ გვერდი სადაც ხდება ინფორმაციის გაცვლა და სხვადასხვა მნიშვნელოვანი ინფორმაციის მიღება. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
3. **სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში**
   სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში; სკოლას აქვს eSchool საკუთარი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში. სკოლის საინფორმაციო ბარათში შეყვანილია ინფორმაცია: მისამართი, იურიდიული სტატუსი, საგანმანათლებლო სტატუსი, საიდენტიფიკაციო კოდი, სექტორი, სკოლის საკონტაქტო ინფორმაცია. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
4. **სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან**
   სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან. აღნიშნული დასტურდება შემოსული და გასული კორესპონდენციების eFlow ელექტრონილი დოკუმენტბრუნვის სისტემაში გატარებული მონაცემებით. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საქმისწარმოების წესი;
- ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მონაცემები;
- შემოსული და გასული კორესპონდენციები;
- ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში არსებული პროფილი.

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით**

   სასკოლო საზოგადოების ინფორმირებისთვის სკოლა იყენებს სკოლის ვებგვერდს, სოციალური გვერდსა და დახურულ ჯგუფებს, რომელთა დახმარებითაც სასკოლო საზოგადოების წევრები და დაინტერესებული პირები იღებენ ინფორმაციას სკოლაში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით. დაინტერესებულ პირს ასევე შესაძლებლობა აქვს, კითხვით მიმართოს სკოლას ელექტრონულ ფოსტაზე. სასკოლო სივრცეში თვალსაჩინო ადგილასაა განთავსებული საინფორმაციო დაფა, რომელზეც რეგულარულად ხდება სიახლეების განთავსება. სოციალური ქსელის მართვას უზრუნველყოფს ადმინისტრაცია, რომელიც პასუხისმგებელია აღნიშნულ სივრცეში სწორი და დროული ინფორმაციის განთავსებაზე. ამასთან საკომუნიკაციო არხად იყენებს ასევე სკოლის ელექტრონულ ფოსტას. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას**

   სკოლა უზრუნველყოფს საქმიანობის, მათ შორის განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას; სკოლის ვებ-გვერდზე განთავსებულია ინფორმაცია სკოლის მარეგულირებელი დოკუმენტების შესახებ. აღნიშნული ინფორმაცია არის უტყუარი და სანდო. ინფორმაციისა და სიახლეების სანდოობა დასტურდება ჩატარებული ღონისძიებების, პროექტების, შეჯიბრებების ამსახველი ფოტომასალით. ასევე, სკოლის დირექცია იღებს პასუხისმგებლობას გავრცელებული ინფორმაციის სისწორეზე. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. **საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად**

   სკოლა ეფექტურად იყენებს ზემოჩამოთვლილ საკომუნიკაციო არხებს სასკოლო საზოგადოებასა და ზოგადად დაინტერესებულ პირებთან უწყვეტი და სწრაფი კომუნიკაციისათვის. მიღებული უკუკაშირების გათვალისწინებით

იგეგმება ხარისხზე ორიენტირებული სასწავლო- სააღმზრდელო პროცესი. სკოლას აქვს მზაობა მაქსიმალურად გაითვალისწინოს სასკოლო საზოგადოების მოთხოვნები, სურვილები და ინიციატივები საქმიანობის პროცესში. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

4. **სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას**
   სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე, შესაბამისი გვერდი skolebi.emis.ge, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
5. **ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია**
   დაწესებულების ვებ-გვერდი შეიცავს ინდიკატორით განსაზღვრული აუცილებელ მოთხოვნებს. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის ვებ-გვერდი;
- მართვის საინფორმაციო სისტემის პროფილი;
- სკოლის ელექტრონული ფოსტა;

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება**
   სკოლა ბიუჯეტის პროექტის მომზადებისას ითავლისწინებს სავარაუდო შემოსავლებს, მომდევნო წლის პრიორიტეტებს, სავარაუდო ხარჯებს, წინა წლის გამოცდილებას და საბიუჯეტო კალენდარს. სკოლის შემოსავლების ძირითად წყაროს წარმოადგენს სახელმწიფო ვაუჩერული დაფინანსება - „ზოგადი განათლების დასაფინანსებლად ერთ მოსწავლეზე გათვლილი ფინანსური ნორმატივისა და მისი შესაბამისი სტანდარტული ვაუჩერის ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 14 სექტემბრის №476 დადგენილებით გათვალისწინებული ერთ მოსწავლეზე გათვლილი ფინანსური ნორმატივის შესაბამისი სტანდარტული ვაუჩერი. აგრეთვე, ბუფეტის, ქორეოგრაფიული და კალათბურთის წრეებისათვის იჯარით გაცემული ფართებიდან მიღებული შემოსავლები. დაფინანსების წყაროები ასახულია სკოლის ბიუჯეტში და მიემართება სკოლის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულ აქტივობების განხორციელებას. ფინანსური რესურსების ეფექტიანი მართვა სკოლას აძლევს საშუალებას უზრუნველყოს გამართული, უსაფრთხო და მოწესრიგებული ინფრასტრუქტურა, ხოლო სასწავლო პროცესი იყოს შეუფერხებელი და ხარისხზე ორიენტირებული. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა**
   სკოლის ბიუჯეტს შეიმუშავებს სკოლის დირექტორი, სკოლის სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულებიდან მიღებული ინფორმაციის შესწავლისა და ანალიზის საფუძველზე, სკოლის ბიუჯეტს ამტკიცებს და საჭიროების შემთხვევაში მასში ცვლილებები შექავს სამეურვეო საბჭოს. სამეურვეო საბჭოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით წარედგინება სკოლის ფინანსური საქმიანობის, გაწეული ხარჯებისა და შედეგების შესახებ ანგარიში, რომლის საფუძველზეც მოწმდება ბიუჯეტის ხარჯვის კანონიერება. სკოლას შემუშავებული აქვს სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმა,

რომელიც აისახება ელექტრონულ E-PLAN სისტემაში კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად. სკოლის ფინანსურ საქმიანობას აკონტროლებს სკოლის სამეურვეო საბჭო, რომელიც ყოველი წლის არაუგვიანეს 10 დეკემბრისა ისმენს დირექტორის ანგარიშს გაწეული საქმიანობის თაობაზე. სკოლა კანონმდებლობის შესაბამისად უზრუნველყოფს ფინანსური ანგარიშგების (ბალანსის) წარდგენას შესაბამისი უწყებისთვის. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის დამტკიცებული ბიუჯეტი;
- სკოლის სამეურვეო საბჭოს ოქმი ფინანსური ანგარიშისა და ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ;
- ბიუჯეტის შესრულების ანგარიშები;
- შესყიდვების წლიური გეგმა;
- სკოლის ფინანსური აქტივების ინვენტარიზაციის შედეგები;

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა
4.1. მოსწავლეთა უფლებების დაცვა
4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა**

   სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვას. სკოლის შინაგანაწესითა და სხვა შიდა მარეგულირებელი აქტებით გარანტირებულია ის, რომ მოსწავლეები სკოლაში, თანაბარ პირობებში, დისკრიმინაციის გარეშე სარგებლობენ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული განათლების შეუზღუდავად მიღების უფლებით, მატერიალური თუ ადამიანური რესურსის სერვისით. მათთვის შექმნილია უსაფრთხო, თანამშრომლობითი, ინკლუზიური გარემო. სკოლის შინაგანაწესში დეტალურად არის განსაზღვრული უფლებები და მოვალეობები, ასევე მათი დარღვევის შემთხვევაში პასუხისმგებლობის ფორმები, სკოლაში შექმნილია დისციპლინური კომიტეტი, რომელიც საჭიროების შემთხვევაში განიხილავს შინაგანაწესით დადგენილი მოთხოვნების გადაცდომის საკითხებს. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა თვითმმართველობა, რომლის საქმიანობაც მიემართება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველსაყოფად; **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. **მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან**

   სკოლის შინაგანაწესი განთავსებულია სკოლის ცენტრალურ ფოიეში, საინფორმაციო დაფაზე. შესაბამისად, სასკოლო საზოგადოებას აქვს შესაძლებლობა გაეცნოს სასკოლო რეგულაციებს. სასწავლო წლის დასაწყისში მოსწავლეებსა და მათ მშობლებს ან მოსწავლის კანონიერ წარმომადგენლებს დამრიგებელი აცნობს შინაგანაწესს, ქცევის კოდექსს, უსაფრთხოების წესებსა და შიდა მარეგულირებელ დოკუმენტებს, რაც გაწერილია სასკოლო სასწავლო გეგმასა და შინაგანაწესის შესავალ ნაწილში. სკოლის შინაგანაწესის შექმნის პროცესში ჩართულია სასკოლო საზოგადოება (მოსწავლე, მშობელი, მასწავლებელი, თვითმმართველობა), რომელიც განიხილავს შინაგანაწესის პროექტს და წარმოადგენს რეკომენდაციებს. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. **მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება**

   მოსწავლე/მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელთან. ხელშეკრულება შემუშავებულია ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად. მასში ასახულია მოსწავლის და მოსწავლის მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის

უფლებები და მოვალეობები. სკლაში ვიზიტის დროს ხელშეკრულებები გაფორმებული იყო მხოლოდ I-V კლასის მშობლებთან. სკოლამ, არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა მტკიცებულება იმისა, რომ ყველა მოსწავლის მშობელთან/მათ კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია ხელშეკრულებები.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის შინაგანაწესი;
- მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულება;
- მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული ხელშეკრულებები;
- რეფერირების წესი;
- გასაჩივრების წესი.

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები**
   სკოლაში მოქმედებს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები. სკოლა მოსწავლეთათვის სტატუსის შეჩერებისა და აღდგენის დროს ხელმძღვანელობს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 11 იანვრის N04/ნ ბრძანების შესაბამისად. სსსმ მოსწავლეთა ჩარიცხვა სკოლაში ხდება მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნის საფუძველზე. საფეხურის დაძლევის გამჭირვალე მექანიზმი სკოლას გაწერილი აქვს სასკოლო სასწავლო გეგმაში. პირველ კლასში მოსწავლის ჩარიცხვის პროცედურა ხორციელდება დადგენილი წესით, კერძოდ, მოსწავლე რეგისტირდება ოფიციალურ

ვებ-გვერდზე, მინისტრის ინდივიდუალურ სამართლებრივი აქტით განსაზღვრული ფორმის შესაბამისად. ხოლო სკოლაში არსებული თავისუფალი ადგილების შესაბამისად, ჩარიცხვის თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს სკოლის დირექტორი. მოსწავლეთა მობილობის, საფეხურის დაძლევის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმები აღწერილია სასკოლო სასწავლო გეგმასა და სკოლის შინაგანაწესშიც. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს**

   სკოლა იცავს და ხელმძღვანელობს ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონით, ეროვნული სასწავლო გეგმით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 11 იანვრის N04/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის ჩარიცხვისა და მოსწავლის სტატუსის შეჩერების წესი"-თ, სასკოლო სასწავლო გეგმითა და სხვა სამართლებრივი აქტების შესაბამისად და უზრუნველყოფს მოსწავლის ჩარიცხვას და საფეხურის დაძლევას, მობილობას, სტატუსის შეჩერებასა და შეწყვეტას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. **სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი**

   სკოლის შიდა პოლიტიკისა და მოსწავლეთა მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია აღწერილია სკოლის შინაგანაწესში, რომელიც განთავსებულია სკოლის საინფორმაციო დაფაზე. სკოლის პერსონალი პროგრამების, სერვისების, აქტივობების რესურსების შესახებ ინფორმაციის გავრცელების დროს იცავს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ნორმებს. მიმდინარე საკანონმდებლო სიახლეებს სკოლა აქტიურად ეცნობა და ითვალისწინებს საკუთარ საქმიანობაში. სკოლის მიერ შეთავაზებული ყველა აქტივობა, რესურსი ისეა შემუშავებული, რომ არ შეილახოს მოსწავლის უფლებები. ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში ეწყობა საინფორმაციო შეხვედრები დაინტერესებული პირებისათვის, სიახლეებისა და ცვლილებების შესახებ. ინფორმაცია თავსდება სკოლის ვებ-გვერდსა და სოციალურ ქსელებში. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**.

4. **სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული**

   სკოლის სოციალურ ქსელში განთავსებულია ინფორმაცია სხვადასხვა აქტივობების შესახებ, კერძოდ სკოლაში ჩატარებული ღონისძიებები, პროექტები, ღია გაკვეთილები, კონფერენციები და სხვა. ინფორმაციის განახლება

ხორციელდება რეგულარულად და არადისკრიმინაციული ხასიათისაა. მოსწავლის შესახებ ინფორმაციის გასაჯაროებისათვის სკოლა ახდენს მშობელთა ინფორმირებას და მათგან იღებს თანხმობას. ინფორმირებისა და თანხმობის რეგულაციები გაწერილია მოსწავლეს/მშობელს/კანონიერ წარმომადგენელსა და სკოლას შორის დადებულ ხელშეკრულებაში. სკოლაში ჩატარებულ ღონისძიებებში, პროექტებში, კონფერენციებში და სხვა აქტივობებში ნებისმიერ მოსწავლეს აქვს ჩართვის შესაძლებლობა, აქვს შესაძლებლობა ისარგებლოს სკოლაში არსებული ნებისმიერი რესურსით, დისკრიმინაციის გარეშე. აღნიშნულიდან გამომდინარე, სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე და არადისკრიმინაციული. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- „მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესი“;
- სკოლის სოციალური ქსელი;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- შინაგანაწესი
- ხელშეკრულება მშობლებთან;
- სკოლის ვებგვერდი.

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი**
   მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმები გაწერილია სასკოლო სასწავლო გეგმაში, დამრიგებლის ფუნქცია მოვალეობებისა და ვალდებულებების ნაწილში და სკოლის შინაგანაწესშიც. სკოლაში დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია „მოსწავლეთა ადაპტაციის წეს", „ტრანზიციის დებულება". გაწერილია პირველკლასელთა და სსსმ მოსწავლის ადაპტაციის პირობები. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

2. **სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან**
   სკოლა დიდ მნიშვნელობას ანიჭებს მოსწავლეთა მიღებას და მათ ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან. დამრიგებლები, სხვადასხვა აქტივობებით, მაგალითად სკოლის დათვალიერება და გაცნობა, საუბრებით სხვადასხვა თემაზე, წესების ერთობლივად შემუშავებისა და სხვა გზით სწავლის დაწყების მომენტიდან იწყებენ მოსწავლეთა ადაპტაციას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**
3. **მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად**
   აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებისა და სწავლის პროცესის მხარდაჭერის მიზნით დაწესებულება საკონსულტაციო ფორმითა და რემედიაციით დახმარებას უწევს მოსწავლეებს. სკოლა სასწავლო პროცესში იყენებს განმავითარებელი შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტებს: თვითშეფასება, ურთიერთშეფასება, მასწავლებლის ზეპირი თუ წერილობითი უკუკავშირი, რაც ეხმარება მოსწავლეებს სწავლაში და შედეგების გაუმჯობესებაში. სკოლის ელექტრონული ჟურნალი ხელს უწყობს მოსწავლის, მშობელის დროულ ინფორმირებას. ექსტერნის გამოცდების არსებობის შემთხვევაში წინარე პერიოდში საკონსულტაციო გრაფიკის მიხედვით უტარდებათ რეკომენდაციები/კონსულტაციები. სკოლას საკუთარ რეგულაციებში განსაზღვრული აქვს მოსწავლის და მისი მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის ინდივიდუალური ინფორმირების მექანიზმები მათი აკადემიური მიღწევების შესახებ. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**
4. **სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით**
   სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით; სკოლა ღიაა მოსწავლეების

საჭიროებების დასადგენად და შესაბამისი აქტივობების განხორციელებისთვის. სკოლა საჭიროების შემთხვევაში გამოყოფს სივრცეებს - კომპიუტერულ ლაბორატორიას, ბიბლიოთეკას, ფოიეს, ეზოს, სააქტო დარბაზს. კლასის დამრიგებლები მოსწავლეთა მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან სასწავლო წლის დასაწყისში, ასევე მოსწავლეებთან სადამრიგებლო საათის ფარგლებში, აცნობენ მათ უფლებებს და მოვალეობებსა და განხორციელების მექანიზმებს. სკოლაში ფუნქციონირებს სხვადასხვა მიმართულების კლუბები, რომელშიც გაწევრიანება ნებაყოფლობითი და შესაძლებებლია ნებისმიერი დაინტერესებული მოსწავლისთვის. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

5. **სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას**

   სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესითა და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას; სკოლაში მოსწავლეთა თვითმმართველობის ინიციატივით, სკოლის ადმინისტრაციისა და სასკოლო საზოგადოების მხარდაჭერით ხორციელდება სპორტული შეჯიბრებები, საახალწლო ღონისძიებები, ინტელექტუალური თამაში სამივე საფეხურზე და სხვა. სკოლის სოციალურ ქსელში არის განთავსებული ღონისძიებებისა და პროექტების ამსახველი მასალა. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

6. **მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას**

   მოსწავლეთა უკუკავშირის მიზნით სოციალურ ქსელებში შექმნილია მოსწავლეთა და მშობელთა ჯგუფები. უკუკავშირის მიღება ხორციელდება მშობელთა გაერთიანებულ შეკრებებზე, ელექტრონული ფოსტისა და სოციალური ქსელების საშუალებით. მოსწავლეთა/მშობელთა გამოკითხვისა და ინტერესების გათვალისწინებით, 20242025 სასწავლო წლიდან მე-10- მე-11 კლასებში სკოლამ შეადგინა მოსწავლეთა საჭიროებებზე მორგებული ცხრილი; დააწყვილა საგნები და შეცვალა გაკვეთილის შინაარსიც. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა
- ადაპტაციის წესი;

- ტრანზიციის დებულება;
- განხორციელებული აქტივობების ამსახველი მასალები სოციალურ ქსელში;

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის**
   სკოლაში კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის. სკოლა მოსწავლეებს სისტემატურად აწვდის ინფორმაციას საგანმანათლებლო პროგრამებისა და სხვადასხვა პროფესიების შესახებ. სკოლაში დამრიგებლის საათში ჩაშენებულია პროექტი, რომელიც აცნობეს ცალკეულ პროფესიათა თავისებურებებს, ხდება სხვადასხვა პროფესიის ადამიანების მოწვევა, სადაც ხშირ შემთხვევაში გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესი, განსაკუთრებით საბაზო და საშუალო საფეხურზე, ხშირია ექსკურსიები სხვადასხვა საწარმოებში, XI-XII კლასის მოსწავლეების შეხვედრები უმაღლესი სასწავლებლების წარმომადგენლებთან. სკოლას გაფორმებული აქვს მემორანდუმები პროფესიულ სასწავლებელთან და უნივერსიტეტებთან და აქტიურად თანამშრომლობს მათთან. ეწყობა აღნიშნულ სასწავლებლებში მოსწავლეთა ვიზიტები. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**
2. **სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით**
   სკოლა მოსწავლეებს სისტემატურად აწვდიან ინფორმაციას საგანმანათლებლო პროგრამებისა და სხვადასხვა პროფესიების შესახებ. ეწყობა შეხვედრები სხვადასხვა პროფესიის წარმომადგენლებთან. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**
3. **სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს**
   მიმდინარე სასწავლო პროცესის მონიტორინგისა და სასკოლო საზოგადოების დამოკიდებულებების კვლევის შედეგებზე დაყრდნობით, რომელიც ხორციელდება სკოლაში, სკოლა აპირებს მომსახურების ხარისხიანობის შეფასებასა და გაუმჯობესებას. მშობელთა კრებებსა თუ ინდივიდუალურ შეხვედრებზე მოხდება მშობლების, ხოლო მოსწავლეთა

თვითმმართველობის ან დამრიგებელთა საშუალებით კი - მოსწავლეთა მოსაზრებების მოსმენა, რომელიც გათვალისწინებული იქნება მოსწავლეთა მომსახურების გაუმჯობესებისათვის. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მემორანდუმები;
- სოციალურ ქსელში გამოქვეყნებული მასალები.

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი**

სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმის ნაწილია ინკლუზიური განათლება. მასში დეტალურადაა გაწერილი სსსმ მოსწავლეთა შეფასების მექანიზზმები, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ძირითადი საკითხები, ინდივიდუალურ სასწავლო გეგმის შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები და შინსწავლების საკითხები (საჭიროების შემთხვევაში), ასევე სსსმ მოსწავლეთა უფლებები. სკოლას „მოსწავლეთა ადაპტაციის წესში" აქვს გაწერილი სსსმ მოსწავლეებისათვის სერვისების მიწოდების რეგულაციები. სკოლაში სსსმ მოსწავლეებისათვის განსაზღვრულია 3 რესურსოთახი (2 პირველ და 1 - მეორე კორპუსში), რომელიც აღჭურვილია კომპიუტერით, პრინტერითა და დამხმარე რესურსებით. სკოლაში ირიცხება 95 სსსმ მოსწავლე. სკოლას ჰყავს 14 სპეცმასწავლებელი, ფსიქოლოგი, ენისა და მეტყველების სპეციალისტი, სპეციალური საჭიროების მქონე პირის 34 ასისტენტი, რომელთანაც გაფორმებულია შესაბამისი ხელშეკრულებები. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

2. **სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს**

სკოლაში თითოეული სსსმ მოსწავლისთვის შემუშავებულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმები. ისგ ჯგუფის შეხვედრის შემდეგ საგნის მასწავლებლები განსაზღვრავენ მოსწავლის აქტუალურ დონეს, ადგენენ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას. მოსწავლის შესაძლებლობისა და უნარების გათვალისწინებით იწერება მოკლევადიან და გრძელვადიან მიზნები, აქტივობების შერჩევა და სასკოლო დავალებების ადაპტირება. სპეციალური მასწავლებელი შეიმუშავებს ინტერვენციის გეგმას, ადგენს რესურს ოთახში მოსწავლესთან მუშაობის ცხრილს. ამ პროცესში ჩართულია მშობელი და გათვალისწინებულია მისი ინტერესები. მშობლებისთვის სასწავლო პროცესი არის გამჭვირვალე, სკოლაში გუნდურად ხდება მუშაობა მოსწავლის ფსიქოემოციურ მდგომარეობაზე, მეგობრებთან ურთიერთობაზე. სკოლა იცავს მოსწავლის კონფიდეციალურობას, მოსწავლის პორტფოლიო და პირადი საქმე ხელმისაწვდომია მხოლოდ ისგ ჯგუფის წევრებისთვის, რესურს ოთახში გაკრულია მეცადინეობების განრიგი. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ინდგეგმები;
- სსსმ მოსწავლეთათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაცია და წესი;
- ინკლუზიური განათლების გეგმა;
- ისგ ჯგუფის ოქმები.

4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. ***აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.***

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურება და სხვა) ხორციელდება შესაბამისი**

მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

კანონმდებლობით დადგენილი წესით, სკოლას გაცემული აქვს ფართი სკოლის კვების ობიექტის ფუნქციონირებისთვის (ორივე კორპუსში), ასევე, გაიჯარებულია სპორტული დარბაზი - ქორეოგრაფიული, ფეხბურთის, ფრენბურთის და კალათბურთის წრეების ფუნქციონირებისათვის. საიჯარო დოკუმენტაციით დასტურდება სკოლის მიერ კანონმდებლობის მოთხოვნათა გათვალისწინება. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

2. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას**

   სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას, გაფორმებული ხელშეკრულებების საფუძველზე. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

3. **შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს**

   გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ სამომავლოდ სკოლა გეგმავს კვლევის შედეგად გამოვლენილი საჭიროებებისა და მათი სურვილების გათვალისწინებით შესთავაზოს მოსწავლეებს არასავალდებულო საგანმანათლებლო მომსახურება. ფიქრობენ ისეთი სერვისის შეთავაზებას, რომლის განხორციელებისთვისაც არ არსებობს უფლების მოპოვების ვალდებულება, თუმცა მნიშვნელოვანია გათვალისწინებული იყოს ყველა იმ ნორმის დაცვა, რომელიც მოსწავლის უსაფრთხოებას უზრუნველყოფს და მისი ინტერესების საფუძველზეა შეთავაზებული. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- იჯარის ხელშეკრულება;
- ნებართვები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის II სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
დაწყებითი საფეხურის სასკოლო კურიკულუმი	☒ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
საბაზო საფეხურის სასკოლო კურიკულუმი	☐ **შეესაბამება** ☒ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
საშუალო საფეხურის სასკოლო კურიკულუმი	☐ **შეესაბამება** ☒ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება**

	☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის იწერება გაერთიანებული სახით. ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის იდენტიფიცირება ხდება, მაშინ როდესაც იწერება ხარვეზი/რეკომენდაცია/რჩევა.

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას**

სსიპ - თბილისის N192 საჯარო სკოლის დირექტორის მიერ 2026 წლის 20 იანვრის N1/კ-19 ბრძანებით დამტკიცებულია სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია. სასკოლო კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია აღწერს კურიკულუმის შემადგენელ ნაწილებს, პრინციპებს, რომლებსაც ეფუძნება კურიკულუმი განვითარების პროცესი, კურიკულუმის განვითარების ეტაპებს (დაგეგმვა, დანერგვა, მონიტორინგი და შეფასება, განახლება და რევიზია). სასკოლო კურიკულუმი შედგება ორი ნაწილისგან: კონცეპტუალური ჩარჩო და საგნობრივი ნაწილი.

სასკოლო კურიკულუმის შემუშავება ხდება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად, განახლდება ყოველწლიურად მთელი წლის განმავლობაში შეგროვილი მონაცემების საფუძველზე, კურიკულუმის რევიზიის პროცესში გადაწყვეტილებები მიიღება მონიტორინგისა და შეფასების ეტაპზე გამოკვეთილი მიგნებების საფუძველზე.

სასკოლო კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია წარმოდგენილია, როგორც პროცესზე ორიენტირებული და მონაწილეობითი მოდელი, რომელიც ქმნის მნიშვნელოვან საფუძველს სასკოლო საზოგადოების ინტერესების, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინებისთვის. კურიკულუმის განვითარების პროცესი წარიმართება მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და დირექციის აქტიური ჩართულობით და გაითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებს, რაც ხელს შეუწყობს კოლეგიალურ, შეთანხმებაზე დაფუძნებული გადაწყვეტილების მიღებას, ინკლუზიური და დემოკრატიული საგანმანათლებლო გარემოს ფორმირებას.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. **კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები**

სასკოლო კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის თანახმად, კურიკულუმი ეფუძნება როგორც ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს, ისე სკოლისა და ადგილობრივი თემის საჭიროებებს/პრიორიტეტებს. კურიკულუმის შემუშავებისა და რევიზიის პროცესში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა სასკოლო საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფის (მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და ადმინისტრაციის) ჩართულობას. მნიშვნელოვანია, რომ

კურიკულუმის განვითარება განიხილება, როგორც უწყვეტი, ციკლური პროცესი, რომელიც მოიცავს დიაგნოსტიკური კვლევების განხორციელებას, კათედრების დონეზე კურიკულუმის ეფექტიანობის შეფასებასა და სასკოლო საზოგადოების საჭიროებების კვლევას. აღნიშნული მექანიზმები ქმნის საფუძველს, რომ სხვადასხვა დაინტერესებული მხარის ინტერესები და მოლოდინები ეტაპობრივად აისახოს კურიკულუმის განახლებასა და რევიზიაში.

2025–2026 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმის მიხედვით, სასკოლო საზოგადოების წარმომადგენელთა ფართო მონაწილეობით შემუშავდა სკოლის მისიისა და ხედვის განაცხადი, რომლის ფარგლებში იდენტიფიცირებული პრიორიტეტები ასახულია სასკოლო კურიკულუმში. კერძოდ, სასკოლო თემის სოციალურ-კულტურული მახასიათებლების გათვალისწინებით, სწავლა-სწავლების პროცესში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა სამოქალაქო ცნობიერების, უფლებებისა და პასუხისმგებლობების განვითარების კომპონენტს, რაც სასკოლო თემის აქტუალურ და საერთო საჭიროებებს ასახავს.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ

სასკოლო კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის მიხედვით, კურიკულუმის განვითარების პროცესი განიხილება, როგორც მონაწილეობითი და კოლეგიალურ თანამშრომლობაზე დაფუძნებული პროცესი, რომელიც ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფის ჩართულობას. დოკუმენტში განსაზღვრულია, რომ კურიკულუმის შემუშავებაში მონაწილეობენ მოსწავლეები, მშობლები, მასწავლებლები და ადმინისტრაცია, რაც ქმნის საფუძველს კურიკულუმის ერთობლივად შემუშავებისთვის. როგორც უკვე აღინიშნა, 2025-2026 სასწავლო წლის ბოლოს დაგეგმილია კურიკულუმის ეფექტიანობის შეფასების პროცესი, რომლის ფარგლებში გამოვლენილი მიგნებებიც აისახება მომდევნო წლის კურიკულუმებში. შესაბამისად, სკოლაში მიმდინარე და დაგეგმილი პროცესები უზრუნველყოფს სასკოლო თემის ჩართულობას ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების პროცესში.
ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ

კურიკულუმი შექმნილია მასწავლებლების, მოსწავლეების, მშობლების და ადმინისტრაციის მონაწილობით და ეფუძნება მათ საერთო ღირებულებებსა და მიზნებს. სწავლების პროცესში მასწავლებლები აქტიურად იყენებენ კურიკულუმს,

ხოლო მოსწავლეები და მშობლები იცნობენ მის ძირითად პრინციპებს. კურიკულუმის შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომია დაინტერესებული მხარეებისთვის სკოლის საინფორმაციო დაფაზე, სოციალურ ქსელებში, დოკუმენტების ელექტრონული ბრუნვის სისტემაში. შესაბამისად, კურიკულუმი ფართოდ არის გაზიარებული და მხარდაჭერილი სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ - თბილისის N192 საჯარო სკოლის 2025-2026 ს.წ. სასკოლო სასწავლო გეგმა
- სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია
- სსიპ - თბილისის N192 საჯარო სკოლის 2025-2026 ს.წ. ერთწლიანი სამოქმედო გეგმა

2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სსიპ - თბილისის 192-ე საჯარო სკოლის მასწავლებლების მიერ საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურზე შემუშავებული კურიკულუმები აჩვენებს, რომ სასწავლო პროცესის დაგეგმვისას გათვალისწინებულია გრძელვადიანი მიზნები. შემუშავებული კურიკულუმები, ძირითადად, წარმოადგენენ მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და წარმართვის გზას. სამივე საფეხურზე შექმნილია განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომლებიც ეფუძნება კომპლექსურ დავალებებს და ითვალისწინებს, თუ რა შეძლეს მოსწავლეებმა ამა თუ იმ სამიზნე ცნებასთან მიმართებით, რა

	გაიაზრეს და რამდენად მიუახლოვდნენ ისინი სამიზნე ცნების მკვიდრ წარმოდგენებს კონკრეტულ თემაში, კონკრეტული საკითხების შესწავლისას. სკოლის მასწავლებლების მიერ სამივე საფეხურზე შემუშავებული კურიკულუმის ჩარჩოში წარმოდგენილია საკმაოდ კარგი კომპლექსური/შემოქმედებითი ტიპის დავალებების იდეები. მოსწავლეთა ნაშრომების, მათი ანალიზის, მასწავლებლების რეფლექსიების გათვალისწინებით შეიძლება ითქვას, რომ ეს კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. ჩანს, რომ ორიენტირება ხდება გრძელვადიან მიზნებზე. დავალებები ისეა შერჩეული, რომ კონტექსტი ცხოვრებისეულია, დავალება შეიცავს გამოწვევას, ხელს უწყობს შემოქმედებითობის ან ფანტაზის უნარ-ჩვევების გააქტიურებას. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	საგნობრივ კურიკულუმებში აღწერილი და დაგეგმილია მოსწავლეთათვის საინტერესო, ცხოვრებისეულ გამოცდილებასთან ახლოს მდგომი საკითხების შესწავლა, რომლის მიზანია მოსწავლეებში ცნობისმოყვარეობის, ავტონომიურობისა და შემოქმედებითობის გამოვლენის ხელშეწყობა. მრავალფეროვანი შემოქმედებითი დავალებები და შესაბამისი რესურსები მოსწავლეთა შესაძლებლობების გათვალისწინებითაა შერჩეული და ემსახურება სასწავლო პროცესის გააქტიურებას. მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით იგეგემება სხვადასხვა ღონისძიებები (კონკურსები, ინტეგრირებული პროექტები, შეხვედრები სხვადასხვა პროფესიის ადამიანებთან და სხვა). არაფორმალური განათლების კომპონენტი აძლიერებს ფორმალურ განათლებას. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
უცხოური ენები	დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურზე სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვის და განვითარების გზას. წარმოდგენილ დოკუმენტაციაში, კურიკულუმებში გაწერილი შუალედური მიზნები, შემოქმედებითი დავალებების იდეები -V კლასის იტალიურში პრეზენტაცია „La mia prima parola italiana“-ზე, VI კლასის რუსულში საკუთარი დღის განრიგის დაწერა, IV კლასის ინგლისურში პროექტი საყვარელი ცხოველის შესახებ ა.შ. და საჭირო რესურსები როგორც

	სახელმძღვანელო ასევე ონლაინ რესურსები-თემატური სიმღერები და თემატური დამხმარე ვიდეორგოლები თემის და საკითხის შესახებ ორიენტირებულია მოსწავლეების განვითარებაზე და გრძელვადიანი მიზნების მიღწევას უწყობს ხელს. მაგალითად, VIII კლასის ინგლისურში შეტანილია თინეიჯერების ჯგუფები, თავისუფალი დრო და ბულინგის თემა, VII კლასის ინგლისურში — მუსიკა, ფილმები და სპორტი, ხოლო VIII კლასის იტალიურში — თავისუფალი დრო და გატაცებები. ეს მიუთითებს, რომ კურიკულუმი შინაარსობრივად ცდილობს მოსწავლის გამოცდილებასთან მიახლოებას. საშუალო საფეხურზე სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში, კურიკულუმებში გაწერილი შუალედური მიზნები, შემოქმედებითი დავალებებისიდეები როგორიცაა სტატია, თხზულება, ვიდეორგოლი, პრეზენტაცია თემაზე - სასკოლო განათლების თავისებურებები,მსგავსება- განსხვავება, მშობლიური და უცხო ქვეყნის სკოლის სისტემებს შორის, ცნობილი ადამიანები, სტერეოტიპები და ა.შ. და საჭირო რესურსები როგორც სახელმძღვანელო ასევე ონლაინ. შესაბამისად აღნიშნული თემები შერჩეულია ასაკობრივად რელევანტური შინაარსით , მრავალფეროვანია და ავითარებს ზეპირ, წერით, შემოქმედებით, კრიტიკული აზროვნების და პრეზენტაციის უნარებს.თემების უმეტესობაში ჩანს სამიზნე ცნებების, ძირითადი საკითხების, კონტექსტ-მაგალითების და დავალებების ლოგიკური ბმა. ასევე კურიკულუმებში წარმოდგენილია თითო შემოქმედებითი დავალების რუბრიკა, რაც ზრდის გამჭვირვალობას. ინტერვიუმ მასწავლებლებთან წარმოაჩინა კათედრის სწორი ხედვა და მზაობა. კათედრამ გამოამჟღავნა სტრატეგიების, მათ შორის მეტაკოგნიციის განვითარების სტრატეგიების და ეროვნული სასწავლო გეგმის მეთოდური ორიენტირების ცოდნა სასწავლო პროცესში მოსწავლეთა ინტერესების, შესაძლებლობების, წინარე ცოდნის, საჭიროებების განსაზღვრისათვის. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
ესთეტიკური აღზრდა	ავტორიზაციის ფარგლებში სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის და ესთეტიკის კათედრის წევრებთან გასაუბრების შეჯამების საფუძველზე, სწავლების სამივე საფეხურზე (დაწყებითი, საბაზო, საშუალო) სასკოლო კურიკულუმში გათვალისწინებულია მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლის მიდგომები და განვითარების ეტაპები. საგნობრივ

	პედაგოგებთან გასაუბრების პროცესში გამოიკვეთა, რომ კურიკულუმის დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებული აქვთ გასული აკადემიური წლის შედეგების ანალიზი, მოსწავლეთა ასაკობრივი შესაძლებლობები, სწავლების სუსტი და ძლიერ მხარეები. ახალი სასწავლო წლის დასაწყისში კათედრის წევრები უზიარებენ ერთმანეთს საკუთარ გამოცდილებას და ერთად გეგმავენ ახალი სასწავლო წლის საგანმანათლებლო აქტივობებს. ესთეტიკის აღზრდის საგნობრივი ჯგუფის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებში და წლიურ სამოქმედო გეგმაში გაწერელი თემები, აქტივობები, შემოქმედებითი დავალებები დაგეგმილია ეროვნულის სასწავლო გეგმის მთავრი პრინციპების მიხედვით. სკოლა აქტიურად ახორციელებს არაფორმალური განათლების მიმართულებით საინტერესო სასკოლო პროექტებს, მოსწავლეთა შემოქმედებითი უნარების განვითარების მიზნით და ხელოვნების და მუსიკის პედაგოგების მენტორობით სკოლის ბაზაზე ფუნქციონირებს სხვადასხვა შემოქმედებთი კლუბები, რომელსაც შესაბამისი მატერიალური რესურსებით უზრუნველყოფს სკოლა. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
სახელმწიფო ენა	სახელმწიფო ენის კათედრის მიერ წარმოდგენილია სამივე საფეხურის კურიკულუმები, რომლებიც მოიცავს სასწავლო პროცესის დაგეგმვისთვის აუცილებელ კომპონენტებს - თემატურ ერთეულებს, სამიზნე ცნებებს, ტექსტებს, დავალების იდეებსა და რესურსებს. აღნიშნული ჩარჩოები იძლევა წარმოდგენას სასწავლო პროცესის ორგანიზებაზე და აჩვენებს, რომ სწავლება დაგეგმილია თემატური და შინაარსობრივი ლოგიკის გათვალისწინებით. კურიკულუმებში წარმოდგენილია შემოქმედებითი დავალებები სამივე საფეხურისათვის, რაც უზრუნველყოფს მოსწავლეთა აქტიურ ჩართულობას და მათ შესაძლებლობას, სხვადასხვა ფორმით იმუშაონ სასწავლო მასალაზე. აღნიშნული განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საფეხურებს შორის უწყვეტობის უზრუნველსაყოფად - დაწყებითიდან საშუალო საფეხურამდე შენარჩუნებულია შემოქმედებით აქტივობებზე ორიენტირებული მიდგომა.

	ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.
მათემატიკა	სამივე საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები არის ასაკობრივი შესაძლებლობების გათვალისწინებით შემუშავებული და წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. ყოველივე ეს კარგად გამოჩნდა მათ მიერ განხორციელებულ შემოქმედებითი ტიპის დავალებებში. კურიკულუმის შემუშავებისას პედაგოგებმა საგნობრივი სტანდარტით გათვალისწინებული გრძელვადიანი მიზნების მისაღწევად დაგეგმეს კომპლექსური დავალებებით სწავლება, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლეებში შესასწავლი საკითხის მიმართ ინტერესისა და ცნობისმოყვარეობის გაზრდას. მოსწავლე ისწავლის, როგორ წარმართოს საკუთარი სწავლის პროცესი, დააკვირდეს, რას გაართვა თავი მარტივად, რა წინააღმდეგობები შეხვდა გზად და როგორ გადალახა ისინი მასწავლებლის დახმარებით. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
სპორტი	სპორტის საგნობრივი კურიკულუმები, შემუშავებულია სპორტის საგნობრივ სტანდარტზე დაყრდნობით და მიმართულია სტანდარით განსაზღვრული შედეგების მიღწევაზე, იგი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას, სადაც გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები და შესაძლებლობები. შედეგი კი ასახულია სპორტულ აქტივობებში და მიღწევებში. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	კომპიუტერული ტექნოლოგიების საგნის კურიკულუმი ზოგადად უზრუნველყოფს მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვას, თუმცა ეს მიდგომა სრულად და თანმიმდევრულად არ ვლინდება ყველა ეტაპზე. კურიკულუმში გათვალისწინებულია ციფრული უნარების განვითარება და პრაქტიკული აქტივობები, რაც დადებითად აისახება მოსწავლეთა ჩართულობაზე. ამასთან, დიფერენცირებული მიდგომები და სხვადასხვა დონის მოსწავლეზე მორგებული აქტივობები გამოყენებულია ნაწილობრივ. კურიკულუმი ძირითადად ორიენტირებულია საბაზისო უნარებზე და შედარებით ნაკლებად მოიცავს უფრო მაღალი დონის უნარების სისტემურ განვითარებას. სასურველია დიფერენცირებული

	სწავლების სტრატეგიების უფრო აქტიური ინტეგრაცია, ასევე ისეთი აქტივობების გაძლიერება, რომლებიც ხელს შეუწყობს ალგორითმული აზროვნებისა და პრობლემის გადაჭრის უნარების განვითარებას. დამატებით, სასურველია ტექნოლოგიური რესურსების უფრო მიზანმიმართული და სისტემური გამოყენება სასწავლო მიზნებთან შესაბამისობაში. საბოლოოდ, კურიკულუმი ქმნის კარგ საფუძველს კომპიუტერული ტექნოლოგიების სწავლებისთვის, ხოლო მისი თანმიმდევრული დახვეწა კიდევ უფრო გაზრდის სასწავლო პროცესის ეფექტიანობას. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებითი კლასების საგნობრივი კურიკულუმები შემუშავებულია საგნობრივ სტანდარტებზე დაყრდნობით და მიმართულია სტანდარტით განსაზღვრული შედეგების მიღწევაზე. პედაგოგებთან გასაუბრებით დასტურდება, რომ სასწავლო პროცესი მოსწავლეზეა ორიენტირებული, რისი დაგეგმვისა და განხორციელების გზას კურიკულუმები წარმოადგენს. შუალედურ მიზანზე გასვლისათვის წარმოდგენილია კომპლექსური დავალებები, რომლებიც ემსახურება გრძელვადიანი მიზანზე გასვლას. მიზნები წარმოდგენილია სტანდარტის შედეგებისა და ინდიკატორების სახით. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.** *ივსება მხოლოდ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დაწყებითი საფეხურისთვის*

2. კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლის მასწავლებლების მიერ სამივე საფეხურზე შემუშავებული კურიკულუმის ჩარჩოში სწავლა-სწავლების გრძელვადიან მიზნებად წარმოდგენილია სწავლის შედეგები და საფეხურის საგნობრივი სტანდარტით განსაზღვრული სამიზნე ცნებები, ჩანს ამ ცნებების

	იერარქიული კავშირი ერთმანთთან, ქვეცნებებთან და საკითხებთან. თითოეული თემის ფარგლებში წარმოდგენილია საკითხი/საკითხთა კლასტერი, რომელიც თემის შინაარს აკონკრეტებს, ამუშავებს სამიზნე ცნებებს. კურიკულუმში წარმოდგენილი აქტივობები ხელს უწყობს მოსწავლეთა ფუნქციური უნარების (კრიტიკული აზროვნება, თანამშრომლობა, კომუნიკაცია, შემოქმედებითობა) განვითარებას. მასწავლებლებს შესრულებული აქვთ მოსწავლეთა მიღწევების დიაგნოსტირება, ანალიზი, მასწავლებლის რეფლექსია. პედაგოგებს შექმნილი აქვთ განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომლებიც ეფუძნება კომპლექსურ დავალებას და ითვალისწინებს, თუ რა შეძლო ამა თუ იმ მოსწავლემ კონკრეტულ სამიზნე ცნებასთან მიმართებით, რა გაიაზრა და რამდენად მიუახლოვდა ის სამიზნე ცნების მკვიდრ წარმოდგენებს. ამგვარად, შემუშავებული კურიკულუმები ხელს უწყობს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული გრძელვადიანი მიზნების შესრულებას. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	საგნობრივი კურიკულუმები დაგეგმილია სტანდარტის მოთხოვნების შესაბამისად გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებით. ასახულია სამიზნე ცნებები, სავალდებულო თემები, საკითხები/საკითხთა ჯგუფები, სასწავლო რესურსები. ყველა თემაში დაგეგმილია შემოქმედებითი დავალებები, განსაზღვრულია შესაბამისი კონტექსტ მაგალითები და შემოქმედებითი დავალების იდეები, რაც ემსახურება კონკრეტული საკითხის კონტექსტში სამიზნე ცნებების უკეთ გააზრებას. შერჩეულია საკითხების შესაბამისი მრავალფეროვანი სასწავლო რესურსები. კურიკულუმებს ახლავს დაგეგმილი შემოქმედებითი დავალებების განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომლებიც ძირითადად მიემართება სამიზნე ცნებებს. კურიკულუმების სტრუქტურა კარგად არის ორგანიზებული. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
უცხოური ენები	დაწყებითი საფეხურის კურიკულუმების შესწავლისას, ცალსახად გამოიკვათა რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნები, იცნობენ და

	იყენებენ საგნობრივ სტანდარტს კურიკულუმების შემუშავებისას და გამოიყენებენ მომავალში მათ დასახვეწად. შესაბამისად, წარმოდგენილი კურიკულუმების ჩარჩო /გეგმა მიემართება საგნობრივი სტანდარტის მისაღწევი შედეგების მიღწევისკენ, ასევე დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებში წარმოდგენილი შემოქმედებითი ბუნების დავალებების იდეები, საკითხები, აქტივობები როგორიცაა პრეზენტაცია, დიალოგის გათამაშება, ილუსტრირებული ტექსტის შექმნა და ა.შ. უზრუნველყოფს მოსწავლეებში გლობალურ-ფუნქციური უნარების განვითარებას, როგორიცაა კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნება, შემოქმედებითობა, თანამშრომლობა, კომუნიკაცია, მოქალაქეობა, ნებელობა. საბაზო საფეხურის კურიკულუმებში წარმოდგენილია ისეთი შემოქმედებითი ბუნების დავალებების იდეები, საკითხები, აქტივობები როგორიცაა მაგალითად, VII კლასის რუსულში თემა „Моя школа“, რომელიც აერთიანებს ლექსიკას, გრამატიკას, კონტექსტს და შემოქმედებით დავალებას — პოსტერს, პრეზენტაციას ან ვიდეოს. ანალოგიურად, VII კლასის იტალიურში „La mia classe“ დაკავშირებულია ლექსიკასთან, გრამატიკულ ფორმებთან და პოსტერის პრეზენტაციასთან, ხოლო VIII კლასის ინგლისურში ბულინგის თემაზე დაგეგმილია პოსტერის პრეზენტაცია და მსჯელობა პრობლემის მიზეზებსა და გადაჭრის გზებზე.VIII კლასის რუსულში მოსწავლე ამზადებს პრეზენტაციას „Мои каникулы“, ხოლო IX კლასის ინგლისურში წერს სამოგზაურო ჟურნალის სტატიას ან ქმნის შენობის დიზაინს. როგორც ინტერვიუზე მასწავლებლებმა აღნიშნეს უცხოური ენების კათედრა გეგმავს სხვადასხვა სახის შემოქმედებითი ბუნების დავალებების განხორციელებას როგორიცაა სასკოლო, ინტეგრირებული, სასწავლო პროექტები, კლუბები და გეგმავენ მრავალფეროვანი, საინტერესო სახის აქტივობების შეთავაზებას მოსწავლეებისთვის როგორიცაა დისკუსიები, ჯგუფური და წყვილებში მუშაობა, პრეზენტაცია, როლური თამაშები, დიალოგები, ვოდეო რგოლები, კომიქსები და ა.შ. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
ესთეტიკური აღზრდა	ავტორიზაციის ფარგლებში სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის დამუშავების მიხედვით, სწავლების სამივე საფეხურზე (დაწყებითი, საბაზო, საშუალო) კურიკულუმები გაწერილია ეროვნული სასწავლო გეგმის და საგნობრივი სტანდარტების მიხედვით. საგნობრივი კურიკულუმები პასუხობს სასკოლო სასწავლო გეგმის წლიურ მისაღწევ

	შედეგებს, სწავლების გრძელვადიანი მიზნები მიიღწევა სტანდარტით გაწერილი მოკლევადიანი მიზნით. სკოლას შემუშავებული აქვს კურიკულუმის დანერგვის და განვითარების მეთოდოლოგია, რომელიც მასწავლებლებს ეხმარება კურიკულუმი, მათი სამუშაო წლიური გეგმა, დაგეგმონ ეროვნული სასწავლო შედეგების გათვალისწინებით. სკოლას შემუშავებული აქვს კურიკულუმის ერთიანი ჩარჩო ფორმა, რომელიც მოიცავს თემის ფარგლებში გაწერილ თითოეულ კომპონენტს(სამიზნე ცნება/ქვეცნება, საკითხები, კონტენტ მაგალითები, კომპლექსურ/შემოქმედებითი შემაჯამებელი დავალების იდეა, ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსები), რომელიც მიემართება გრძელვადიანი მიზნის მისაღწევად. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
სახელმწიფო ენა	სკოლის მიერ წარმოდგენილი სამივე საფეხურის კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. მასში წარმოდგენილია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული საკითხები და საფეხურის შედეგები. კურიკულუმებში თემები, დავალებები, დამატებითი რესურსები და შეფასების ინსტრუმენტები მოსწავლის პიროვნული განვითარების და ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგების მიღწევის საშუალებას იძლევა. შუალედური მიზნების სახით წარმოდგენილია შემოქმედებითი ტიპის დავალების მრავალფეროვანი იდეები. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ მოცემულ კურიკულუმებზე მუშაობისას მიღებული გამოცდილების საფუძველზე გეგმავენ შეარჩიონ და განახორციელონ შემოქმედებითი დავალებები ესგ-ს შესაბამისად, რაც გამოიწვევს კურიკულუმებში მცირე ცვლილებას. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	სამივე საფეხურის კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს და ხელს უწყობს ისეთი უნარების განვითარებას, როგორიც არის კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, თანამშრომლობა, პრობლემის გადაჭრა, სწავლის პროცესის მონიტორინგი, პასუხისმგებლობა და სხვა. სამიზნე ცნებების გააზრებას ხელს შეუწყობს სწორად და მიზნობრივად შერჩეული კომპლექსური დავალებები. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

სპორტი	სპორტის საგნობრივი კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებზე ორიენტირით. სამიზნე ცნებები და აქტივობები იერარქიულ კავშირშია ერთმანეთთან. ჩატარებული სპორტული აქტივობები ხელს უწყობს მოსწავლეებში გრძელვადიანი მიზნების მიღწევას, კერძოდ, ემოციების მართვის, უსაფრთხოების დაცვის, სამართლიანი თამაშის წესების დაცვის, კრიტიკული აზროვნების უნარების განვითარებას. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	კომპიუტერული ტექნოლოგიების საგნის კურიკულუმი ძირითადად მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს და ასახავს შესაბამის ძირითად მიმართულებებს. კურიკულუმში წარმოდგენილი თემები და აქტივობები ხელს უწყობს მოსწავლეთა ციფრული უნარების განვითარებას და შეესაბამება დადგენილ საგნობრივ ჩარჩოს. ამასთან, აღნიშნული შესაბამისობა ზოგ შემთხვევაში უფრო ფორმალურ ხასიათს ატარებს და ნაკლებად არის გაძლიერებული მიზნებისა და სასწავლო აქტივობების შორის მკაფიო კავშირი. ასევე, მიზნების განხორციელება ყველა თემასა და კლასში ერთნაირად თანმიმდევრული არ არის. სასურველია სასწავლო მიზნებისა და აქტივობების უკეთ დაკავშირება, ასევე ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული შედეგების უფრო მკაფიო და სისტემური ასახვა ყოველდღიურ სასწავლო პროცესში. საბოლოოდ, კურიკულუმი ზოგადად შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნებს, თუმცა მისი უფრო მიზანმიმართული და თანმიმდევრული განხორციელება გაზრდის სწავლების ეფექტიანობას. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სკოლის მიერ წარმოდგენილ დაწყებითი კლასების საგნობრივ კურიკულუმებში წარმოგენილია გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებული სამიზნე ცნებები და შედეგები. სამიზნე ცნებები, ქვეცნებები, თემები, საკითხები კავშირშია ერთმანთთან. საკითხი/საკითხთა კლასტერი ამუშავებს სამიზნე ცნებებს. კომპლექსური (შემოქმედებითი) დავალებები, პროექტები, სხვადასხვა აქტივობები, მორგებულია შემოქმედებითი, კრიტიკული აზროვნების, ანალიზის, კომუნიკაციის უნარების განვითარებაზე. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.** *ივსება მხოლოდ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დაწყებითი საფეხურისთვის*

3. კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურზე საბუნებისმეტყველო საგნების კურიკულუმებში გაწერილი აქტივობები შესაძლებელია შესრულდეს იმ რესურსების გამოყენებით, რაც მითითებულია კურიკულუმებში. სასურველია საბუნებისმეტყველო კაბინეტი მეტად მორგებული იყოს მოსწავლეთა საჭიროებებზე, თუმცა, საბუნებისმეტყველო საგნების კურიკულუმებით გათვალისწინებული აქტივობებიდან ჩანს, რომ მოსწავლეები საშინაო ცდებში იყენებენ ხელმისაწვდომ რესურსს, რომელთა გამოყენებაც ლაბორატორიის რესურსებთან ერთად შესაძლებელს ხდის სწავლის შედეგების მიღწევას. საბუნებისმეტყველო კათედრაზე აქვთ ქიმიური პრეპერატები, ფიზიკის ხელსაწყოები და ბიოლოგიის მულაჟები, აგრეთვე მოსწავლეების მიერ დამზადებული პლაკატები, მოდელები და სხვა რესურსები. აგრეთვე სკოლას აქვს კომპიუტერული ლაბორატორია და სათანადო ელექტრონული აღჭურვილობა, ამდენად ხელმისაწვდომია ელექტრონული რესურსებიც. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	წარმოდგენილ კურუკულებში ძირითად სასწავლო რესურსად განსაზღვრულია გრიფირებული სახელმძღვანელოები, მასთან ერთად გამოიყენება სასწავლო ფილმები, ანიმაციები, აუდიო-ჩანაწერები, საგანმანათლებლო პლატფორმები, ასევე სადემონსტრაციო რუკები, საინფორმაციო პოსტერები, დამხმარე ლიტერატურა და სხვა. რესურსები მიზნობრივია და ასაკობრივად შესაბამისია. სასწავლო პროცესში გამოყენებული რესურსები ინტეგრირდება კურიკულუმებში, რაც უზრუნველყოფს მათი ეფექტიანობის შეფასებას და გამოცდილებაზე დაფუძნებული პრაქტიკის განვითარებას. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
უცხოური ენები	კურიკულუმში წარმოდგენილი ძირითადი და დამატებითი რესურსები ხელს უწყობს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული მიზნების მიღწევას. რესურსები მრავალფეროვანია. უცხოური ენების კათედრა გარდა გრიფირებული, ძირითადი სახელმძღვანელოების, იყენებს საინტერესო ციფრულ რესურსებსაც, ასევე მათ მიერ შექმნილ სხვადასხვა სახის თვალსაჩინოებას რაც უზრუნველყობს მოსწავლეების მოტივირებასა და ჩართულობას.

	ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.
ესთეტიკური აღზრდა	ავტორიზაციის ფარგლებში სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტების ანალიზის საფუძველზე, სწავლების სამივე საფეხეურზე (დაწყებითი, საბაზო, საშუალო) წარმოდგენილი საგანმანათლებლო რესურსები უზრუნველყოფს კურიკულუმით განსაზღვრულ სწავლის შედეგების მიღწევას. კათედრის წევრებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ სკოლა უზრუნველყოფილია ესთეტიკის საგნების სწავლისთვის საჭირო მატერიალური და ონლაინ რესურსებით, სასწავლო გარემო აღჭურვილია სწავლებისთვის შესაბამისი რესურსებით. კათედრის ოქმების, სამოქმედო გეგმის, ასევე წარმოდგენილი ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსების დოკუმენტის შესწავლის მიხედვით, სკოლა იყენებს კურიკულუმით განსაზღვრულ ძირითად სასწავლო რესურსებს გრიფმინიჭებულ სახელმძღვანელოებს, ხოლო დამხმარე სასწავლო რესურსებში წარმოდგენილი აქვთ სამინისტროს ციფრული რესურსები, ტელესკოლის გაკვეთილები, ხელოვნების და მუსიკის ისტორიის შესწავლისთვის განკუთვნილი სხვადასხვა საინტერესო შემეცნებითი რესურსები. კურიკულუმით გათვალისწინებული საგანმანათლებლო რესურსები სრულად უზრუნველყოფს ესთეტიკური აღზრდის საგნების სწავლების მიზნებსა და მოსწავლის მიერ სასწავლო შედეგების მიღწევას. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
სახელმწიფო ენა	კურიკულუმში წარმოდგენილია როგორც ძირითადი, ასევე დამატებითი სასწავლო რესურსები (დამატებითი ტექსტები, ბმულები), რაც ქმნის სასწავლო პროცესის შინაარსობრივ მრავალფეროვნებას. რესურსების შერჩევა უზრუნველყოფს თემების დამუშავებას და მოსწავლეებს აძლევს შესაძლებლობას იმუშაონ სხვადასხვა ტიპის მასალაზე. დამატებითი რესურსების გამოყენება ხელს უწყობს სასწავლო პროცესის გამდიდრებას და ქმნის პირობებს თემების უფრო ღრმა გააზრებისათვის ყველა საფეხურზე. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	კურიკულუმებში წარმოდგენილი საგანმანათლებლო რესურსი სწორად და მიზნობრივად არის შერჩეული. ისინი მრავალფეროვანია და ითვალისწინებს მოსწავლის ინდივიდუალურ საჭიროებებს. პედაგოგები ძირითად სასწავლო რესურსად იყენებენ გრიფირებულ

	სახელმძღვანელოებს. ამასთანავე, მითითებული აქვთ სხვადასხვა ელექტრონული რესურსი და დამხმარე მასალა, რაც ხელს უწყობს აქტიური და ჩართულობაზე ორიენტირებული სწავლის პროცესის განხორციელებას და უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების ეფექტურად მიღწევას. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
სპორტი	კურიკულუმებით გათვალისწინებული რესურსები უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ სწავლის შედეგების მიღწევას. კურიკულუმებში მოცემულია ძირითადი რესურსები გრიფირებული სახელმძღვანელოების სახით, ასევე დამხმარე რესურსები, რომლებიც ეხმარება მასწავლებელს და მოსწავლეს მიზნების მიღწევაში. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	კომპიუტერული ტექნოლოგიების საგნის კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები ზოგადად უზრუნველყოფს მოსწავლეთა მიერ განსაზღვრული სასწავლო შედეგების მიღწევის შესაძლებლობას. გამოყენებულია სხვადასხვა ტიპის საგანმანათლებლო რესურსი, მათ შორის ციფრული მასალები და პრაქტიკული დავალებები, რაც ხელს უწყობს ცოდნისა და უნარების ფორმირებას. ამასთან, რესურსების გამოყენება ყოველთვის არ არის სრულად თანმიმდევრული და ზოგ შემთხვევაში ნაკლებად არის მორგებული სხვადასხვა შესაძლებლობის მქონე მოსწავლეთა საჭიროებებზე. ასევე, რესურსების შერჩევა და გამოყენება ზოგჯერ უფრო ზოგად ხასიათს ატარებს და ნაკლებად არის პირდაპირ დაკავშირებული კონკრეტულ სასწავლო შედეგებთან. სასურველია რესურსების უფრო მიზნობრივი შერჩევა და დიფერენცირება, ასევე მათი გამოყენების უკეთ დაკავშირება განსაზღვრულ შედეგებთან, რათა გაიზარდოს სასწავლო პროცესის ეფექტიანობა. საბოლოოდ, კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები ქმნის საფუძველს სასწავლო შედეგების მისაღწევად, თუმცა მათი უფრო სისტემური და მიზანმიმართული გამოყენება გააუმჯობესებს მიღწეულ შედეგებს. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებითი კლასების წარმოდგენილ კურიკულუმებში მოცემულია სწავლის და სწავლების მიზნის შესაბამისი საგანმანათლებლო რესურსები, გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოები და სხვადასხვა დამხმარე ლიტერატურა, ვიდეოგაკვეთილები, ტელესკოლის გაკვეთილები, სხვადასხვა სახის თვალსაჩინოებები, პლაკატები, მოდელები და სხვა, რომლებიც უზრუნველყოფენ კურიკულუმით განსაზღრულ შედეგების მიღწევას. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.** *ივსება მხოლოდ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დაწყებითი საფეხურისთვის*

4. სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	საბუნებისმეტყველო საგნების მასწავლებლების მიერ სამივე საფეხურზე შემუშავებული კურიკულუმის ჩარჩო აჩვენებს, რომ სასწავლო პროცესის დაგეგმვისას ორიენტირება ხდება გრძელვადიან მიზნებზე. შუალედური მიზნის მისაღებად განსაზღვრულია, შემოქმედებითი ტიპის დავალებები, რაც თავისთავად გულისხმობს დიფერცირებულ მიდგომას, რადგან მიზნის მისაღწევად გამოყენებულია სახვადასხვა ტიპის აქტივობები (დავალებები). შემუშავებული კურიკულუმებიდან და ინდივიდუალური სასწავლო გეგმებიდან ჩანს, რომ რომ სასწავლო პროცესი იგეგმება და წარიმართება კონკრეტული მოსწავლის ინტერესებიდან, შესაძლებლობებიდან, სწავლის სტილიდან და საჭიროებებიდან გამომდინარე. წარმოდგენილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, თუმცა, პედაგოგებს არ წარმოუდგენიათ ადაპტირებული კომპლექსური ტიპის დავალებების დოკუმენტი სსსმ მოსწავლისთვის. მასწავლებლებთან შეხვედრისას მათ ისაუბრეს, თუ როგორ ახდენენ კომპლექსური ტიპის დავალებების ადაპტირებას კონკრეტული მოსწავლისთვის, როდესაც ამის საჭიროება არსებობს. მნიშვნელოვანია, რომ მეცნიერებით დაინტერესებული მოსწავლეებისთვის სკოლაში ფუნქციონირებს სამეცნიერო კლუბი, რომელიც ახორციელებს საინტერესო პროექტებს. დაინტერესებული მოსწავლეები იღრმავებენ ცოდნას სახალისო აქტივობების შესრულებით.

	ინფიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სასწავლო პროცესში მიმართავენ პროცესის და დავალებების, რესურსების დიფერენცირებას, წარმოდეგნილი აქვთ ინდ. სასწავლო გეგმა. კურიკულუმებში ასახული მრავალფეროვანი შემოქმედებითი პროდუქტები (ბუკლეტი, გზამკვლევი, სტატია, მოხსენება, პოსტერი და სხვა) მოსწავლეებს სთავაზობს არჩევანის თავისუფლებას, რაც მათ შესაძლებლობების რეალიზებაში ეხმარება. კათედრას აქვს მზაობა, უზრუნველყოს სხვადასხვა საჭიროების მოსწავლეების თანაბარი ჩართულობა სასწავლო პროცესში. **ინფიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
უცხოური ენები	სასკოლო სასწავლო გეგმაში ჩამოთვლილია პრინციპები ,რომელიც მოიცავს ინკლუზიური განათლებას სკოლას აქვს გამოცდილება და წარმოდგენილი აქვს დოკუმენტაცია- ინკლუზიური განათლების გეგმა ,ინდივიდუალური სასწავლო გეგმების ნიმუშები, დიფერენცირებული დავალებების ნიმუშები სადაც ჩანს სასკოლო საზოგადოების გამოცდილება, ჩართულობა, თანამშრომლობა და სწორი ხედვა ამ მიმართულებით. ინტერვიუს პროცესში მასწავლებლებმა ისაუბრეს დიფერენცირებული სწავლების საკუთარ გამოცდილებაზე და მეთოდებზე, აგრეთვე დეფერენცირების მნიშვნელობაზე, დავალებების, შინაარსის, პროდუქტის დიფერენცირების სტრატეგიებზე. მათ აღნიშნეს, რომ სასწავლო მასალის, საკითხის თუ აქტივობის შერჩევის დროს ითვალისწინებენ მოსწავლეების ინდივიდუალურ საჭიროებებს, შესაძლებლობებს, ინტერესებს და აკეთებენ დიფერენცირებას როგორც სასწავლო მასალის ასევე საკითხის თუ დავალების პროდუქტის. გარდა ამისა მოსწავლეებს აძლევენ არჩევანის საშუალებას. კათედრამ გამოხატა მზაობა კურიკულუმების დახვეწის თვალსაზრსით ამ მიმართულებით. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
ესთეტიკური აღზრდა	ავტორიზაციის ფარგლებში სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების შესწავლის ანალიზის საფუძველზე, სწავლების სამივე საფეხურზე(დაწყებითი, საბაზო, საშუალო) სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებული სწავლების მიდგომებს.

	სკოლას სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული აქვს ინკლუზიური განათლების როლი, სსსმ მოსწავლის შემთხვევაში ხდება ინდივიდუალური გეგმების შემუშავება, რაც უზრუნველყოფს ინკლუზიურ მიდგომებს სწავლა-სწავლების პროცესში. წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით სკოლა აწარმოებს სსსმ-მოსწავლეებისთვის შექმნილ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს, ადაპტირებულ საგაკვეთილო დავალების გეგმებს და სსსმ მოსწავლეთა შესაძლებლობების გათვალისწინებით მოდიფიცირებულ დავალების პირობებს. კურიკულუმით გაწერილი შემოქმედებითი დავალება ითვალისწინებს მოსწავლეთა ინდივიდუალურ შესაძლებლობებს, მათ ინტერესებს. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
სახელმწიფო ენა	სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ჩანს, რომ სასწავლო პროცესი იგეგმება მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომებით, სადაც მოსწავლე განიხილება, როგორც კონკრეტული გამოცდილების, ინტერესებისა და მზაობის მქონე ინდივიდი. განსხვავებული შინაარსის კომპლექსური დავალებები, მრავალფეროვანი მეთოდები და სტრატეგიები, სხვადასხვა შემოქმედებითი პროდუქტი, რომელიც უნდა შექმნან მოსწავლეებმა კომპლექსური დავალებების ფარგლებში, ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს. ინკლუზიური გარემოს შექმნის მიზნით პედაგოგები ახდენენ კომპლექსური დავალების პირობის მოდიფიცირებას. მოსწავლეებს აძლევენ საშუალებას თავად აირჩიონ შესასრულებელი პროდუქტებიდან მათთვის სასურველი და მასზე იმუშაონ. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ჩანს, რომ სასწავლო პროცესი იგეგმება მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომებით, სადაც მოსწავლე განიხილება, როგორც კონკრეტული ინტერესებისა და მზაობის მქონე ინდივიდი. მოსწავლეების საჭიროებიდან გამომდინარე, ახდენენ დავალების პირობისა და სასწავლო აქტივობის მოდიფიცირებას სწავლის სტილის გათვალისწინებით. მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ მათ აქვთ მზაობა და წინარე გამოცდილება დიფერენცირებულ სწავლებასა და ინკლუზიური განათლების პრინციპებთან მიმართებაში. მათ აღნიშნეს, რომ მოსწავლეებს აძლევენ საშუალებას თავად აირჩიონ შესასრულებელი პროდუქტებიდან მათთვის სასურველი და იმუშაონ. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

სპორტი	სპორტის მიმართულებით მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესი ეფუძნება მიდგომას, რომ ყველა მოსწავლე არის უნიკალური თავისი შესაძლებლობებით, ინტერესებით და საჭიროებებით. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	კომპიუტერული ტექნოლოგიების საგნის ფარგლებში სასწავლო პროცესი ზოგადად ინკლუზიური ხასიათისაა და გარკვეულწილად ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს, რაც ხელს უწყობს სხვადასხვა შესაძლებლობის მქონე მოსწავლეთა ჩართულობას. პრაქტიკაში გამოიყენება ინდივიდუალური მხარდაჭერისა და განსხვავებული ტიპის დავალებების ელემენტები, რაც დადებითად აისახება სასწავლო პროცესზე. ამასთან, დიფერენცირება არ არის სრულად სისტემური და ყველა შემთხვევაში თანმიმდევრულად არ ვლინდება. აღსანიშნავია, რომ გასაუბრების პროცესში მასწავლებლებმა უფრო მკაფიოდ და დეტალურად წარმოაჩინეს დიფერენცირებული და ინკლუზიური მიდგომების გამოყენება, ვიდრე ეს კურიკულუმშია ასახული, რაც მიუთითებს დოკუმენტური ნაწილის დამატებითი გაძლიერების საჭიროებაზე. სასურველია დიფერენცირებული და ინკლუზიური პრაქტიკების უფრო მკაფიოდ ასახვა კურიკულუმში, ასევე მათი სისტემური დანერგვა ყოველდღიურ სასწავლო პროცესში. საბოლოოდ, სასწავლო პროცესი ქმნის ინკლუზიური გარემოს საფუძველს, თუმცა მისი უფრო თანმიმდევრული და სტრუქტურირებული განვითარება გაზრდის ეფექტიანობას. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	წარმოდგენილი დოკუმენტაცით და გასაუბრებით დასტურდება, რომ პედაგოგები სწავლა-სწავლების პროცესში დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ ინკლუზიურ/დიფერენცირებულ მიდგომების გამოყენებას. ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინდივიდუალურ შესაძლებლობებს, მათ საჭიროებებსა და ინტერესებს სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში. ხდება კომპლექსური დავალებების მოდიფიცირება მათი შესაძლებლობის ფარგლებში. აქვთ სსსმ მოსწავლესთან მუშაობის გამოცდილებაც, შესაბამისად სპეცმასწავლებელთან ერთად, საგნის მასწავლებელთან თანამშრომლობით

	ადგენენ ისგ-ს, შეფასების რუბრიკებს, რომლებიც ხელს უწყობს სკოლაში სწავლა სწავლების პროცესში დასახული მიზნების განხორციელებას. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.** *ივსება მხოლოდ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დაწყებითი საფეხურისთვის*

5. **მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურზე საბუნებისმეტყველო საგნების მასწავლებლებს წარმოდგენილი აქვთ სხვადასხვა შესაძლებლობებისა და დონის მოსწავლეთა ნამუშევრების ნიმუშები და შესაბამისი შეფასების რუბრიკები - როგორც განმსაზღვრელი, ისე განმავთარებელი. შეფასების რუბრიკები ეყრდნობა ესგ განსაზღვრულ მიზნებს, შედგენილია იმგვარად, რომ გათვალისწინებულია თუ როგორ გაიაზრა მოსწავლემ სამიზნე ცნებები მოცემულ თემაში მოცემული საკითხების შესწავლისას. განმსაზღვრელი შეფასებისას გათვალისწინებულია შედეგების მიღწევის ინდიკატორები ამა თუ იმ თემაში. გასაუბრებისას აღინიშნა, რომ მასწავლებლები შეფასების პროცესში იყენებენ ისეთ წყაროებსაც, როგორიცაა მოსწავლის წინარე ცოდნა და გამოცდილება, მოსწავლის ფსიქო-ემოციური მდგომარეობა, რესურსებზე ხელმისაწვდომობა, მშობლების, ან დამრიგებლის უკუკავშირი, კლასში შემსვლელი სხვა საგნების მასწავლებელთა უკუკავშირი და სხვა. საგნობრივ კათედრაზე განიხილება მოსწავლეთა მიღწევები, რათა შედეგებზე დაყრდნობით გაუზიარონ ერთმანეთს გამოცდილება და დაგეგმონ შემდეგი ნაბიჯები. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სასწავლო პროცესში შეფასებისათვის გამოიყენება განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება (წერილობითი, ზეპირი). შეფასების რუბრიკები ძირითადად მიემართება სამიზნე ცნებებს, კათედრა აგრძელებს მუშაობას რუბრიკების კიდევ უფრო გასაუმჯობესებლად. შეფასება მასწავლებლების მხრიდან განიხილება სასწავლო პროცესის ნაწილად და შედეგების გაუმჯობესების გზად.

	ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.
უცხოური ენები	სასკოლო სასწავლო გეგმაში აღწერილი შეფასების მიზნები და ამოცანები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმის გრძელვადიანი მიზნებისკენ და ხელს უწყობს ამ მიზნების განხორციელებას. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით და ინტერვიუს შედეგად დადგინდა მასწავლებლების მზაობა ამ მიმართულებით. მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ იყენებენ თვითშეფასების, ურთიერთშეფასების კითხვარებს, პრეზენტაციის, დისკუსიის, ჯგუფური მუშაობის შეფასების რუბრიკებს ზეპირი და წერილობითი უკუკავშირს და ა. შ. უცხოური ენების დაწყებით საფეხურზე-1-4 კლასებში იყენებენ განმავითარებელი შეფასების სხვადასხვა ხერხებს და ინსტრუმენტებს და 5-6 კლასებში როგორც განმავითარებელ ასევე განმსაზღვრელ შეფასებას (მე-5 კლასში მეორე სემესტრიდან). მაგალითად, VIII კლასის ინგლისურის კურიკულუმში ბულინგის თემაზე შემოთავაზებულია განმავითარებელი შეფასების რუბრიკა, სადაც მკაფიო კრიტერიუმებით ფასდება თემის გააზრება, პრობლემის გამომწვევი მიზეზების განხილვა, მოსწავლის დამოკიდებულება და ნასწავლი ენობრივი საშუალებების გამოყენება. ასევე, VII კლასის იტალიურში „ჩემი კლასი“ პოსტერის პრეზენტაციისთვის მოცემულია კრიტერიუმები ზეპირი, წერითი და ენობრივ-კულტურული კომპონენტების მიხედვით, რაც შეფასების გამჭვირვალობას ზრდის. ასევე, XI კლასის ინგლისურის კურიკულუმში შემოთავაზებულია განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა თხზულებისთვის: პლასტიკური ქირურგია და ჯანმრთელობა, სადაც მკაფიო კრიტერიუმებით ფასდება თემის გააზრება, სტრუქტურა, მოსწავლის დამოკიდებულება და ნასწავლი ენობრივი საშუალებების გამოყენება. წარმოდგენილი შეფასების სქემებით და გასაუბრებიდან ასევე დადგინდა, რომ მასწავლებლები შეფასების სქემების შემუშავებისას ეყრდნობიან ესგ-ში გაწერილ სამიზნე ცნებებს, ქვეცნებებს, მკვიდრ წარმოდგენებს. უცხოური ენების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლებს აქვთ მზაობა აწარმოონ შეფასება გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებულ რუბრიკებზე დაფუძნებით.

	ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.
ესთეტიკური აღზრდა	ავტორიზაციის ფარგლებში წარმოდგენილი დოკუმენტაციის და მასწავლებლებთან გასაუბრების გაანალიზების საფუძველზე სკოლა სწავლების სამივე საფეხურზე (დაწყებითი, საბაზო, საშუალო) ხელმძღვანელობს ეროვნულ სასწავლო გეგმით განსაზღვრული შეფასების სისტემით, რომელიც გაწერილი აქვს სკოლის სასწავლო გეგმაში. მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს. დაწყებით საფეხურზე სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებში შემოქმედებით/ პრაქტიკულ დავალებებს თანდართული აქვს განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, ხოლო საბაზო საფეხურზე წარმოდგენილ შემაჯამებელ დავალებას აქვს როგორც განმსაზღვრელი, ასევე განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. ასევე დოკუმენტურად არის წარმოდგენილი შემაჯამებელების ანალიზი დავალების ნიმუშთან ერთად. სკოლის მიერ წარმოდგენილი შემაჯამებელი დავალების შეფასების რუბრიკა მორგებული არის კონკრეტული შემაჯამებელი დავალების ფარგლებში, საგნობრივი სტანდარტების გათვალისწინებით შეფასების კრიტერიუმებზე. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
სახელმწიფო ენა	სახელმწიფო ენის მასწავლებლები სასწავლო პროცესში სამივე საფეხურზე იყენებენ როგორც განმავითარებელ, ისე განმსაზღვრელ შეფასებას. კათედრას წარმოდგენილი აქვს შეფასების რუბრიკები, რომელთა გამოყენებითაც აფასებენ კურიუკულუმით გათვალისწინებულ შემოქმედებით დავალებებს. წარმოდგენილი რუბრიკები ორიენტირებულია სტანდარტის სამიზნე ცნებებისა და მისაღწევი შედეგების შეფასებაზე. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	წარმოდგენილ დოკუმენტაციასა და გასაუბრებაზე დაყრდნობით დასტურდება, რომ სკოლაში მოსწავლეთა შეფასება ხდება ესგ-ის სტანდარტით განსაზღვრულ შედეგებთან მიმართებით. მასწავლებლები იყენებენ როგორც განმსაზღვრელ, ისე განმავითარებელ შეფასებას. კათედრამ წარმოადგინა როგორც შუალედური შედეგის შესამოწმებელი დავალებების შეფასების, ასევე შემაჯამებელი დავალებების შეფასების რუბრიკები, რაც უზრუნველყოფს შეფასების პროცესის გამჭვირვალობასა და ობიექტურობას.

	სკოლა კათედრის მიერ შერჩეულ პარალელურ კლასებში დიაგნოსტიკური წერით აწარმოებს კველვას, რითაც შეაფასებენ თითოეული სამიზნე ცნების გააზრების ხარისხს და შესაბამისი საჭიროებების გათვალისწინებით გეგმავენ ან გადაგეგმავენ შემდგომ პროცესს. სკოლის მიერ წარმოდგენილი შეფასების რუბრიკების ნაწილი ემყარება სამიზნე ცნებებს, ნაწილი კი უფრო ზოგადი ხასიათისაა. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
სპორტი	შეფასების რუბრიკები შემუშავებულია სამიზნე ცნებების და მკვიდრი წარმოდგენების გათვალისწინებით. ინდიკატორებში დაკონკრეტებულია ცოდნის სავალდებულო მინიმუმი, წარმოდგენილია რამდენიმე განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა, სკოლას აქვს მზაობა, რომ შეფასება მიემართებოდეს გრძელვადიანი მიზნების ორიენტაციით. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	კომპიუტერული ტექნოლოგიების საგანში მოსწავლის შეფასების სისტემა ძირითადად შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს. შეფასების ფორმები მოიცავს როგორც ცოდნის, ისე პრაქტიკული უნარების შემოწმებას, რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა პროგრესის დაფიქსირებას. ამასთან, შეფასების პრაქტიკა ყველა შემთხვევაში თანმიმდევრულად არ ასახავს განსაზღვრულ მიზნებს და ზოგჯერ ნაკლებად არის გამოკვეთილი შეფასების კრიტერიუმების მკაფიო კავშირი სასწავლო შედეგებთან. აღსანიშნავია, რომ გასაუბრების პროცესში მასწავლებლებმა უფრო დეტალურად განმარტეს შეფასების მიდგომები და გამოყენებული ინსტრუმენტები, ვიდრე ეს კურიკულუმშია წარმოდგენილი, რაც მიუთითებს დოკუმენტაციის გაუმჯობესების საჭიროებაზე. სასურველია შეფასების კრიტერიუმებისა და მეთოდების უფრო მკაფიოდ გაწერა კურიკულუმში და მათი თანმიმდევრული გამოყენება სასწავლო პროცესში, რათა შეფასება უფრო მიზანმიმართული და გამჭვირვალე გახდეს. საბოლოოდ, შეფასების სისტემა ზოგადად შეესაბამება ეროვნულ მოთხოვნებს, თუმცა მისი უფრო სტრუქტურირებული და დეტალიზებული განხორციელება გაზრდის ეფექტიანობას. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	წარმოდგენილია დაწყებითი კლასების (ქართული ენა, მათემატიკა, ბუნება I-IVკლ, მე და საზოგადოება III-IVკლ) განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, როგორც ზოგადი, ისე კონკრეტულ დავალებას მორგებული, რომლების ადასტურებს, რომ შეფასება ეყრდნობა საგნობრივი სტანდარტის თემების ფარგლებში მიღწევის ინდიკატორებს და მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებზე. განმავითარებელი კომენტარით აღწერილია მოსწავლეთა განვითარების დინამიკა **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.** *ივსება მხოლოდ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დაწყებითი საფეხურისთვის*

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ - თბილისის N192 საჯარო სკოლის 2025-2026 ს.წ. სასკოლო სასწავლო გეგმა
- სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია
- სსიპ - თბილისის N192 საჯარო სკოლის 2025-2026 ს.წ. ერთწლიანი სამოქმედო გეგმა
- საგნობრივი კათედრის ოქმები
- პედაგოგიური საბჭოს ოქმი
- სამეცნიერო კლუბის დებულება
- განხორციელებული ინტეგრირებული პროექტები/რეფლექსია,
- კონკურსის მასალები (კონკურსის დებულება, მოსწავლეთა ნამუშევრები)
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმა
- მოსწავლეთა მიერ შესრულებული შემოქმედებითი დავალებების ნიმუშები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურზე სკოლის მასწავლებლებს წარმოდგენილი აქვთ ყველა კლასის კურიკულუმის ჩარჩო. მოსწავლეთა მიღწევების დიაგნოსტირებიდან, შეფასების რუბრიკებიდან, კომპლექსური დავალებების ანალიზიდან, ვერიფიკაციის დოკუმენტაციიდან ჩანს, რომ სასწავლო პროცესი მიმდინარეობს წარმოდგენილი კურიკულუმების შესაბამისად. სამივე საფეხურზე წარმოდგენილია აგრეთვე მოსწავლეთა ნაშრომები, რომლებიც ადასტურებს, რომ სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები	სასწავლო პროცესი მიმდინარეობს დაგეგმილის შესაბამისად, საჭიროების შემთხვევაში ხდება კურიკულუმის მოდიფიცირება, სკოლაში ხორციელდება სადიაგნოსტიკო წერები, შემაჯამებელი სამუშაოები, საგაკვეთილო დაკვირვება, რაც პროცესს მეტად ორიენტირებულს ხდის შედეგზე. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
უცხოური ენები	კურიკულუმის ჩარჩო დოკუმენტში გაწერილი შემოქმედებითი დავალებების იდეებზე დაყრდნობით ჩვენ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესი აძლევს მოსწავლეს საშუალებას აქტიურად ჩაერთოს პროცესში. წარმოდგენილი დავალებები ხშირ შემთხვევაში, იძლევა შესაძლებლობას მოსწავლე არა მხოლოდ მონაწილე იყოს პროცესის არამედ შემოქმედიც, მას უწევს პრობლემის გადაჭრა, სტრატეგიების გააზრება და სხვადასხვა ტიპის პროდუქტის შექმნა როგორიცაა მაგალითად, პოსტერი, პრეზენტაცია, დიალოგი, ილუსტრირებული ტექსტი და ა.შ. გასაუბრების დროს დადგინდა, რომ კათედრას აქვს განხორციელებული არა ერთი პროექტი. წარმოდგენილი დოკუმენტაცია და გასაუბრება ნათლად წარმოაჩენს კათედრის სწორ ხედვას, გამოცდილებას და ცოდნას მოსწავლეთა მოტივაციის, წინარე ცოდნის გაქტიურების, ინტერესების გათვალისწინების, თანატოლებთან თანამშრომლობის, აქტიურად ჩართულობის და მათი ავტონომიურობის თვალსაზრისით. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
ესთეტიკური აღზრდა	ავტორიზაციის ფარგლებში შესწავლილი დოკუმენტების და საგნობრივ პედაგოგებთან გასაუბრების ანალიზის მიხედვით, სწავლების სამივე საფეხურზე (დაწყებითი, საბაზო, საშუალო), ესთეტიკის საგნების (მუსიკა, ხელოვნება) სასწავლო პროცესი დაგეგმილი არის სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. სასწავლო პროცესი დაგეგმილი არის საინტერესო, შემეცნებითი თეორიული და პრაქტიკული აქტივობებით, სწავლების პროცესში შეთავაზებული არის მრავალფეროვანი, ვიზუალური და მოსასმენი მასალა, რაც მოსწავლეს ეხმარება განვითარების პროცესში. კურიკულუმით გაწერილი კომპლექსურ/შემოქმედებითი დავალებები მოსწავლეებს აძლევს შესაძლებლობას წარმოაჩინონ საკუთარი შემოქმედებითი ხედვა და წინა ცოდნაზე დაფუძნებით სხვადასხვა ხერხების და ტექნიკების გათვალისწინებით შეასრულონ დავალება.

	ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.
სახელმწიფო ენა	სასწავლო პროცესი დაგეგმილია საგნობრივი კურიკულუმის შესაბამისად. იგი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს; თითოეული საფეხურის კურიკულუმში განსაზღვრულია სასწავლო მიზნები, ამოცანები და შედეგები კონკრეტული საგნის, კლასისა და საფეხურის მიხედვით; სასწავლო პროცესში გამოყენებულია მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომები; წარმოდგენილი კათედრის ოქმები, მოსწავლეთა ნამუშევრები, სამივე საფეხურის გაკვეთილის გეგმები, მასწავლებელთა რეფლექსიები ცხადყოფს, რომ კურიკულუმში გაწერილი დავალებები რეალურად ხორციელდება პრაქტიკაში. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად, რასაც ადასტურებს სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია. მასწავლებლებლთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა,, რომ კურიკულუმის განხორციელების პროცესში გამოკვეთილი წინააღმდეგობებისა და მიღწევების შესაბამისად კეთდება ანალიზი, ითვალისწინებენ სკოლის ძლიერ მხარეებს, გამოწვევებს, მონიტორინგის შედეგებს, რის საფუძველზეც იგეგმება ცვლილებების შეტანა საგნობრივ კურიკულუმებში. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
სპორტი	კათედრის მიერ შემუშავებული კურიკულუმებში გაწერილია მიმდინარე წლის სასწავლო პროგრამა, რესურსები და აქტივობები. მათი რეალიზების გზები ნაჩვენებია სამიზნე ცნებების სახით. აქტივობები შერჩეულია მოსწავლეთა შესაძლებლობების შესაბამისად. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	კომპიუტერული ტექნოლოგიების საგანში სასწავლო პროცესი ძირითადად დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად და ასახავს მასში განსაზღვრულ თემებსა და აქტივობებს. გაკვეთილების დაგეგმვა მეტწილად შეესაბამება კურიკულუმით განსაზღვრულ მიზნებს, რაც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებულ წარმართვას. ამასთან, დაგეგმვა ყველა შემთხვევაში თანაბრად დეტალიზებული და თანმიმდევრული არ არის და

	ზოგჯერ ნაკლებად იკვეთება მკაფიო კავშირი აქტივობებსა და მოსალოდნელ შედეგებს შორის. აღსანიშნავია, რომ პრაქტიკაში მასწავლებლები ხშირად ახორციელებენ უფრო მრავალფეროვან და ეფექტიან აქტივობებს, ვიდრე ეს კურიკულუმშია აღწერილი, რაც მიუთითებს დოკუმენტური ნაწილის დამატებითი გაძლიერების საჭიროებაზე. სასურველია კურიკულუმში აქტივობების უფრო სრულად და კონკრეტულად ასახვა, ასევე დაგეგმვის პროცესში მიზნებსა და აქტივობებს შორის კავშირის გაძლიერება. საბოლოოდ, სასწავლო პროცესი დაგეგმილია კურიკულუმის შესაბამისად, თუმცა მისი უფრო დეტალიზებული და თანმიმდევრული აღწერა გააუმჯობესებს სასწავლო პროცესის ეფექტიანობას. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სასწავლო პროცესი დაწყებით კლასებში დაგეგმილია ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივ სტანდარტებზე დაფუძნებით და ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე. ამ პროცესში მუშავდება სამიზნე ცნებები და სტანდარტის შედეგები. სწავლება მიმდინარეობს წარმოდგენილი კურიკულუმების შესაბამისად, საჭიროების შემთხვევაში ხდება დავალების შეცვლა, კომპლექსური დავალებების დაგეგმვა და განხორციელება სამიზნე ცნებებისა და თემის ფარგლებში შედეგის მიღწევის ინდიკატორების გათვალისწინებით არის წარმოდგენილი. ეს კარგად ჩანს წარმოდგენილ კურიკულუმებში და დაადასტურეს კათედრის წევრებმა გასაუბრებისას. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.** *ივსება მხოლოდ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დაწყებითი საფეხურისთვის*

2. სკოლა მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე

საგნობრივი კურიკულუმების ანალიზმა და პედაგოგებთან შეხვედრებმა აჩვენა, რომ სკოლა საჭიროების შემთხვევაში ახდენს სწავლების პროცესის დროულ და მოქნილ კორექტირებას. ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული გასაუბრებები ადასტურებს, რომ სკოლის პერსონალი ფლობს შესაბამის პროფესიულ კომპეტენციას, რაც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ეფექტიანად დაგეგმვასა და არსებული რესურსების ადაპტირებას კონკრეტული საგანმანათლებლო საჭიროებების შესაბამისად. მაგალითად, საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრაზე კურიკულუმის განხორციელების

პროცესში დაიგეგმა მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების შეფასება წინასწარ განსაზღვრული ინსტრუმენტის გამოყენებით. პროცესის მიმდინარეობისას გამოიკვეთა, რომ პედაგოგთა ნაწილისთვის გამოწვევას წარმოადგენდა შეფასების კრიტერიუმების პრაქტიკაში ეფექტიანი გამოყენება. აღნიშნულზე კათედრამ მოახდინა დროული და ადეკვატური რეაგირება, კერძოდ, ცვლილებები არ გადავადდა, არამედ მიმდინარე სასწავლო პროცესშივე განხორციელდა შეფასების ინსტრუმენტის მოდიფიცირება და პედაგოგთა აკადემიურ მზაობაზე მორგება. აღნიშნული პრაქტიკა ადასტურებს, რომ სკოლაში კურიკულუმის განხორციელება არ არის სტატიკური პროცესი და ხასიათდება მოქნილობითა და მტკიცებულებებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მიღებით, რაც ხელს უწყობს სწავლა-სწავლების პროცესის ეფექტიანობის გაზრდას.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. **შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლას წარმოდგენილი აქვს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკების ნიმუშები, სადაც აქცენტები გაკეთებულია სტანდარტის მისაღწევ შედეგებზე ინდიკატორების მიხედვით. დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურზე მასწავლებლები მიზნობრივად იყენებენ განმავითარებელ შეფასებას მოსწავლეთა პროგრესისთვის. მოსწავლეთა მიღწევების დიაგნოსტირების დოკუმენტაცია, მასწავლებელთა მიერ წარმოდგენილი განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, აქტივობების შეფასების კრიტერიუმები, შეფასების ვერიფიკაციის სქემები - ყველაფერი მოწმობს, რომ შეფასების სისტემა არის გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	მასწავლებელთა მიერ შეფასების პროცესი მოიაზრება სასწავლო პროცესის ნაწილად და ორიენტირებულია მოსწავლეთა მხარდაჭერაზე. შეფასების სისტემა შემუშავებული და გააზრებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. შეფასების რუბრიკები შეთანხმებულია კათედრაზე, მოსწავლეები იცნობენ შეფასების სისტემას. კურიკულუმებს ახლავს შეფასების

	რუბრიკები. კურიკულუმები კარგად სტრუქტურირებულია, კონკრეტულ დავალებებზე მორგებული შეფასების რუბრიკები საკითხებთან შესაბამისობაშია. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
უცხოური ენები	სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ჩანს სწორი ხედვა შეფასების სისტემის თვალსაზრისით. იგი ეყრდნობა უცხოური ენის სტანდარტით განსაზღვრულ მიზნებს და უზრუნველყოფს მოსწავლეების ცოდნის სამართლიან, ობიექტურ შეფასებას. უცხოური ენების კათედრის მიერ წარმოდგენილი შეფასების სქემებში და სამივე საფეხურის კურიკულუმებში არის წარმოდგენილი განმავითარებელი შეფასების ნიმუშები რითაც დგინდება, რომ მოსწავლის შეფასება ორიენტირდება არა მხოლოდ ფაქტობრივ ცოდნაზე არამედ ითვალისწინებს მის პიროვნულ განვითარებასაც. კათედრასთან გასაუბრებისას მასწავლებლებმა ისაუბრეს მოსწავლეებისთვის შეფასების კრიტერიუმების გაზიარების მნიშვნელობაზე საგაკვეთილო პროცესში მისი გამჭვირვალობის, სანდოობის უზრუნველსაყოფად . პედაგოგებმა წარმოაჩინეს გამოცდილება განმავითარებელი და განსაზღვრელი შეფასებების კუთხით და შესაბამისად აქვთ მზაობა გამოიყენონ ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით შეფასების აუცილებელი კომპონენტები: დიფერენცირება და მოსწავლის დიაგნოსტირება განვითარების ყველა სფეროს (კოგნიტური, ფიზიკური და ფსიქო-სოციალური) მიხედვით (ჰოლისტური) და ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგების მიღწევის ტაქსონომია, რომელიც ხუთ დონეს გულისხმობს: პრესტრუქტურულს, უნისტრუქტურულს, მულტისტრუქტურულს, მიმართებით და აბსტრაქტულ დონეებს. კურიკულუმის შექმნისა და განვითარების დოკუმენტში ასახულია მოსწავლეთა განვითარებაზე ორიენტირებული შეფასების სრულყოფა, მიღწევების დინამიკის შესწავლა, სასწავლო პროცესის მონიტორინგი, პედაგოგთა საქმიანობის შეფასება და თვითშეფასების მექანიზმების დახვეწა. ეს მიუთითებს, რომ შეფასება განიხილება როგორც გაუმჯობესების ინსტრუმენტი. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

ესთეტიკური აღზრდა	სკოლას შემუშავებული აქვს ვერიფიკაციის დოკუმენტი, რომელიც უზრუნველყოფს სწავლების სამივე საფეხურზე (დაწყებითი, საბაზო, საშუალო) შეფასების სისტემა იყოს ობიექტური, გამჭვირვალე, სანდო, და სამართლიანი როგორც საკლასო, ისე სასკოლო დონეზე. შეფასების სისტემა შესაბამისობაშია ეროვნულ სასწავლო გეგმასთან და ორიენტირებულია მოსწავლის ინდივიდუალურ წინსვლასა და განვითარებაზე. სკოლის მიერ შემუშავებული შეფასების თითოეული ფორმა, რომელიც სწავლა- სწავლების პროცესში გამოიყენება არის მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებული. შეფასების სისტემა პასუხობს ეროვნული სასწავლო გეგმის კრიტერიუმებს. შემაჯამებლის რუბრიკები შემუშავებული არის საგნობრივი სტანდარტის მიხედვით. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
სახელმწიფო ენა	შეფასების ვალიდურობას, სანდოობას და სამართლიანობას უზრუნველყოფს სახელმწიფო ენის კათედრის მიერ წარმოდგენილი განმსაზღვრელი და განმავითარებელი რუბრიკები სწავლების სამივე საფეხურისათვის, რომელთა კრიტერიუმები ეფუძნება სახელმწიფო ენის სტანდარტის სამიზნე ცნებებსა და მისაღწევ შედეგებს. ვიზიტის დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ შეფასების გამჭვირვალობასა და ობიექტურობისათვის თითოეული შემოქმედებითი აქტივობის განხორციელების დროს მოსწავლეებს აცნობენ შეფასების რუბრიკებს. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	სკოლაში წარმოებს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება. წარმოდგენილ შეფასების რუბრიკებში განსაზღვრულია შეფასების მიზანი. შეფასების კრიტერიუმები ხაზს უსვამს მოსწავლეთა ძალისხმევას - რა შეუძლია და მიემართება გრძელვადიან მიზნებს, ფასდება მხოლოდ ის მიმართულება, რომელიც რუბრიკითაა განსაზღვრული და მოსწავლეთათვის ცნობილია თუ რაში ფასდებიან, უზრუნველყოფილია თანაბარი სამართლიანობა. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

სპორტი	წარმოდგენილი შეფასების რუბრიკების მიხედვით, შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	კომპიუტერული ტექნოლოგიების საგანში შეფასების სისტემა ზოგადად შეესაბამება ვალიდურობის, გამჭვირვალობის, სანდოობის, ობიექტურობისა და სამართლიანობის პრინციპებს. გამოყენებული შეფასების ფორმები იძლევა შესაძლებლობას შეფასდეს როგორც თეორიული ცოდნა, ისე პრაქტიკული უნარები, რაც დადებითად აისახება მოსწავლეთა პროგრესის განსაზღვრაზე. ამასთან, აღნიშნული პრინციპები კურიკულუმში ყოველთვის არ არის სრულად და მკაფიოდ გაწერილი, რის გამოც შეფასების პროცესის ზოგიერთი ასპექტი ნაკლებად სტრუქტურირებულად ჩანს დოკუმენტურ დონეზე. აღსანიშნავია, რომ გასაუბრების დროს მასწავლებლებმა ბევრად უფრო დეტალურად და ნათლად ჩამოაყალიბეს, თუ როგორ ახორციელებენ შეფასებას პრაქტიკაში, ვიდრე ეს კურიკულუმშია ასახული, რაც მიუთითებს დოკუმენტაციის გაუმჯობესების საჭიროებაზე. სასურველია შეფასების კრიტერიუმებისა და პროცედურების უფრო მკაფიო და დეტალური აღწერა კურიკულუმში, რათა შეფასების სისტემა იყოს არა მხოლოდ პრაქტიკაში ეფექტიანი, არამედ დოკუმენტურადაც სრულად გამჭვირვალე და სტრუქტურირებული. საბოლოოდ, შეფასების სისტემა ფუნქციონირებს ძირითადი პრინციპების შესაბამისად, თუმცა მისი უფრო სრულყოფილი დოკუმენტირება და სისტემატიზაცია გაზრდის ეფექტიანობას. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებითი კლასების შეფასების რუბრიკები ვალიდურია, რადგან შესაბამისია საგნობრივ სტანდარტებთან. სანდოა, რადგან წარმოდგენილია შესაბამისი კრიტერიუმებით. სამართლიანია, რადგან შეფასება დამოკიდებულია ობიექტურ შეფასების ინსტრუმენტებზე. გამჭირვალეა, რადგან მოსწავლეებისათვის წინასწარ ცნობილია კრიტერიუმები. ყოველივე დასტურდება წარმოდგენილი რუბრიკებით და კათედრის წევრებთან გასაუბრებით. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

	ივსება მხოლოდ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დაწყებითი საფეხურისთვის

4. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი

სკოლის მიერ წარმოდგენილი შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმი უზრუნველყოფს ობიექტურობის, სამართლიანობის, გამჭვირვალობის, სანდოობის, ვალიდურობის პრინციპების დაცვას. საგნობრივი კათედრების წარმომადენლებთან გასაუბრებისას დადინდა, რომ მათი ნაწილი უკვე ხელმძღვანელობს აღნიშნული დოკუმენტით, მცირე შემთხვევაში, კი მიმდინარე სემესტრის განმავლობაში მოხდება ვერიფიკაციის პროცესის ამოქმედება.
ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

5. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით

სკოლაში შეფასების მონაცემები და მტკიცებულებები ინახება როგორც მატერიალურ საკლასო ჟურნალებში, ასევე 2021–2022 სასწავლო წლიდან ელექტრონული ჟურნალის ფორმატში. გარდა ამისა, სკოლა ინახავს მოსწავლეთა შემაჯამებელ დავალებებს სამწლიანი პერიოდის განმავლობაში.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ - თბილისის N192 საჯარო სკოლის 2025-2026 ს.წ. სასკოლო სასწავლო გეგმა
- სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია
- სსიპ - თბილისის N192 საჯარო სკოლის 2025-2026 ს.წ. ერთწლიანი სამოქმედო გეგმა
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმა
- შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
- მოსწავლეთა შეფასებული ნამუშევრების ნიმუშები.

- განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები
- საგნობრივი კათედრების წლიური სამუშაო გეგმები
- დიფერენცირებული დავალების ნიმუშები შეფასების ინდიკატორებით საგნებში (კათედრების მიხედვით)
- ინტეგრირებული გაკვეთილების ჩატარების ამსახველი მასალები
- სასკოლო პროექტების განხორციელების ამსახველი მასალები
- არაფორმალური მიმართულებით განხორციელებული აქტივობების ამსახველი ფოტო მასალა
- კლუბების საქმიანობის ამსახველი მასალა

2.2.2. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია შესაბამისი რესურსით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურზე საბუნებისმეტყველო საგნების მასწავლებლები ძირითად სასწავლო რესურსად იყენებენ გრიფირებულ სახელმძღვანელოებს. კურიკულუმებში გაწერილი აქტივობების შესასრულებლად სამივე საფეხურის მასწავლებლები იყენებენ დამატებით რესურსებს: ელექტრულ კომპონენტებს, რეაქტივებს, მულაჟებს. ასევე საბუნებისმეტყველო კაბინეტში არის მოსწავლეთა მიერ დამზადებული მოდელები და პლაკატები სამივე საბუნებისმეტყველო საგნისთვის. მასწავლებლები იყენებენ ვირტუალურ რესურსსაც, სკოლას აქვს კომპიუტერები, ინტერნეტი. კურიკულუმებიდან ჩანს, რომ დავალებების შესრულებისას ხშირად იყენებენ საბუნებისმეტყველო ექსპერიმენტებისათვის გამოსადეგ იაფ და ხელმისაწვდომ რესურსს, რაც ჩანს წარმოდგენილ ფოტომასალაზე, ასევე, მოსწავლეთა ნაშრომებიდანაც. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები	გრიფირებული სახელმძღვანელოებთან ერთად გამოიყენება ციფრული რესურსები, სკოლაში არსებული მატერიალური რესურსები (დამატებითი ლიტერატურა, რუკები, გლობუსები, სქემები, ფოტომასალა). უზრუნველყოფილია ინტერნეტზე წვდომა. რესურსები მოსწავლეთათვის თანაბრად ხელმისაწვდომია. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
უცხოური ენები	უცხოური ენების კათედრა იყენებს როგორც გრიფირებულ ძირითად სახელმძღვანელოებს ასევე დამატებით რესურსებს მათ შორის ციფრულ რესურსებს. წარმოდგენილ კურიკულუმებში ჩაშენებულია სასწავლო რესურსების მრავალფეროვანი ბმულები მოსწავლეთა ინტერესების გაღვივების და მასალის უკეთესად ათვისებისთვის. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
ესთეტიკური აღზრდა	ავტორიზაციის ფარგლებში სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებსა და საგნობრივი კათედრის დოკუმენტაციის ანალიზის მიხედვით, სკოლა სწავლების სამივე საფეხურზე (დაწყებითი, საბაზო, საშუალო) იყენებს ძირითად და დამხმარე სასწავლო რესურსებს. სასწავლო პროცესი დაგეგმილია ძირითადი სასწავლო რესურსის (გრიფმინიჭებული სახელმღვანელო) მიხედვით, ხოლო დამხმარე რესუსრსები(სხვადასხვა ონლაინ რესურსები), მორგებული არის სასწავლო თემის ფარგლებში განსაზღვრულ საკითხებზე, რაც უზრუნველყოფს სწავლების ეფექტიანობას. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
სახელმწიფო ენა	სასწავლო მიზნების მისაღწევად და მოსწავლეთა დასაინტერესებლად სახელმწიფო ენის კათედრა სწავლების სამივე საფეხურზე იყენებს როგორც გრიფირებულ სახელმძღვანელოებს, ასევე დამხმარე ტექსტებსა და ელექტრონულ რესურსებს. მათი გამოყენება ხელს უწყობს სასწავლო მიზნების შესრულებასა და მოსწავლეთა ცოდნისა და უნარების განვითარებას. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	სკოლა ძირითად სასწავლო რესურსად იყენებს გრიფირებულ სახელმძღვანელოებს, სხვადასხვა ინტერნეტპლათფორმებზე განთავსებულ სასწავლო რესურსებს, კოლეგების მიერ

	გაზიარებულ საკუთარ რესურსებს. სასკოლო სასწავლო გეგმაში არსებული ჩანაწერის, ავტორიზაციის ჯგუფის წარმომადგენელთა ადგილზე ვიზიტისა და მასწავლებელთა ინტერვიუს დროს მიღებული ინფორმაციის საფუძველზე იკვეთება, რომ სკოლას საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის გააჩნია შესაბამისი მატერიალური რესურსი, დამატებითი ელექტრონული რესურსების გამოყენებისთვის სკოლას აქვს კომპიუტერული ლაბორატორია, გამართული ინტერნეტი. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
სპორტი	კურიკულუმში გაწერილია სავალდებულო და დამხმარე რესურსები, რომლებიც გამოყენებულია სასწავლო პროცესში სასწავლო შედეგის მისაღწევად. სპორტული აქტივობების თვალსაჩინოებისთვის მასწავლებლის მიერ გამოყენებულია, ვიდეო რესურსი, რომელიც წარმოდგენილია ჰიპერლინკების სახით. რაც იძლევა სასწავლო პროცესის ხარისხიანად და მრავალფეროვნად წარმართვის საშუალებას. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	კომპიუტერული ტექნოლოგიების საგანში კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსები მეტწილად გამოიყენება სასწავლო პროცესში. განსაკუთრებით აღსანიშნავია საოფისე პროგრამების (ტექსტური რედაქტორი, პრეზენტაციები და სხვ.) და ვიზუალური პროგრამირების პლატფორმების, როგორიცაა Scratch და Code.org, გამოყენება, რაც ხელს უწყობს როგორც საბაზისო ციფრული უნარების, ისე ლოგიკური და ალგორითმული აზროვნების განვითარებას. ამასთან, აღნიშნული რესურსების გამოყენება კურიკულუმში ყოველთვის არ არის საკმარისად დეტალურად და სისტემურად გაწერილი, რის გამოც პრაქტიკაში განხორციელებული აქტივობები სრულად არ აისახება დოკუმენტში. ასევე, რესურსების გამოყენება ზოგჯერ დამოკიდებულია მასწავლებლის ინდივიდუალურ მიდგომაზე.

	სასურველია კურიკულუმში უფრო მკაფიოდ და დეტალურად აისახოს კონკრეტული პროგრამებისა და პლატფორმების გამოყენება, მათი მიზნები და კავშირი სასწავლო შედეგებთან, რაც გააძლიერებს სასწავლო პროცესის თანმიმდევრულობას. აბოლოოდ, რესურსები ეფექტიანად გამოიყენება სასწავლო პროცესში, თუმცა მათი უფრო სრულყოფილი და სისტემური ასახვა კურიკულუმში გაუმჯობესებს შედეგიანობას. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	კათედრის წევრებმა დაადასტურეს, რომ დაწყებითი კლასებში წარმოდგენილ კურიკულუმებში მოცემულ რესურსებს აქტიურად იყენებენ სასწავლო პროცესში **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.** *ივსება მხოლოდ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დაწყებითი საფეხურისთვის*

2. **სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	საბუნებისმეტყველო მიმართულების მასწავლებლებთან გასაუბრებისას მათ აღნიშნეს, რომ საგნობრივ კათრდრებზე განიხილება იმ დამხმარე რესურსების სანდოობა და ვალიდურობა, რომლებსაც შემდგომში სკოლა იყენებს კურიკულუმით გათვალისწინებული აქტივობების შესასრულებლად. ამდენად, სასწავლო პროცესში საჭირო დამატებითი რესურსები განსაზღვრულია საგნობრივ კათედრებზე განხილვის შედეგად და დასაბუთებულია სასკოლო სასწავლო გეგმით დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურზე. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	დამხმარე რესურსების შერჩევა ხდება კათედრაზე, გათვალისწინებული ცალკეული საგნების საჭიროება და მოსწავლეთა ინტერესები. ხდება ეფექტური სასწავლო რესურსების კურიკულუმებში ასახვა. გათვალისწინებული სსსმ მოსწავლეთა საჭიროება.

	ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.
უცხოური ენები	სკოლაში ფუნქციონირებს საგნობრივი კათედრები, მათ შორის უცხოური ენების კათედრა, რაც უზრუნველყოფს რესურსების შერჩევის, შეფასებისა და გაზიარების კოლეგიურ პროცესს. რესურსები შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას და გამოიყენება როგორც ტრადიციული, ასევე თანამედროვე (ელექტრონული) ფორმატით. დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციისთვის უცხოური ენების კათედრა განიხილავს შემდეგი სქემის გამოყენებას: სასწავლო რესურსის შინაარსობრივი გამართულობა - თემასთან შესაბამისობა, სასწავლო რესურსის შესაბამისობა მოსწავლეთა ასაკობრივ თავისებურებებთან, რესურსის სანდოობა , სასწავლო რესურსის გამოყენებისას უსაფრთხოების ნორმების დაცვა. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
ესთეტიკური აღზრდა	სკოლის ესთეტიკური აღზრდის კათედრას სამოქმედო გეგმის ფარგლებში შემუშავებული აქვს სასწავლო პროცესისთვის შესაბამისი დამხმარე სასწავლო რესურსები, რომელიც წარმოდგენილი აქვთ დოკუმენტურად. დამხმარე სასწავლო რესურსი, რომელსაც იყენებს სკოლა კურიკულუმით დაგეგმილი აქტივობების განხორციელებისას სწავლების სამივე საფეხურზე(დაწყებითი, საბაზო,საშუალო) შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული მიზნების მიღწევას. მისი ვალიდაცია დასტურდება კათედრის სამოქმედო გეგმის და კათედრის N1 ოქმში წარმოდგენილი სასწავლო რესურსის შერჩევის პრინციპით და ვალიდაციისათვის დადგენილი სქემით. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
სახელმწიფო ენა	სწავლებისათვის გამოყენებული დამხმარე რესურსები სამივე საფეხურზე შერჩეულია სახელმწიფო ენის კათედრის მიერ სასწავლო მიზნების გათვალისწინებით და ხელს უწყობს სასწავლო თემების დამუშავებას, რაც უზრუნველყოფს სწავლა-სწავლების პროცესის ეფექტიანობას. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

მათემატიკა	კურიკულუმით გათვალისწინებული დამატებითი რესურსები განსაზღვრულია საგნობრივ კათედრებზე სკოლის მიერ შემუშავებული ვალიდაციის წესის განხილვის შესაბამისად. ასევე მასწავლებელთა და მოსწავლეთა უკუკავშირი რესურსის გამოყენების შემდეგ, პრაქტიკაში გამოვლენილი ძლიერი და სუსტი მხარეების გაზიარება უზრუნველყოფს დამხმარე რესურსის ვალიდაციას. ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ კურიკულუმებში ჩაშენებული ჰიპერლინკები არის სასწავლო თემის შესაბამისი და ვალიდური. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
სპორტი	დამხმარე საგანმანათლებლო რესურსების ვალიდაცია ხორციელდება კათედრების წევრების შეთანხმების საფუძველზე სასწავლო წლის დასაწყისშივე. სკოლა ირჩევს, როგორც გრიფირებულ სახელმძღვანელოებს, ასევე სამინისტროს მიერ მოწოდებულ რესურსებს. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	კომპიუტერული ტექნოლოგიების საგანში სკოლა ზოგადად უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსების ვალიდაციას, რაც ქმნის საფუძველს მათი სანდო და მიზნობრივი გამოყენებისთვის. გამოყენებული რესურსები, მათ შორის ციფრული პლატფორმები და პროგრამები, ძირითადად შეესაბამება სასწავლო მიზნებს და ხელს უწყობს მოსწავლეთა უნარების განვითარებას. აღსანიშნავია, რომ სკოლას აქვს კომპიუტერული კაბინეტი და მოსწავლეები უზრუნველყოფილი არიან ბუკებით, რაც მნიშვნელოვან მატერიალურ-ტექნიკურ რესურსს წარმოადგენს და დამატებით ამყარებს გამოყენებული დამხმარე საშუალებების ვალიდურობას სასწავლო პროცესში. ამასთან, დამხმარე რესურსების ვალიდაციის პროცესი კურიკულუმში ყოველთვის არ არის მკაფიოდ და დეტალურად გაწერილი, რის გამოც ნაკლებად იკვეთება მათი შერჩევისა და შეფასების ერთიანი მიდგომები.

	სასურველია დამხმარე რესურსების ვალიდაციის კრიტერიუმებისა და პროცედურების უფრო მკაფიოდ განსაზღვრა კურიკულუმში, რაც უზრუნველყოფს მათი გამოყენების თანმიმდევრულობასა და ხარისხის გაუმჯობესებას. საბოლოოდ, სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე რესურსების ვალიდაციას, თუმცა ამ პროცესის უფრო სისტემური და დეტალური გაწერა გააძლიერებს სასწავლო პროცესის ეფექტიანობას. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	პედაგოგებმა გასაუბრების პროცესში აღნიშნეს, რომ ძირითადად სარგებლობენ გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოებით, მაგრამ სასწავლო პროცესში აქტიურად იყენებენ სხვადასხვა დამხმარე რესურსებს, რომლის ვალიდაციას ახორციელებენ კათედრაზე, სადაც მოწმდება ესა თუ ის რესურსი შეესაბამება თუ არა ესგ-ის საგნობრივი სტანდარტით განსაზღრულ მოთხოვნებს, ეხმარება თუ არა მოსწავლეს სტანდარტში წარმოდგენილი მიზნების მიღწევაში და აკმაყოფილებს თუ არა მოთხოვნებს, როგორიცაა მოსწავლეზე ორიენტირება, მათ საჭიროებაზე მორგება, მათი შესაძლებლობებისა და უნარების გათვალისწინება და ა. შ. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.** *ივსება მხოლოდ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დაწყებითი საფეხურისთვის*

3. კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით

მცირეკონტინგენტიანი სკოლა უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა.

ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/ მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურზე საბუნებისმეტყველო საგნების მასწავლებლები ძირითად სასწავლო რესურსად იყენებენ გრიფირებულ სახელმძღვანელოებს. მასწავლებლებმა წარმოადგინეს კათედრაზე წინასწარ გაწერილი და შემუშავებული სასწავლო აქტივობები და რესურსები, რომლებიც გამოყენებულია შუალედური მიზნების შესაბამისად. სასწავლო პროცესში გამოყენებულია დამხმარე სასწავლო რესურსები - სხვადასხვა ტიპის თვალსაჩინოება, პლაკატები, მულაჟები, ელექტრული კომპონენტები, ონლაინ რესურსები, ტელესკოლის გაკვეთილები, სასწავლო ვიდეორგოლები, სიმულაციები. ამის მიუხედავად, სკოლის საბუნებისმეტყველო ლაბორატორია ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნებს, რადგან არ აქვს მჟავა-ტუტე და თერმო მდგრადი ზედაპირით დაფარული სადემონსტრაციო მაგიდა, რაც აუცილებელია სრულფასოვანი სასწავლო აქტივობებისთვის საბუნებისმეტყველო საგნებში საბაზო და საშუალო საფეხურზე. ზოგიერთი ექსპერიმენტის ჩატარებისას შეიძლება მოხდეს დიდი რაოდენობით სითბოს გამოყოფა, რაც ქმნის ცეცხლის გაჩენის საშიშროებას. ასევე ზოგიერთი ნივთიერება შედის რეაქციაში და აზიანებს მაგიდის ზედაპირს. უსაფრთხოების წესები მოითხოვს მჟავა-ტუტე და თერმო მდგრადი ზედაპირით დაფარული მაგიდის არსებობას. ასევე ლაბორატორიაში არ არის გამწოვი კარადა, რაც ასევე აუცილებელია საბუნებისმეტყველო აქტივობების შესასრულებლად საბაზო და საშუალო საფეხურზე. სკოლის საბუნებისმეტყველო ლაბორატორიაში არ არის მჟავა-ტუტე და თერმო მდგრადი ზედაპირით დაფარული სადემონსტრაციო მაგიდა, რაც აუცილებელია სრულფასოვანი სასწავლო აქტივობებისთვის საბუნებისმეტყველო საგნების ეფექტურად სწავლებისთვის საბაზო და საშუალო საფეხურზე. ზოგიერთი ექსპერიმენტის ჩატარებისას შეიძლება მოხდეს დიდი რაოდენობით სითბოს გამოყოფა, რაც ქმნის ცეცხლის გაჩენის საშიშროებას. ასევე ზოგიერთი ნივთიერება შედის რეაქციაში და აზიანებს მაგიდის ზედაპირს. უსაფრთხოების წესები მოითხოვს მჟავა-ტუტე და თერმო მდგრადი ზედაპირით დაფარული მაგიდის არსებობას.

	ასევე ლაბორატორიაში არ არის გამწოვი კარადა, რაც ასევე აუცილებელია საბუნებისმეტყველო აქტივობების შესასრულებლად საბაზო და საშუალო საფეხურზე. **სკოლამ, არგუმენტირებულ დასაბუსთებასთან ერთად, წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა 2.2.2.3 ინდიკატორის მიმართ, სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადად მითითებულია 01.05.2026 წ. – 01.05.2027წ. აქედან გამომდინარე, ინდიკატორი შეფასდა როგორც „მეტწილად შეესაბამება“.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	კურიკულუმებში ასახული მატერიალური და ციფრული რესურსები ემსახურება სწავლის შედეგების მიღწევას, ხდება მათი გამრავალფეროვნება კონკრეტული კლასის საჭიროებიდან გამომდინარე. ხელმისაწვოდმია კომპიუტერები, პროექტორი, უზრუნველყოფილია ინტერნეტზე წვდომა. წარმოდგენილია მოსწავლეების მიერ ხელითა თუ ელექტრონულად შესრულებული მრავლფეროვანი ნამუშევრები. **ინდიკატორის მოთხოვნა დადასტურებულია.**
უცხოური ენები	სკოლას გააჩნია საბაზისო ინფრასტრუქტურა (საკლასო ოთახები, ბიბლიოთეკა, კომპიუტერული ლაბორატორია), სასწავლო რესურსები და ტექნიკური საშუალებები, რაც უზრუნველყოფს კურიკულუმით გათვალისწინებული შედეგების მიღწევას. რესურსები ადეკვატურია მოსწავლეთა რაოდენობასთან მიმართებით და ხელს უწყობს უცხოური ენების სწავლების თანამედროვე მეთოდების გამოყენებას. **ინდიკატორის მოთხოვნა დადასტურებულია.**
ესთეტიკური აღზრდა	საგნობრივ კათედრის წევრებთან გასაუბრების მიხედვით, სკოლაში ხელმისაწვდომია შესაბამისი სასწავლო ტექნიკური საშუალებები (დაფები, პროექტორი, მონიტორი, კომპიუტერები, პრინტერი და სხვა) და მატერიალური რესურსები, რომელიც ესთეტიკის საგნების (ხელოვნება, მუსიკა) სწავლების პროცესში გამოიყენება, რაც ხელს უწყობს სწავლის პროცესის ეფექტიან წარმართვას. პედაგოგები აქტიურად იყენებენ მათ ხელთ არსებულ მატერიალურ რესურსებს და საჭიროების შემთხვევაში თავად უზრუნველყოფენ დამატებით მასალებზე წვდომას. მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგების ანალიზის საფუძველზე საკლასო ოთახები აღჭურვილია შესაბამისი ტექნიკური რესურსები, სკოლა მთელი სასწავლო

	წლის განმავლობაში უზრუნველყოფს სწავლებისთვის საჭირო რესურსებით მასწავლებლებს, ასევე პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ მათ ყოველდღიურად აქვთ შესაძლებლობა მოსწავლეებს ამობეჭდილი მრავალფეროვანი სასწავლო რესურსები შესთავაზონ სწავლა-სწავლების პროცესში. **ინდიკატორის მოთხოვნა დადასტურებულია.**
სახელმწიფო ენა	სასწავლო პროცესი სამივე საფეხურზე მიმდინარეობს შესაბამის მატერიალურ გარემოში, რომელიც ხელს უწყობს სახელმწიფო ენის კურიკულუმით გათვალისწინებული სასწავლო აქტივობების განხორციელებას. სასწავლო სივრცე და არსებული რესურსები საშუალებას აძლევს მასწავლებლებს დაგეგმილი აქტივობები ეფექტიანად წარმართოს. სასწავლო გარემოს ორგანიზებისას გათვალისწინებულია მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა, რაც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ეფექტიან დაგეგმვასა და განხორციელებას. არსებული მატერიალური პირობები ქმნის საფუძველს კურიკულუმით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისათვის. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	სკოლაში არსებული მატერიალური რესურსი უზრუნველყოფს კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. პედაგოგებმა გასაუბრების დროს აღნიშნეს, რომ თითოეული მოსწავლისთვის ხელმისაწვდომია როგორც მატერიალური, ასევე, არამატერიალური რესურსი, საკლასო სივრცე აღჭურვილია საჭირო ინვენტარით, რაც საშუალებას აძლევს მოსწავლეებს აქტიურად ჩაერთონ სწავლის პროცესში, ხოლო პედაგოგს უადვილებს მრავალფეროვანი და საინტერესო გაკვეთილების დაგეგმვასა და ჩატარებას. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
სპორტი	სკოლა მოსწავლეთა ზღვრული ადგილების რაოდენობის მიხედვით უზრუნველყოფს შესაბამის მატერიალურ რესურსს: უსაფრთხო და შესაბამისი ინვენტარით აღჭურვილ სპორტულ დარბაზს და გარე სივრცეში განთავსებულ სპორტულ მოედანს. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

ტექნოლოგიები	კომპიუტერული ტექნოლოგიების საგანში კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით. სკოლაში არსებული კომპიუტერული კაბინეტი და მოსწავლეებისთვის ხელმისაწვდომი ბუკები ქმნის ხელსაყრელ პირობებს პრაქტიკული მუშაობისთვის და უზრუნველყოფს თითოეული მოსწავლის აქტიურ ჩართულობას სასწავლო პროცესში. მოსწავლეთა ადგილების რაოდენობა და ტექნიკური რესურსები ოპტიმალურად არის განაწილებული, რაც იძლევა შესაძლებლობას სასწავლო პროცესი წარიმართოს შეუფერხებლად და ეფექტიანად. სასურველია არსებული რესურსების გამოყენების პრაქტიკის შენარჩუნება და საჭიროებისამებრ მათი ეტაპობრივი განახლება. საბოლოოდ, მატერიალური რესურსები სრულად უზრუნველყოფს კურიკულუმით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას და ქმნის ხარისხიანი სწავლების შესაბამის გარემოს. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სკოლა აქვს საკმარისი მატერიალური რესურსი, რომელიც უზრუნველყოფს თითოეული მოსწავლის საჭირო რესურსებზე წდომას. ყოველივე წარმოდგენილია სკოლის მიერ შესაბამისი დოკუმენტებით და დაადასტურეს კათედრის წევრებმა გასაუბრების დროსაც. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.** *ივსება მხოლოდ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დაწყებითი საფეხურისთვის*

4. სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი

სკოლას კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად, ჰყავს კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი, მათ შორის უფროსი მასწავლებლები, რომლებიც ფლობენ შესაბამის საგნობრივ კომპეტენციებს და უზრუნველყოფენ კურიკულუმით განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ - თბილისის N192 საჯარო სკოლის 2025-2026 ს.წ. სასკოლი სასწავლო გეგმა
- სსიპ - თბილისის N192 საჯარო სკოლის პედაგოგებთან გასაუბრება
- სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია.
- ეროვნული სასწავლო გეგმის სასკოლო დონეზე დანერგვის კვლევის ინსტრუმენტები №1 და №2.
- სსიპ - თბილისის N192 საჯარო სკოლის შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი
- საგნობრივი კათედრების სხდომის ოქმები
- განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების ფორმები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1. მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად**

სასკოლო კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია უზრუნველყოფს მონიტორინგისა და შეფასების სისტემურ და მიზანმიმართულ პროცესს. მონიტორინგი მოიცავს მოსწავლეთა შედეგების, ჩართულობისა და პედაგოგიური პრაქტიკის ანალიზს, ხოლო შეფასება უკავშირდება დასახულ სასწავლო მიზნებს და კურიკულუმით განსაზღვრულ შედეგებზე ორიენტაციას. დაგეგმილია, შეგროვილი მონაცემები გამოიყენება კურიკულუმის განახლებისა და გაუმჯობესებისთვის, რაც პროცესის უწყვეტ განვითარებას უზრუნველყოფს. ამასთან, პროცესის ძირითადი წარმმართველია საგნობრივი კათედრები, რაც ხელს უწყობს პროფესიულ თანამშრომლობასა და საჭიროებების ანალიზის ხარისხის ამაღლებას. ამრიგად, მონიტორინგისა და შეფასების სისტემა ძირითადად შეესაბამება კურიკულუმის მეთოდოლოგიას და უზრუნველყოფს პროცესის სტრუქტურირებულობასა და განვითარებას. სასურველია, შესაფების სრული ციკლის დასრულების შემდეგ, პროცესში შემუშაევბული ინსტრუმენტები და მეთოდოდოლოგია დეტალურად აღწეროს დოკუმენტში, რაც კიდევ უფრო გააუმჯობესებდა სისტემის გამჭვირვალობას.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. **მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას**

სასკოლო კურიკულუმის მეთოდოლოგიის შესაბამისად, მონიტორინგისა და შეფასების პროცესი ორიენტირებულია საჭიროებებისა და პრობლემური საკითხების სისტემურ იდენტიფიცირებაზე. დოკუმენტის თანახმად, მონიტორინგი და შეფასება არ არის მხოლოდ ფორმალური პროცესი, ის რეალურად განსაზღვრავს პრობლემების მოგვარების გზებს, ქმნის საფუძველს რეკომენდაციებისთვის და უზრუნველყოფს, რომ მომდევნო წლის კურიკულუმი შეესაბამებოდეს სკოლაში არსებულ საჭიროებებს.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. **მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას**

სასკოლო კურიკულუმის მეთოდოლოგიის მიხედვით, მონიტორინგისა და შეფასების პროცესი ორიენტირებულია როგორც შედეგების ანალიზზე, ისე სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და განვითარებაზე. ამ მიზნით სკოლაში

დაგეგმილია მოსწავლის პროფილის შექმნა, რომელშიც აისახება როგორც აკადემიური და სოციო-ეკონომიკური მახასიათებლები. საგნობრივი კურიკულუმების ფარგლებში განსაზღვრული შემოქმედებითი დავალებები უზრუნველყოფს მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებების გამოვლენას და ადაპტირებულ მხარდაჭერას. ვერიფიკაციის მექანიზმი და კურიკულუმის მეთოდოლოგია კი შესაძლებელს ხდის დროულ რეაგირებას მიღებულ მონაცემებზე დაყრდნობით. ამავდროულად, მონიტორინგში მასწავლებელთა ჩართულობა ხელს უწყობს მათი პროფესიული საჭიროებების გამოვლენას და მიზნობრივი აქტივობების დაგეგმვას.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ - თბილისის N192 საჯარო სკოლის 2025-2026 ს.წ. სამოქმედო გეგმა
- სსიპ - თბილისის N192 საჯარო სკოლის პედაგოგებთან გასაუბრება
- სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია.
- ხელშეკრულება ხარისხის მართვის მენეჯერთან.

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს**

სასკოლო კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის სესაბამისად, შეფასების პროცესი დაეფუძნება მრავალფეროვან და ურთიერთშემავსებელ წყაროებს, რაც ქმნის შედეგების ობიექტურობისა და სიღრმისეული ანალიზის შესაძლებლობას. გამოიყენება როგორც რაოდენობრივი, ისე თვისებრივი მონაცემები, მათ შორის მოსწავლეთა აკადემიური მიღწევები, სასწავლო პროცესში ჩართულობა, პედაგოგიურ პრაქტიკაზე დაკვირვება და სასკოლო პროცესების ანალიზი.
სასწავლო წლის განმავლობაში სკოლაში ჩატარდა დიაგნოსტიკური წერები, რომელთა შედეგებიც კათედრების მიერ გაანალიზდა პირველი სემესტრის დასასრულს, ხოლო შემდგომი ეტაპი მეორე სემესტრის ფარგლებშია დაგეგმილი. ამ პროცესში მნიშვნელოვან როლს ასრულებს ხარისხის მართვის მენეჯერი, რომელმაც ავტორიზაციის ექსპერტების სკოლაში

ვიზიტისას წარმოადგინა მრავალფეროვანი მტკიცებულებები, რომელიც ადასტურებს სასწავლო პროცესის შეფასების მიზნით განხორციელებულ აქტივობებს. სკოლაში შემუშავებულია ინსტრუმენტები, რომლებიც ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის ხარისხს აფასებს. აღნიშნული ინსტრუმენტების პრაქტიკაში დანერგა ქმნის მყარ საფუძველს ემპირიული მონაცემების შეგროვებისა და სასწავლო პროცესის შეფასებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. **შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით**

სასკოლო კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის მიხედვით, შეფასების პროცესში გათვალისწინებულია სხვადასხვა მნიშვნელოვანი ფაქტორი, რაც უზრუნველყოფს მის სრულყოფილად განხორციელებას. შეფასება ეფუძნება როგორც მოსწავლეთა აკადემიურ მიღწევებს, ისე მათ ინდივიდუალურ თავისებურებებსა და პოზიტიურ სასწავლო გარემოსთან დაკავშირებულ კომპონენტებს. სკოლის ადმინისტრაციასთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ სკოლა მჭიდროდ თანამშრომლობს მშობლებთან. სკოლაში ფუნქციონირებს არაფორმალური გაერთიანება – „მშობელთა კომიტეტი“, რომლის წევრები მონაწილეობენ როგორც საორგანიზაციო აქტივობებში, ისე სამუშაო შეხვედრებში. მშობლებთან აქტიურად თანამშრომლობენ დამრიგებლები და საგნის მასწავლებლები; სემესტრის განმავლობაში რამდენჯერმე იმართება მშობელთა კრებები, რომლის ფარგლებშიც, ინფორმაციის მიწოდებასთან ერთად, სკოლა უზრუნველყოფს უკუკავშირის მიღებას. სასკოლო საზოგადოების ფართო ჩართულობის უზრუნველსაყოფად, 2025–2026 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმის ფარგლებში გათვალისწინებულია კვლევის განხორციელება სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით. ამგვარი მიდგომა უზრუნველყოფს შეფასების ობიექტურობასა და რეალისტურობას, ვინაიდან იგი ასახავს მოსწავლის განვითარებას მრავალ კონტექსტში და არ შემოიფარგლება მხოლოდ ერთ ინდიკატორზე დაყრდნობით.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. **შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები**

სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის შესაბამისად, შეფასების პროცესი ეფუძნება მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვან მეთოდებს. გამოყენებულია როგორც რაოდენობრივი, ისე თვისებრივი მეთოდები, მათ შორის დიაგნოსტიკური წერები, სასწავლო შედეგების ანალიზი, პედაგოგიური პრაქტიკაზე დაკვირვება, კათედრებისა და დირექტორის წლიური ანგარიშები და სასწავლო პროცესის შეფასების ინსტრუმენტები (დაკვირვების ფორმები და სხვ.). შეფასების პროცესში აქტიურად არის ჩართული როგორც პედაგოგები, ისე სკოლის ადმინისტრაცია.

მონაცემთა სანდოობის ხარისხის გასაზრდელად, სკოლა პრიორიტეტულად მიიჩნევს სასწავლო პროცესში დანერგილი აქტივობების შესახებ მშობელთა ინფორმირებას. კერძოდ, შემოქმედებითი და კომპლექსური დავალებების განცორციელებამდე გაიმართა სამუშაო შეხვედრები მათთან, რომლის ფარგლებშიც პედაგოგებმა დეტალურად განუმარტეს ამგვარი საგანმანათლებლო მიდგომის უპირატესობები და ის შესაძლო გამოწვევები, რაც მოსალოდნელი იყო დავალებების მომზადების პროცესში. ამგვარი მიდგომა უზრუნველყოფს მეტ სანდოობასა და სტიმულს მისცემს მშობელთა ინფორმირებულ ჩართულობას დაგეგმილი კვლევის ფარგლებში.

გარდა ამისა, სკოლამ მნიშვნელოვანი ძალისხმევა გასწია კურიკულუმების ერთიანი ჩარჩოს შემუშავებისთვის. თითოეულ საგნობრივ კათედრაზე შეთანხმდა ეროვნული სასწავლო გეგმის კონცეპტუალური საკითხების დანერგვის გზები და მათი პრაქტიკული განხორციელების მიდგომები. კურიკულუმის ერთიანი ჩარჩო და საერთო დიზაინი შეფასების პროცესს მნიშვნელოვნად ამარტივებს, რადგან უზრუნველყოფს ყველა კათედრის მიერ ერთსა და იმავე მიზნებსა და პრიორიტეტებზე მუშაობას, რაც ქმნის საერთო კრიტერიუმებს მოსწავლეთა მიღწევებისა და სწავლა-სწავლების ხარისხის ობიექტური შეფასებისთვის. შედეგად, შეფასება ხდება უფრო სტრუქტურირებული და თანმიმდევრული, მცირდება ფრაგმენტულობის რისკი და იზრდება მონაცემთა ანალიზის სანდოობა. მონაცემთა შეგროვების პროცესზე ძირითადი პასუხისმგებლობა ხარისხის მართვის მენეჯერს აქვს მინიჭებული. ვიზიტის ფარგლებში, მის მიერ წარმოდგენილი სამოქმედო გეგმა და მტკიცებულებები ადასტურებს, რომ სასწავლო პროცესი მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვან მეთოდებს ეფუძნება.

ინდიკატორის მოთხოვნა დადასტურებულია.

4. **შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით**

სასკოლო კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად, შეფასების პროცესი ეფუძნება მრავალფეროვანი ფაქტორების გათვალისწინებას. სასწავლო პროცესის შეფასებისას, სკოლა ითვალისწინებს ისეთ დამატებით ფაქტორებსაც, როგორიცაა სასწავლო რესურსებზე ხელმისაწვდომობა, საკლასო გარემო და კლიმატი, მოსწავლის ჩართულობის ხარისხი/სიხშირე ჯგუფურ და პროექტულ აქტივობებში, ასევე მის კომუნიკაციურ და თანამშრომლობით უნარებს. სკოლის ადმინისტრაციისა წარმომადგენლებსა და პედაგოგებთან გასაუბრების გამოვლინდა, რომ ჩამოთვლილ ფაქტორებთან დაკავშირებით, ძირითადად მსჯელობა კათედრების შეხვედრებზე ხდება. სასურველია, აღნიშნული ფაქტორები ინტეგრირდეს სასწავლო პროცესის შეფასების მიზნით დაგეგმილი კვლევის ინტრუმენტებში.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ - თბილისის N192 საჯარო სკოლის 2025-2026 ს.წ. სასკოლო სასწავლო გეგმა
- სსიპ - თბილისის N192 საჯარო სკოლის პედაგოგებთან გასაუბრება
- სასკოლო რესურსებით სარგებლობის წესი
- სსიპ - თბილისის N192 საჯარო სკოლის ხარისხის მართვის მექანიზმი

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.4. კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1. წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი**

სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგია პირდაპირ ითვალისწინებს სარეკომენდაციო პაკეტის შემუშავებას. კერძოდ, კურიკულუმის რევიზიის ეტაპზე, მოსწავლეთა ჩართულობის, აკადემიური შედეგების, მშობელთა მონაწილეობის, კათედრის მუშაობისა და სკოლის დირექციის საქმიანობის შეფასების საფუძველზე, სკოლა

მოამზადებს ორ სახის რეკომენდაციების პაკეტს: ერთს - მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმის შემუშავებისთვის, მეორეს - სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმის განახლებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. **კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს**

სკოლის მიერ წარმოდენილი მეთოდოლოგია ადასტურებს, რომ კურიკულუმის განახლება არ წარმოადგენს ერთჯერად ქმედებას, არამედ მოიაზრება უწყვეტ, ციკლურ პროცესად, რომელშიც ყოველი შემდეგი წლის კურიკულუმი დაეყრდნობა წინა წლის გამოცდილებას. კერძოდ, შუალედური სასწავლო მიზნების დაგეგმვისას გათვალისწინებული იქნება წინა წელს ეფექტურად გამოყენებული აქტივობები და სასწავლო რესურსები, მოსწავლეთა მიღწევების დინამიკა და კათედრის სხდომებზე გამოკვეთილი გამოწვევები. აღწერილი პროცესების შესაბამისი აქტივობები გათვალისწინებულია 2025-2026 სამოქმედო გეგმაში.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ - თბილისის N192 საჯარო სკოლის 2025-2026 ს.წ. სასკოლი სასწავლო გეგმა
- კურიკულუმის შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგია
- სადამრიგებლო პროგრამები
- სსიპ - თბილისის N192 საჯარო სკოლის პედაგოგებთან გასაუბრება
- სსიპ - თბილისის N192 საჯარო სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმა
- სსიპ - თბილისის N192 საჯარო სკოლის 2025 -2025 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

.....

.....

.....

.....

თარიღი:

Lela Bubashvili 01018004540

Digitally signed by Lela Bubashvili
Date: 2026.05.20 22:51:34

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: